პიროვნული მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 დეკემბერი სამშაბათი 2013
№295 (14 211) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფამ წილი ჰყარა

ორი სუპერ-წყვილი და ბევრიც საინტერესო

სიტი VS ბარსელონა
არსენალი VS ბაიერნი




ქართველები VS ტოტენჰემი

## გრძელდება

ევროტურნირების წილისყრა

↳9

*იგორ კოკოშკოვი:*

## საქართველოში მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო

ექსკლუზივი





↳12

## შოთა არველაძემ თავისი ფეხბურთელის ულირსი საქციელისთვის ბოდიში მოიხადა

↳4



სლავენ ბილიჩი (მარცხნივ) და შოთა კვირის მატჩის წინ

## მათ შობამდე ვერ მიაღწიეს...

ვალენსიამ ჯუკიჩი მოიშორა
ტოტენჰემმა ვილაშ ბოაში



მიროსლავ ჯუკიჩი



ანდრე ვილაშ ბოაში

↳5,7

საქართველოს 2013 წლის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში ქარელელი პაატა ღვინიაშვილი გახდა!



## შაბათობით! ლელო week

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ჯილაურს იმედიც აქვს და სურვილიც

## დაიბრუნებს დინამო განათხოვრებულებს?



ბურთით ჯაბა ჯულაური

როცა თბილისის „დინამოს" მფლობელმა **რომან ფიფიამ დუშან უჰრინის** შემცვლელად **მალხაზ ჟვანია** წარადგინა, კლუბის საკადრო პოლიტიკაზეც ილაპარაკა:

„გუნდი გაახალგაზრდავებისკენ არის მიმართული. არაკონკურენტულ გარემოში დასახულ მიზნებს ვერ მივაღწევთ და გასაგები გახდა, რომ ჩვენ მიერ არჩეული მაღალბიუჯეტიანი პროექტი არ ამართლებს. ასე გაგრძელება უაზრობაა. უნდა ვეცადოთ, ვიყოთ იმ წრეში, რა წრეშიც გვიწევს თამაში და ნელ-ნელა შემადგენლობაში ჩვენივე გაზრდილი ფეხბურთელები დავაწინაუროთ. „დინამოს" აკადემიას ძირითად გუნდთან ერთი ნაბიჯი უნდა აშორებდეს. ეს გეგმები რამდენიმე წელზე გაიწერება, თუმცა ჩვენი მთავარი ამბიცია კვლავ ჩემპიონობა და ევროასპარეზზე გასვლაა", - განაცხადა ფიფიამ.

„დინამო" ამბიციური კლუბია და ფეხბურთელებს მცირედ ჩავარდნასაც არ ჰპატიობს. იყო სხვა მიზეზებიც, რის გამოც ესა თუ ის პერსპექტიული ფეხბურთელი სხვა გუნდში აღმოჩნდა. ზოგს ჩეხ სპეციალისტთან ჰქონდა უსიამოვნება, ზოგიც მის სქემაში ვერ ჩაჯდა: მაგალითად, **გიორგი თექთურმანიძე** და **ნიკა კვეკვესკირი** იჯარით ცხინვალის „სპარტაკში" არიან და გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში ეხმარებიან. ბოლნისის „სიონში" გაუშვეს **არჩილ ტვილდიანი და ლაშა პარუნაშვილი**, საჩხერის „ჩიხურაში" კი - **გიორგი რეხვიაშვილი** და **ჯაბა ჯილაური**.

ვინ იცის, იქნებ, ამ ბიჭებს ეს იჯარა გაზრდასა და დაწინაურებაში წაადგათ კიდეც. მსგავსი რამ ხომ ადრეც მომხდარა, როცა კლუბის დატოვება მოუხდათ **საბა კვირკველიასა** და **გიორგი ილურიძეს**. მათ „დინამოს" ძირითად შემადგენლობამდეც არ მიუღწევიათ, თუმცა დიდ ფეხბურთში გზა მაინც გაიკვლიეს.

საშემოდგომო ეტაპზე მხოლოდ ერთი ტური დარჩა და ლოგიკურია, ვიკითხოთ - აპირებს თუ არა „დინამო" განათხოვრებული მოთამაშეების დაბრუნებას? ამ კითხვით რამდენიმე მათგანს მივმართეთ.

გიორგი თექთურმანიძე: „დინამოდან" ჯერ არავინ შემხმიანებია და წარმოდგენა არ მაქვს, რა გეგმები აქვს ჩემთან დაკავშირებით გუნდს".

გიორგი რეხვიაშვილი: „ამ საკითხზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან პირადად მე არავინ დამკავშირებია".

ჯაბა ჯილაური: „დაველოდები სეზონის დასრულებას, 22 დეკემბერს სუპერთასის მატჩიც ჩატარდება და მერე ყველაფერი გაირკვევა. ჯერ არავინ შემხმიანებია, მაგრამ არც ადრე დამიმალავს, რომ დაბრუნების იმედიც მაქვს და სურვილიც - „დინამო" ხომ ბევრს ნიშნავს. დუშან უჰრინს საკუთარი შეხედულება ჰქონდა ფეხბურთზე და მის მონახაზში ვერ ვჯდებოდი. სულ იმას მეუბნებოდა - ჩვენ არ ვართ „ბარსელონა" და ბურთს ნუ აგორებო. გრძელი გადაცემებით თამაშს და ძალისმიერ ფეხბურთს ითხოვდა. ფაქტია, რომ მე ამ სტილის მოთამაშე არ ვარ და ასე ვერც ვითამაშებ. ჟვანია კი ტექნიკური და კომბინაციური ფეხბურთის მოყვარული მწვრთნელია და სწორედ ეს მაიმედებს".

ამავე დროს, ვრცელდებოდა ხმები, თითქოს, თბილისის „დინამო" უკვე შეელია ან უახლოეს პერიოდში კონტრაქტებს გაუწყვეტს „დინამო 2-ისა" და დუბლშემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს. დავაზუსტებთ, რომ გუნდი მხოლოდ მცველმა **ბექა მელიქიძემ** და **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** დატოვეს. ეს უკანასკნელი შარშან სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ. ყველა სხვა ფეხბურთელი კლუბში რჩება და გუნდი მათ გაშვებას ჯერ არ აპირებს.

მერაბ მამულაშვილი

დანიშვნა

# მალხაზ ჟვანიას უჩა სოსიაშვილი შეცვლის

**მალხაზ ჟვანია** თბილისის „დინამოს" მთავარ გუნდში დააწინაურეს და „დინამო 2" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. თუ ვინ გაწვრთნის ამ გუნდს, ამის შესახებ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა.

სიახლეს „სამტრედიის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში გავეცანით: „უჩა სოსიაშვილმა „სამტრედია" დატოვა. მადლობას ვუხდით მას იმ დიდი საქმისთვის, რაც ჩვენი გუნდისთვის გააკეთა და ვუსურვებთ კარიერულ წინსვლას. მომავალი სეზონიდან უჩა სოსიაშვილი თბილისის „დინამო 2-ს" უხელმძღვანელებს".

თბილისურ კლუბში დავაზუსტეთ, რომ ეს ინფორმაცია უტყუარია, სოსიაშვილი „დინამო 2-ში" მართლაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე მიიწვიეს და კლუბის ხელმძღვანელობა მას მალე წარადგენს.

შეგახსენებთ, რომ პირველ ლიგაში საშემოდგომო ეტაპი დასრულდა. 13 ტურის შემდეგ, B ზონაში ბათუმის „დინამომ" და „სამტრედიამ" 31-31 ქულა დააგროვეს და გათამაშების ლიდერები არიან. თუკი მაღალბიუჯეტიანი „დინამოსგან" ეს გასაკვირი არ არის, „სამტრედიის" წარმატება მოულოდნელობა იყო, რადგან ამ კლუბს სოლიდური ფინანსები არ გააჩნია.

სოსიაშვილი ახალგაზრდა სპეციალისტია. „დინამო 2-ის" 24 წლის ახალი დამრიგებელი „სამტრედიაში" 2013 წლის ზაფხულში დანიშნეს. მანამდე ის ქუთაისის „ტორპედოს" საფეხბურთო სკოლა „ავაზაში" ასაკობრივი გუნდის მწვრთნელად მუშაობდა. სამტრედიელები გაოცებულები არიან - არაფრისგან გუნდი გააკეთაო...

მერაბ მამულაშვილი

ერთი გამარჯვების გამო...



დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია ფოტო: www.fcdinamo.ge

# ღირსება გვავალდებულებს!

## მეტი, ვიდრე სიდუხჭირე

პატარა გუნდს დიდისთვის ნერვები აუშლია და მოუგია - ფეხბურთი რაგბი არ არის, რომ ასეთები არ მოხდეს. აგერ, კვირას „ვიტ ჯორჯიამ" სტუმრად თბილისის „დინამო" დაამარცხა (1:0).

მაშინაც კი, როცა „ვიტ ჯორჯია" ხან საქართველოს ჩემპიონატს მოიგებდა, ხან თასს ასწევდა თუ სუპერთასს, არ გააჩნდა იმის პრეტენზია, რომ საქართველოში ვინმეზე დიდია, როგორც კლუბი. „ვიტ ჯორჯია" სხვა რამით იყო ძლიერი - ვინც ფულს ხარჯავდა, კლუბსაც ის მართავდა. ის ერთი ოჯახივით ცხოვრობდა, საკუთარი პოლიტიკა ჰქონდა, წარმატებულად ასხვისებდა ფეხბურთელებს...

ეს „ვიტ ჯორჯია" სხვა სიტუაციაშია, ფინანსური პრობლემები აქვს, შესაბამისად, მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძვის და ამიტომაც სენსაციად უნდა ჩაითვალოს **ზურაბ ბერიძის** გაწვრთნილი გუნდის გამარჯვება თბილისის „დინამოსთან".

არა მგონია, ეს იმის ბრალი იყოს, რომ დინამოელებმა მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასეს. „დინამომ" ძალიან კარგად იცის, რომელი ქართული გუნდი რისი მაქნისია და სად რა სიტუაციაა.

მაშ, რა მოხდა? ეს რომ ლონიერ „ვიტ ჯორჯიას" ექნა, გასაკვირი არაფერი იქნებოდა. „ვიტ ჯორჯიას" არა ერთხელ დაუმარცხებია „დინამო", მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა - ისედაც მცირე და თან დაგვიანებული ხელფას-პრემიები, დაღეჭილი ნერვები, გაუთავებელი მოლოდინი...

ზოგი ვიტჯორჯიელი თბილისიდან მცხეთაში რომ მიდის სავარჯიშოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს, ხელფასი რომ გვიანდება, კვების რაციონიც ისეთი ვერ იქნება, რაც ფეხბურთელს სჭირდება. ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია" ველარც შეკრებებზეც დადის და საერთოდ, ამ გუნდსა და თბილისის „დინამოს" შორის პირობებში ახლა იმხელა სხვაობაა, როგორც ცა და დედამიწა.

„დინამოსთან" ყველა ქართული გუნდი განსაკუთრებული შემართებით თამაშობს და, ცხადია, ეს ფაქტორი საკვირაო შეხვედრაშიც იქნებოდა. ისიცაა, რომ „ვიტ ჯორჯიას" რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი მალე უმთავრდება და სხვა გუდში გადასასვლელად კარგი თამაშით თავის გამოჩენა არავის აწყენდა. **ნიკა დაუშვილი, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, გიორგი ჯანელიძე, გიორგი კორიფაძე** - ეს ვიტჯორჯიელები ნებისმიერ ქართულ გუნდში ღირსეულად ითამაშებდნენ, მათ შეუძლიათ ამინდის შექმნა და ეს უკვე ცოტა არ არის.

როგორც უნდა იყოს, ფეხბურთელის ყველაზე დიდი მოტივაცია, სპორტული ჟინის გარდა, ხელფასი და პრემიაა. რამდენიმე საფეხბურთო კლუბში მიმუშავია და კარგად ვიცი, ფეხბურთელებისთვის რა არის მთავარი თემა - სად რამდენია ხელფასი, პრემია და „პადიომნი". ეს მხოლოდ ჩვენთან კი არა, ყველგან ასეა, ყოველ შემთხვევაში, ასე უთქვამთ ჩემთვის უცხოეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს, უცხოეთში მომუშავე ჩვენებურ მწვრთნელებს.

მე მაინც მგონია, რომ ამ „ვიტ ჯორჯიას „დინამოს" დამარცხებაში კლუბის ფილოსოფიაც წაეხმარა! Nobles O blige - ეს ფრანგული გამოთქმა ქართულად დაახლოებით ასე ითარგმნება - **ღირსება გვავალდებულებს!** ფეხბურთელმა მოედანზე გასვლა და გულშემატკივრების წინაშე თამაში თუ გადაწყვიტა, ვალდებულია, მოსაგებად ყველაფერი გააკეთოს, დაივიწყოს უხელფასობა და ის, რომ საკუთარ და მეტოქე გუნდს შორის ყველანაირი პარამეტრით ძალიან დიდი სხვაობაა. Nobles O blige - „ვიტ ჯორჯიას ფეხბურთელს ეს მაისურაზეც აწერია.

ისე, სლოგანი „დინამოსაც" ჩინებული აქვს: **„მეტი, ვიდრე ფეხბურთი"**. ეს სლოგანი ძალიან მოქნილი და სადაა, ავტორს ყველაფერი კარგად აქვს გათვლილი, „დინამო" ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო და, შესაბამისად - მეტიც, ვიდრე ფეხბურთია.

ცხადია, „ვიტ ჯორჯიას" არ აქვს იმის ილუზია, რომ ფეხბურთზე მეტია, ძალიან გულახდილი სლოგანი აქვს, პატარა, ოღონდაც - განსაკუთრებული კლუბის...

დავით თავართქილაძე

ფუტსალი

# პრეზიდენტად წერეთელი აირჩიეს, მაგრამ...

## ...ცქიტიშვილის ადვოკატი: ეს რეესტრში არ დაკანონდა

15 დეკემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის დარბაზში საქართველოს ფუტსალის ასოციაციის (სფა) საარჩევნო-საანგარიშო კონფერენცია ჩატარდა. სფა-ს პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი **ვახტანგ წერეთლის** კანდიდატურა, რომელსაც უკავშირდება ბოლო წლებში ქართულ ფუტსალში ყველაზე დიდი მიღწევები და სიხარული, ვინც ბოლო წლების საქართველოს ჩემპიონი „იბერია სტარი" ელიტამდე აღაზევა. დელეგატებმა ის 4 წლით აირჩიეს პოსტზე. „იბერია სტარის" პრეზიდენტმა 38 ხმიდან 21 მიიღო.

ყრილობამ სრულად შეცვალა გამგეობის წევრებიც. მისი თავმჯდომარე წერეთელი იქნება, ხოლო წევრები - **ლევან გრიგოლია** (ვიცე-პრეზიდენტი), **ზვიად ხაჩიაშვილი** (ვიცე-პრეზიდენტი), **ნინო ნებიერიძე** (გამგეობის წევრი) და **ალექსანდრე ლეჟავა** (გამგეობის წევრი). შეიცვალა ასოციაციის წესდებაც და ახლა ის უკვე სრულად შეესაბამება უეფასა და სფფ-ის მოთხოვნებს.

წერეთელმა პირველივე კომენტარში განაცხადა: „ფუტსალის ასოციაციის გამგეობაში იმ ადამიანებთან ერთად მოვედი, რომლებთანაც „იბერია სტარის" სტრუქტურა შევქმენი და იმედს გამოვთქვამ, რომ ფუტსალში არსებული პრობლემებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, ვითარების გამოსწორება შესაძლებელია. ეს არ არის იმხელა სამყარო, დაყოფები რომ ხდებოდეს".

ლევან ცქიტიშვილის ადვოკატი **ნინო ნიშნიანიძე** კი ამბობს, რომ ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი კვლავ ცქიტიშვილია და ყრილობის გადაწყვეტილებას არალეგიტიმურს უწოდებს.

„10 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სფა-ს პრეზიდენტის ცქიტიშვილის სასარჩელო განცხადება - გრიგოლიას, დარჯანიას, ნებიერიძის, ლეჟავას, თემრიყაშვილისა და ხაჩიაშვილის წინააღმდეგ, მათ მიერ 9 ნოემბერსა და 5 დეკემბერს უკანონოდ ჩატარებული სფა-ს კონფერენციის ბათილად ცნობის შესახებ, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში უკანონო რეგისტრაცია განხორციელდა. დასახელებული ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი უკვე შეტანილია და მისი არსებითი განხილვა მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, 15 დეკემბერს ამ ხალხმა სფა-ს მორიგი კონფერენცია კვლავ კანონდარღვევით ჩაატარა და გამომდინარე აქედან, მიღებული გადაწყვეტილებები სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. უკანონო კონფერენციის მესვეურებმა კარგად იციან, რომ სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის პროცესში, ასეთი უკანონო აქტები აუცილებლად გაბათილდება. ასეც მოხდა: სამეწარმეო რეესტრმა მათი კრების ოქმი რეგისტრაციაში არ გაატარა და ეს შემდეგი მოტივით დაასაბუთა: 16 დეკემბრის კრების ოქმით, მიღებულია წესდების ახალი რედაქციაც, რომელსაც ხელს აწერს ახლადარჩეული პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება მისი უფლებამოსილება. ეს იმიტომ, რომ სფა-ს ჰყავს კანონიერი პრეზიდენტი ლევან ცქიტიშვილი, რომელმაც დანიშნა კონფერეცია და იქ წარადგენს ანგარიშსა და სფა-ს საქმიანობის შესახებ აუდიტორულ დასკვნას", - ამბობს ნიშნიანიძე.

ცქიტიშვილი კი აცხადებს, რომ კანონიერი ყრილობა 21-ში ჩატარდება და იქ აირჩევენ პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებსა და გამგეობის წევრებს.

მერაბ მამულაშვილი

# ვინ მასპინძელია, ვინ სტუმარი...

ნინა ტურის „სრულად“ ჩატარება ერთმანეთს კი „მივულოცეთ“, მაგრამ უამინდობამ ახლახან დასრულებულს დაღი მაინც დაასვა: დიდთოვლობის გამო „ზესტაფონი“-„სპარტაკი“ ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადაიდო, „დილა“-„ჩიხურას“ მატჩის ჩატარებაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო და საბოლოოდ, ტურის ეს ცენტრალური მატჩი დაგვიანებით მაინც დაიწყო. სწორედ უამინდობის გამო იყო, „ტორპედოს“ თავისი მეტოქისათვის მასპინძლობამ მცხეთაში რომ მოუწია, „სიონმა“ კი მორიგი „საშინაო“ შეხვედრა რუსთავში ჩაატარა...

აი, ამდენი დისკომფორტი მოგვიტანა მკვეთრმა აცივებამ. თანაც, იმავე რუსთავში (სადაც XVII ტურის ორი მატჩი ჩატარდა), მართალია, თამაშების დღეებში (შაბათსა და კვირას თოვლი არ მოსულა), მაინც გვარიანად ციოდა (განსაკუთრებით, „სიონი“-“მერანის“ მატჩის დროს) და ძლიერმა ქარმა ხომ საერთოდაც „დაამშვენა“ ისედაც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარებული ის შეხვედრა.

არა უშავს, ცოტა კიდევ უნდა გავუძლოთ: დეკემბრის ბოლომდე (!) ხომ ერთადერთი ტური და სუპერთასის მატჩიღაა დარჩენილი...

## აუცილებელი განმარტება

ვიდრე გასული ტურის პერიპეტიებს გავიხსენებდეთ, საჭიროდ ვცანით სატურნირო ცხრილთან დაკავშირებით აუცილებელი განმარტება გაგვეკეთებინა. ამის მიზეზი კი ის აზრთა სხვადასხვაობაა, „ლელოში“ გამოქვეყნებულ სატურნირო ცხრილს რომ ახლავს ხოლმე.

ანუ, ამა თუ იმ გუნდის წარმომადგენელს, ეტყობა, დღემდე არა აქვს საფუძვლიანად გადაკითხული საქართველოს 2013-14 წლების ჩემპიონატის რეგლამენტი. უფრო კონკრეტულად კი, რეგლამენტის შესაბამისი პუნქტი („ჩემპიონატის ჩატარების პირობები“), სადაც გარკვევით წერია რომ „თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპებით:

**1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვთ გატანილი;**

**2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;**

**3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;**

**4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;**

**5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;**

**6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი - 1 ქულა);**

**7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.**

აქვე, ალბათ, სჯობს ახლავე „შევთანხმდეთ“, რომ წითელ-ყვითელი ბარათების დათვლამდე თუ კენჭისყრამდე (!) საქმე არ მივა და თანაბარქულიან გუნდებს ერთმანეთისგან ურთიერთშეხვედრების შედეგებითა თუ მოგებების რაოდენობით განვასხვავებთ. ანუ, დღესდღეობით „მეტალურგი“ იმიტომ არის ცხრილში „სიონზე“ მაღლა, რომ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს.

იგივე სიტუაციაა „გურასა“ და „დილასთან“ მიმართებაში; აი, რაც შეეხება „ზესტაფონს“ , „ტორპედოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“, სამივე გუნდს 22-22 ქულა აქვთ და ამ სამი გუნდის ურთიერთშეხვედრებს თუ გადავხედავთ, დღესდღეობით უპირატესობა „ტორპედოს“ მხარეს არის.

თუმცა, არა მხოლოდ პირველი ეტაპის ბოლომდე, არამედ წლეულს დარჩენილი ის ერთადერთი ტურიც გარკვეულ კორექტივებს რომ შეიტანს ცხრილში, ფაქტია. თანაც, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ პირველ ექვსეულში მოხვედრის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს „ზესტაფონს“ სხვებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

## ვეტერინარული მოტივაცია

ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ ბოლო წლებში შეცვლილი მიზნების მიუხედავად, „ვიტ ჯორჯია“ მაინც რჩებოდა თბილისის „დინამოსათვის“ ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ მეტოქედ.

არც იმის აღნიშვნა დაგვიწყებია, რომ ამ გუნდების ნებისმიერი დაპირისპირების წინ „ვეტერინარებს“ რაიმე დამატებითი მოტივაცია არ ესაჭიროებოდათ; თუმცა ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, მაინც ძნელად წარმოსადგენი იყო „დინამოს“ საშინაო მარცხი!

არადა, ამ სეზონში „დინამოს“ 7 საშინაო მატჩი ჰქონდა მოგებული და მხოლოდ ერთხელ ითამაშა ფრედ („დილასთან); ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო დინამოელთა მონაცემები წინა ჩემპიონატში: **დუშან უჰრინის** (უმცროსის) ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა 2012-13 წლების სეზონში 15 საშინაო მატჩი მოიგო და მხოლოდ ერთადერთხელ ითამაშა ფრედ (მაშინაც - „დილასთან“)!

საერთოდ კი უკანასკნელად „დინამომ“ საშინაო მატჩი 2011-12 წლების სეზონის მიწურულს წააგო (ქუთაისის „ტორპედოსთან“) და აი, თითქმის წელიწადნახევრიანი პაუზის მერე ეს შთამბეჭდავი სერია შეწყდა, თანაც, შეწყდა მაინცდამაინც ახალი თავკაცის პირველ საშინაო შეხვედრაში: **მალხაზ ჟვანიას** ხომ სადებიუტო მატჩი ჰქონდა „დინამო-არენაზე“...

...ზემოთ „უხერხული მეტოქის“ ფაქტორი ვახსენეთ, მაგრამ აი, ის კი არ გვითქვამს, რომ „ვიტ ჯორჯია“ ოთხი სეზონის განმავლობაში ვერ ახერხებდა „დინამოს“ დამარცხებას; და აი, 2010 წლის 21 თებერვლის მერე პირველად სწორედ ახლა მოხდა, რომ „ვეტერინარებმა“ თავის პრინციპულ მეტოქეს ერთი კი არა, სამი ქულა აართვეს.

ამ მოგებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდული გუნდი გასავარდნ ზონასაც გვარიანად დასცილდა და, რაც მთავარია, ზედა ექვსეულსაც „ხელის გაწვდენაზე“ მიუახლოვდა!

## გაიხსენეს გოლ(ებ)იც, მოგებაც...

ამ ტურში კიდევ ერთი სერია შეწყდა: სამთვენახევრიანი პაუზის მერე „ზუგდიდმა“ მატჩი მოიგო! თანაც, ეს იყო **გიორგი დარასელიას** პირველი გამარჯვება „ზუგდიდის“ მთავარი მწვრთნელის რანგში და ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ეტაპზე აბსოლუტურად განსხვავებულ „ზუგდიდს“ ვიხილავთ.

ჰო, ბევრისთვის აღმოჩნდა მოულოდნელი გამოკვეთილი აუტსაიდერის გამარჯვება საგარეო შეხვედრაში; თუმცა, რატომ გვავიწყდება, რომ ეს შეხვედრა ორივე გუნდისათვის, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედანზე (მცხეთაში) ტარდებოდა, სადაც „მასპინძელსაც“ და „სტუმარსაც“ ერთნაირი სტატუსი ჰქონდათ.

„ზუგდიდმა“ მეორე ტაიმის დასაწყისში ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა და მერე ეს უპირატესობა აღარ გაფლანგა; აღსანიშნავია, რომ ორივე გოლიც ერთნაირი იყო და ერთი და იგივე ფეხბურთელებმაც შექმნეს: **შოთა ლომიას** ორ ჩინებულ გადაცემას ორივეჯერვე ზუსტი დარტყმით **ირაკლი ეხვაია** აგვირგვინებდა.

სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში ეხვაიას... პირველი ტურის მერე არ ჰქონდა გატანილი, ახლა კი 24 წლის ფორვარდმა „დუბლი“ შეასრულა. აი, „ტორპედოზე“ კი უკვე გვიმძიმს საუბარი: გასათვალისწინებელია, რომ ქუთათურთა გუნდს საკადრო პრობლემები მოეძალა, მაგრამ ზედა ექვსეულსაც რომ ნელ-ნელა შორდება, ესეც ფაქტია...

## რუსთავში ქვემოქართლელები ზეიმობენ!

რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე ზედიზედ ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ჩატარდა და ისე მოხდა, რომ ორივეში გამარჯვება ქვემოქართლის გუნდებმა იზეიმეს. ჯერ იყო და საგრძნობლად გადახალისებული და აშკარად არაოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე „მეტალურგმა“ ძალზედ იოლად აჯობა გუნდს, რომელსაც ამ ტურამდე 4 ქულით ჩამორჩებოდა.

უამრავი საკადრო პრობლემის მიუხედავად, **გელა სანაიას** გუნდმა უპრობლემოდ შეძლო პირველ წრეში განცდილი მარცხისათვის სრულფასოვანი რევანშის აღება; აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატში (უმაღლეს ლიგაში) პირველი „დუბლი“ შეასრულა 23 წლის **გიორგი ჩირგაძემ,** რომელიც „მეტალურგში“ თავდაპირველად გამოკვეთილ ცენტრფორვარდად ასპარეზობდა, ახლა კი გელა სანაიამ მაცხენა გარემარბად გაამწესა და, როგორც ხედავთ, ახალგაზრდა მწვრთნელის გათვლა სწორი გამოდგა - ისე, როგორც დისკვალიფიკაციამოხდილი **გიორგი გავაშელიშვილის** ძირითადში დაბრუნებაც: 24 წლის ცენტრალური მცველს „დინამოსთან“ საშინაო მატჩში გაძევების მერე არ ჰქონდა ნათამაშები და აი, „გურიასთან“ შეხვედრაში „სტანდარტულიდან“ ზუსტი და ძლიერი დარტყმით თავისი გუნდისთვის ერთობ საჭირო გოლი გაიტანა.

„მეტალურგის“ მსგავსად, ასევე ორბურთიანი სხვაობით მოიგო „სიონმა“ და ზედა ექვსეულში დასამკვიდრებლად მორიგი და ერთობ სერიოზული განაცხადიც გააკეთა; მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ დარჩენილი მატჩების კალენდარს: **ლადო ბურდულის** გუნდს პირველი ეტაპის ბოლომდე „ჩიხურასთან“, „დინამოსთან“, „ტორპედოსთან“, „მეტალურგთან“ და „ზესტაფონთან“ მოუწევს დაპირისპირება!

თუმცა მანამდე აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ დებიუტანტი-მწვრთნელის, ლადო ბურდულის აშკარად წარმატებული სერია: მისი ხელმძღვანელობით „სიონს“ უკვე 8 მატჩი (თასის ჩათვლით) არ წაუგია. დაბოლოს, იმას დავძენთ, რომ ახალგაზრდული „მერანის“ კარში ორივე გოლი ზუსტი თავური დარტყმებით ბოლნისელთა გუნდის გამოცდილმა მცველებმა, 34 წლის **დავით სვანიძემ** და 33 წლის **ვალერი აბრამიძემ** გაიტანეს.

**გია ტუხაშვილი**

## ტურის სიმბოლური ნაკრები






მეტალურგი-გურია 3:1

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 17 | 12 | 3 | 2 | 40 | 13 | 39 |
| 2 | ჩიხურა | 17 | 10 | 4 | 3 | 34 | 21 | 34 |
| 3 | გურია | 17 | 9 | 0 | 8 | 20 | 24 | 27 |
| 4 | დილა | 17 | 7 | 6 | 4 | 23 | 15 | 27 |
| 5 | მეტალურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 23 | 22 | 26 |
| 6 | სიონი | 17 | 7 | 5 | 5 | 21 | 18 | 26 |
| 7 | ტორპედო | 17 | 6 | 4 | 7 | 19 | 19 | 22 |
| 8 | ზესტაფონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 15 | 22 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 17 | 6 | 4 | 7 | 20 | 23 | 22 |
| 10 | სპარტაკი | 16 | 4 | 1 | 11 | 13 | 24 | 13 |
| 11 | მერანი | 17 | 4 | 1 | 12 | 14 | 34 | 13 |
| 12 | ზუგდიდი | 17 | 2 | 5 | 10 | 7 | 24 | 11 |

*ცხრილი მომზადებულია www.gff.ge-ს მიხედვით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# თურქული ინციდენტები და გაკვირვებული შოთა: რვა ენას ვფლობ, მაგრამ ამას რა ჰქვია, არ ვიცი?



შოთა არველაძე

თურქეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ" თურქული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდი „ბეშიქთაში" დაამარცხა - 2:1. თანაც, ქართველის გუნდი პირველი ტაიმის მერე **უგო ალმეიდას** გოლით 0:1-ს აგებდა. თუმცა **ჩოლაქისა** და **სკარიონეს** ზუსტი დარტყმების წყალობით „ქასიმფაშამ" მოიგო, ხოლო „ბეშიქთაშს" იგივე **ალმეიდა** და ბრაზილიელი **რამონი** გაუძევეს.

შეხვედრის 30-ე წუთზე „ქასიმფაშას" საჯარიმოში საოცარი ინციდენტი მოხდა - მასპინძელთა ჰოლანდიელმა მცველმა **რაიან დონკმა** „ბეშიქთაშის" ძალიან მწვავე შეტევა მოედანზე... მეორე ბურთის დაგდებით შეძლო, რომელიც მანამდე ხელში ეჭირა(?!).

**სლავენ ბილიჩისა** („ბეშიქთაშის" მწვრთნელი) და მისი შეგირდების აღშფოთების მიუხედავად, დონკმა მხოლოდ ყვითელი ბარათი მიიღო. თამაშის შემდეგ, დონკის საქციელის გამო, შოთამ ჟურნალისტებს მოუბოდიშა:

*„ის დამნაშავეა. ბურთი მას ხელში ჰქონდა და მგონი, ეს მსაჯმაც დაინახა, თამაში გრძელდებოდა. დონკმა ბურთი ძალიან ცუდად მოიცილა, მეტოქის შეტევას ხელი შეუშალა. ეს იყო ცუდი საქციელი. თუმცა ლაპარაკი იმაზე, თითქოს ამის გამო მატჩი უნდა გადათამაშდეს, საფუძველს მოკლებულია".*

79-ე წუთზე მატჩში კიდევ უფრო ცუდი ინციდენტი მოხდა, ტრიბუნიდან გამოვარდნილი ფანი თავს დაესხა „ბეშიქთაშის" ფეხბურთელ **მანუელ ფერნანდეშს**. ფანი ჯერ „ქასიმფაშას" ფეხბურთელებმა გააჩერეს, შემდეგ კი პოლიციამ დააკავა, ხოლო მანამდე, „ბეშიქთაშის" ფეხბურთელები მას წიხლებით გაუსწორდნენ.

არველაძემ ამ ინციდენტზეც ილაპარაკა: *„ასე თუ ისე, რვა ენას ვფლობ, მაგრამ ამას რა უნდა დავარქვა, არ ვიცი. ამგვარ ფაქტებს ფეხბურთთან კავშირი არა აქვს, ისინი ფეხბურთს ჩირქს სცხებენ".*

შოთამ უშუალოდ თამაშზეც თქვა: *„პირველი ტაიმი თანაბარი იყო, მეორე ნახევარი კი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, სიტუაციის ბატონ-პატრონნი გავხდით და ლამაზი გოლებიც გავიტანეთ. ამ თამაშისთვის ბიჭები გაორმაგებულად ემზადებოდნენ. მე ვგრძნობდი მათ დაძაბულობას".*

არველაძის გუნდი თურქულ სუპერლიგაში 30 ქულით მეორე ადგილზეა და მხოლოდ „ფენერბაჰჩეს" ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სანდრო კობახიძე: ვერ ვიტყვი, რომ კონკურენციას ვერ ვუძლებ

**დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა სანდრო კობახიძემ უკრაინულ საიტ Football.ua-ს ინტერვიუ მისცა, სადაც ხუანდე რამოსის გუნდში თავის მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.**

*„იმაზე, რომ 2013 წელი „დნიპროს" ქართველი ლეგიონერისთვის წარუმატებელი იყო, სტატისტიკა მეტყველებს. თუკი წინა ორ სეზონში მას კიევის „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში (სადაც იჯარის წესით თამაშობდა) ფეხი მყარად ჰქონდა მოკიდებული და შიდა პირველობაზე სეზონნახევრის განმავლობაში 45 მატჩში 11 გოლიც გაიტანა, შარშან ზამთარში „დნიპროში" დაბრუნებული სანდრო მოედანზე უკვე ძალზე იშვიათად ჩნდება. წელს კობახიძემ ჩემპიონატის მატჩებში სასტარტოში თამაში მხოლოდ ორჯერ დაიწყო. უფრო კონკრეტულად კი, მიმდინარე სეზონში სულ 48 წუთი ითამაშა. ამას გარდა, იყო ერთი ტაიმი უკრაინის თასზე და ასევე, შეხვედრები ევროასპარეზზე. ასე რომ, გველის წელიწადი ფეხბურთელისთვის ისე წარიმართა, წარმატებულს ვერ უწოდებ", - წერს საიტი.*

**- სანდრო, ზაფხულში ბოლო მომენტამდე არ იცოდი, სათამაშო დროის სიმცირის გამო დარჩებოდი თუ არა დნეპროპეტროვსკში. უკან მორჩა ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის 17 მატჩი, მთლიანობაში კი სულ 48 წუთი ითამაშე. ასევე, ტაიმი ჩაატარე უკრაინის თასზე და ორი სრული შეხვედრა - ევროპალიგაზე. ახლა თუ დგას შენთვის დღის წესრიგში დნეპროპეტროვსკში დარჩენა-არდარჩენის საკითხი?**

- საკითხი ჯერჯერობით ასე არ დგას. ხელმძღვანელობასაც ჩემთვის ამ თემაზე არაფერი უთქვამს, ჩემი მხრიდან კი იმის თქმა შემიძლია, რომ „დნიპროში" დარჩენა ძალიან მინდა. ანუ სხვა გუნდში გადასვლაზე არ ვფიქრობ.

**- მაგრამ სათამაშო დროსთან დაკავშირებით ხომ არის პრობლემები? ვფიქრობ, ამით კმაყოფილი არ უნდა იყო.**

- რომელი ფეხბურთელი იქნება კმაყოფილი, რომელსაც ცოტას ათამაშებენ? მაგრამ ეს ფეხბურთია - დღეს ყველაფერი ასეა, ხვალ კი შეიძლება სულ სხვაგვარად იყოს. ეს აბსოლუტურად ნორმალური სიტუაციაა - ვიღაც მეტს თამაშობს, ვიღაც - ნაკლებს. ჩემი საქმე ისაა, როდესაც შანსი მეძლევა, მოედანზე გავიდე და ყველაფერი საკუთარი გარჯით დავამტკიცო. მაქსიმუმს გავიღებ, რათა ხშირად ვითამაშო.

**- თავად რამდენად ობიექტური გგონიათ, ძირითადში ადგილისთვის კონკურენციაში რომ მარცხდებით?**

- თუკი კონოპლიანკასთან მეტოქეობაზე ვისაუბრებთ, მე ვფიქრობ, რომ ის უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია. ეს ჩემი აზრია. და აქვე ვიტყვი, რომ მასთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუმცა გავიმეორებ: ის უკრაინაში საუკეთესო მგონია. სხვა საქმეა, რომ მე არა მხოლოდ მარცხნივ, მარჯვენა ფლანგზე თამაშიც შემიძლია... მთლიანობაში კი, ვერ ვიტყვი, რომ „დნიპროში" კონკურენციას ვერ ვუძლებ. უბრალოდ, დაველოდები იმ დროს, როდესაც მწვრთნელი შანსს მომცემს და შევეცდები, თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო.

**- ამ ზაფხულს კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ. რა მოტივი გამოძრავებდათ ამ გადაწყვეტილების მიღებისას?**

- „დნიპრო" - ეს ისეთი კლუბია, რომელთანაც ჩემს ადგილზე ნებისმიერი მოისურვებდა კონტრაქტის გაფორმებას. სხვა საქმეა, რომ ცოტას მათამაშებენ და ეს არ მაკმაყოფილებს. რაც შეეხება კონტრაქტის გაფორმებისას მოტივს, ის ერთი იყო - მინდა ვთამაშობდე „დნიპროში", ესაა და ეს.

**- და კიდევ გაქვთ იმედი, რომ გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელის ხელში ოდესმე მეტი სათამაშო დრო მოგეცემათ?**

- ხუანდე რამოსთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. პატივს ვცემ მის აზრს და როგორც ის გადაწყვეტს, ისე იქნება. თავად კი ყოველთვის მექნება იმის რწმენა, რომ დროთა განმავლობაში ვითარება ჩემთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

www.sportall.ge



სანდრო კობახიძე (№7)

გაგრა

# არ დავშლილვართ!

ბოლო დღეებში ვრცელდება ხმები, რომ „ზესტაფონის" პრეზიდენტის **ილია კოკაიას** შემდეგ კლუბის დატოვება „გაგრას" საპატიო პრეზიდენტმა **ბესიკ ჩიხრაძემაც** გადაწყვიტა და ყველა გუნდი დაშალა.

ეტყობა, ხმები იმდენად დამაჯერებლად აგორდა, ამბის გასაგებად „ლელოში" რამდენიმე ადამიანი დაგვიკავშირდა. თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ხმები, ჩვენი მხრივ, ამის გადამოწმება „გაგრაში" ვცადეთ. ბესიკ ჩიხრაძეს უკრაინაში ვერ დავუკავშირდით და კომენტარი კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელს **მიხეილ აფხაზავას** ვთხოვეთ.

*„სისულელეა, „გაგრა" არ დაშლილა და არც ბესიკ ჩიხრაძე წასულა. მაგრამ ამ ხმებმა ჩემამდეც მოაღწია და ეტყობა, განმარტება აუცილებელია. შესაძლოა, არასწორად გაიგეს ჩვენი პრეზიდენტის, ბესიკ ჩიხრაძის განცხადება, რომელშიც ის ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილებას აფიქსირებდა. არ გამოვრიცხავ, რომ ასევე არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ჩიხრაძის მიერ „ლელოსთან" ინტერვიუში ნათქვამს - კერძო კლუბების მეპატრონეებს გულგატეხილობა დაეტყოთ და ყველა წასვლაზე ფიქრობს, მათ შორის - მეცო. მაგრამ ბატონმა ბესომ იქვე მიუთითა - მას აკავებს ის ფაქტი, რომ კლუბს „გაგრა" ჰქვია. ხოლო კლუბში ცვლილებები რომ იგეგმება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მან „გაგრა" დაშალა და ბიჭები გაუშვა. ასეთი რამ ნებისმიერ კლუბში შეიძლება მოხდეს. ბესიკ ჩიხრაძემ სცადა, ჩვენს საფეხბურთო საზოგადოებას არსებული პრობლემებისთვის ყურადღება მიექცია", - ამბობს აფხაზავა.*

საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა „გაგრას" პრეზიდენტის განცხადება ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელშიც ის ილია კოკაიას გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

*„კერძო მესაკუთრისთვის კლუბისგან ერთადერთი შემოსავლის წყარო ფეხბურთელის გასხვისებაა. საქართველოში კერძო მფლობელები ყოველწლიურად მილიონობით ლარს ხარჯავენ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის და თუ ტრანსფერების განხორციელების საშუალება არ მიეცემათ, მაშინ დახარჯული თანხის მინიმალური რაოდენობით უკან დაბრუნების შესაძლებლობაც სათუოდ გაუხდებათ. აქედან გამომდინარე, კერძო მფლობელი სერიოზულად დაფიქრდება, განაგრძოს თუ არა მომავალშიც ქართულ ფეხბურთში ინვესტირება, რაც ამ ეტაპზე ერთიანად წამგებიანია და აქამდე მხოლოდ ფეხბურთის სიყვარული, ქართველი გულშემატკივრების პატივისცემა და ქართული ფეხბურთის მომავალზე ზრუნვა აძლევდა ამ ნაბიჯისთვის სტიმულს. უკვე დიდი ხანია, ფეხბურთის ფედერაციის წინაშე დადგა საკითხი, რათა კერძო და არაკერძო მფლობელობაში არსებული კლუბების უფლებები თანაბრად იქნას დაცული, მათი დაფინანსება ერთი საერთო პრინციპით მოხდეს და ადგილი არ ჰქონდეს მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი კლუბების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ კუთხით ვითარება არ შეცვლილა, სასიკეთო ძვრებს ვერ ვხედავთ და კვლავ ერთ ადგილს ვტკეპნით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კერძო მფლობელობაში არსებული კლუბების საქმიანობა საკმაოდ ეფექტური და შედეგის მომცემია. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდები. აქ მოთამაშე ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ კერძო კლუბებში ირიცხებიან და ამიტომაც, ასეთი კლუბები უფრო მეტად უნდა წახალისდნენ, შეღავათები დაუწესდეთ და მათ მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინონ. შექმნილ სიტუაციაში სოლიდარობას ვუცხადებთ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს". ჩვენი აზრით, კერძო ინვესტორების წასვლა ქართული ფეხბურთიდან კატასტროფის ტოლფასი იქნება. მიგვაჩნია, რომ სწორედ პრინციპულობა, სამართლიანობის აღდგენა და ამავე დროს კომპრომისი გადაარჩენს რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართულ ფეხბურთს".*

და კიდევ - ბოლო ინფორმაციით, საჯარო რეესტრში გადამოწმებული ინფორმაციით, „ზესტაფონის" აქციების 100 პროცენტის მფლობელად კვლავ **ილია კოკაია** რჩება. ამას იშველიებენ იმის არგუმენტად, რომ სინამდვილეში, კოკაია არსადაც არ წასულა და კვლავ ფეხბურთში რჩება.

ეტყობა, ყველას გამორჩა კოკაიას სიტყვები, რომ კლუბიდან წასვლის მიუხედავად, საფეხბურთო ცხოვრებისგან განზე დგომას არ აპირებს. ეს პირდაპირი მინიშნებაა, რომ ის მხოლოდ საკლუბო მასშტაბით დაკმაყოფილებას არ აპირებს. საინტერესოა, რა იქნება კოკაიას შემდეგი ნაბიჯი?

**მერაბ მამულაშვილი**

შეხვედრა

# ვახტანგ ქორიძეს უმასპინძლეს

ცნობილ სპორტსმენებთან შეხვედრების კარგი ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სპორტულ კაზინო „ლიდერ-ბეთის" თაოსნობით, გრძელდება. გუშინ აქ ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს, **ვახტანგ ქორიძეს** უმასპინძლეს. ორგანიზატორებმა ეს ღონისძიება ვახტანგის დაბადების დღეს დაამთხვიეს. კოლეგებმა - **გელა კეტაშვილმა, რევაზ ძოძუაშვილმა, დავით მუჯირმა, ფირუზ კანთელაძემ, ვაჟა ჟვანიამ, ლევან ნოდიამ, გიორგი ჭილაიამ, ბესო მჭედლიშვილმა** და სხვებმა; ჟურნალისტებმა - **დავით ქლიბაძემ, თენგიზ პაჭკორიამ, თენგიზ გაჩეჩილაძემ, გიგა გვენცაძემ** გაიხსენეს ამ შესანიშნავი ფეხბურთელის და ბრწყინვალე პიროვნების განვლილი გზა სპორტში და საზოგადოებრივ სარბიელზე. ითქვა, რომ სწორედ ასეთი პიროვნებები აძლევენ კარგ მაგალითს ახალგაზრდებს და ანალოგიური შეხვედრებიც ვეტერანების ღვაწლის დაფასება-განზოგადებას ემსახურება, რათა კავშირი არ გაწყდეს თაობებს შორის.

შეხვედრას უძღვებოდნენ **ბიძინა ბარათაშვილი** და **ჯამლეტ ხუხაშვილი**.

**თენგიზ თომაშვილი**



ვახტანგ ქორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია


მიროსლავ ჯუკიჩი

## ჯუკიჩი გააგდეს!

როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ნაგების შემდეგ (0:3), **მიროსლავ ჯუკიჩი** სამსახურის გარეშე დარჩა. „ვალენსიას“ ხელმძღვანელობამ სერბი სპეციალისტის გათავისუფლების გადაწყვეტილება ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

*„უნდა მოგახსენოთ, რომ მიროსლავ ჯუკიჩი „ვალენსიას“ დამრიგებელი აღარ არის. ძალიან სამწუხარო დღეა, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სხვა გამოსავალი აღარ გვქონდა,“* - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა **ამადეო სალვომ.**

47 წლის ჯუკიჩი „ღამურებში“ სეზონის დაწყების წინ დაინიშნა, მაგრამ „ვალენსიამ“ მის ხელში საკმაოდ ცუდი სტარტი აიღო, 16 ტურში 8 მარცხი განიცადა და 20 ქულით მეცხრე პოზიციას იკავებს.

იქამდე სანამ მწვრთნელს იპოვიან, „ღამურებს“ დროებით ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელი **ნიკო ესტევესი** უხელმძღვანელებს.

**ტატო ბაციკაძე**

სერია A

# თრილერი და სამხრეთული ფიესტა

**სერია A-ს მე-16 ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა „სტადიო სან პაოლოზე“ გაიმართა, სადაც „ნაპოლიმ“ „ინტერი“ მიიღო და მეტოქე დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა, 4:2. მატჩმა სრულად გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი.**

### სტუმრად სახლში

სანამ უშუალოდ თამაშზე, გოლებსა და სახიფათო მომენტებზე ვიტყოდეთ, მწვრთნელებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ნეაპოლში **ვალტერ მაცარი** სტუმრის რანგში ჩავიდა, რაც უჩვეულო ამბავი გახლდათ. მთლიანობაში, „სტადიო სან პაოლომ“ მწვრთნელი თბილად მიიღო - იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უსტვინეს, მაგრამ უმეტესად მაინც ტაში ისმოდა. ამან ვალტერს გული აუჩუყა და ამად იყო, რომ კარგა ხანს თავადაც ტაშს უკრავდა ულტრასებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **რაფაელ ბენიტესსაც** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევდა დაპირისპირება - ერთი ხანობა, ესპანელი სწორედ „ინტერს“ ედგა სათავეში და მაცარის „ნაპოლის“ წინააღმდეგაც გაუყვანია მილანური გრანდი. მოკლედ, მწვრთნელებმა ადგილი გაცვალეს და ამჯერად, გამარჯვება რაფას დარჩა.

**ვალტერ მაცარი** (ინტერი): *„დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც ძალიან თბილად მიმიღეს და მაგრძნობინეს, რომ ჩემი გაკეთებული საქმეები ნეაპოლში დააფასეს. „ნაპოლის“ ულტრასებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და უკვე დავრწმუნდი, რომ მომავალშიც ასე იქნება. თუმცა, დღეს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი ვარ და შესაბამისად, ძალიან დამწუხრებული მარცხის გამო. მით უმეტეს, ბურთს უმეტესად ჩვენ ვაკონტროლებდით, მეტსაც ვუტევდით, მაგრამ სახლში უქულოდ ვბრუნდებით. ვამაყობ ჩემი შეგირდებით და მჯერა, რომ თუ ასე გავაგრძელებთ, იშვიათად წავაგებთ. ამის შესახებ ბიჭებს მატჩის დასრულებისთანავე ვუთხარი და ეს რწმენა მათშიც დავინახე“.*

**რაფაელ ბენიტესი** (ნაპოლი): *„კარგ თამაშს ველოდებოდი და ჩემი მოლოდინი სრულად გამართლდა. „ინტერი“ შესანიშნავი გუნდია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, ჩვენი გამარჯვება კი მით უფრო დასაფასებელია. თუმცა, თქმა არ სჭირდება, რომ კიდევ ბევრ კომპონენტში გვაქვს მოსამატებელი - ბურთის უკეთ კონტროლია საჭირო, რადგან ჯერჯერობით, კონტრშეტევაზე თამაში უფრო გვიადვილდება. რა თქმა უნდა, ეს არაა „ნაპოლის“ მაქსიმუმი, ჩვენ გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში“.*

**ლაშა წიკლაური**


მწვრთნელები, რომლებმაც გუნდები გაცვალეს

მიზანი


კარლოს ტევესი

## ტევესს ბომბარდირობა მოუნდა

გასულ უქმეებზე, „იუვენტუსმა“ „სასუოლოს“ უმასპინძლა და მეტოქეს ოთხი უპასუხო ბურთი მიართვა. აქედან სამი გოლი **კარლოს ტევესის** ანგარიშზეა, რომელიც სერია A-ს დებიუტანტებმა ვერაფრით შეაჩერეს. 29 წლის არგენტინელმა ფორვარდმა ყველა გემოვნების გოლი გაიტანა და კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ახალ გუნდს და გარემოს შესანიშნავად მოერგო. აღსანიშნავია, რომ „სასუოლოსთან“ შესრულებული ჰეთ-თრიკით ტევესმა 10 გოლს მოუყარა თავი და სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ბომბარდირთა დავაში მეორე პოზიციაზე აინაცვლა. მის წინ მხოლოდ **ჯუზეპე როსია**, რომლის აქტივშიც 13 შედეგიანი დარტყმაა; ბუნებრივია, კარლოსს მადა ჭამაში მოუვიდა:

*„სიმართლე გითხრათ, როდესაც „იუვენტუსში“ გადავედი, სერია A-ს ბომბარდირობაზე ნამდვილად არ მიფიქრია - უბრალოდ, გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილის შეტანა მსურდა. თუმცა, ყველაფერი იმაზე უკეთ გაგრძელდა, ვიდრე წარმომედგინა. არა მარტო სკუდეტოს მოპოვება მსურს, მინდა ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდე. ამის გაკეთება ურთულესი იქნება, მაგრამ მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავ“.*

**ლაშა წიკლაური**

ურუგვაი

# ურუგვაიში დანუბიომ იზეიმა

საოცარი ფინალი ჰქონდა ურუგვაის ჩემპიონატს. ბოლო ტურის წინ აპერტურაში გამარჯვების შანსს სამი გუნდი ინარჩუნებდა, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიციაში „ნასიონალი“ იყო, ვინც 30 ქულით ლიდერობდა და ერთ-ერთ აუტსაიდერ „ფენიქსს“ მასპინძლობდა. ასევე 30 ქულა ჰქონდა მონტევიდეოს „რივერ პლეიტს“, ხოლო მესამე ადგილზე 29 ქულით „დანუბიო“ გახლდათ.

ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება კი სწორედ „დანუბიომ“ მოიპოვა, რომელმაც გასვლაზე „სუდ ამერიკას“ 1:0 მოუგო, „რივერი“ „დეფენსორთან“ მარცხს ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელის, **სებასტიან ტაბორდას** (ლა კორუნიის „დეპორტივოდან“ უნდა გახსოვდეთ) მიერ ბოლო წუთებზე გატანილი ბურთით გადაურჩა, „ნასიონალმა“ კი სულაც 1:2 წააგო, არადა პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს იგებდა.

აპერტურაში მოპოვებული გამარჯვებით „დანუბიომ“ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც ის კლაუსურას გამარჯვებულს შეხვდება. აქვე გეტყვით, რომ „დანუბიოს“ ჩემპიონის ტიტული სულ სამჯერ (1988, 2004, 2007) აქვს მოპოვებული.

**ტატო ბაციკაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტურის შეჯამება

# სად ვეძებოთ ინტრიგა?

## მე-16 ტურში ბაიერნის ვერცერთმა კონკურენტმა ვერ მოიგო


დორტმუნდის ლიდერ მარკო როისს საგოლე მომენტების გამოყენება უჭირს და ლაინსმენებს ერჩის

**გარდა იმისა, რომ „ბაიერნის" ვერც ერთმა სერიოზულმა მდევარმა ვერ მოიგო (მეორეადგილოსანი „ლევერკუზენი" კი სულაც საკუთარ მოედანზე „აინტრახტთან" დამარცხდა), ბუნდესლიგის მე-16 ტური შვეიცარიელების წარმატებებითაც იყო გამორჩეული. ყურადღების ცენტრში სამი შვეიცარიელი ფეხბურთელი და ერთი მწვრთნელი მოხვდნენ. სამაგიეროდ, ჰოლანდიელებს აღარ უმართლებთ.**

### ნეგატივები

- დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰოფენჰაიმთან" 0:2-იანი ჩამორჩენა მხოლოდ 2:2-მდე აღმოფხვრა, თამაშის სრულად შემოტრიალებაში კი **იურგენ კლოპს** ხელი ისევ მომენტების გამოუყენებლობამ შეუშალა. „ბორუსიას" წინა ხაზის მთავარი შემოქმედები, **ლევანდოვსკი** და **როისი** მომენტებს კი ქმნიან, მაგრამ ამ ბოლო დროს დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებენ.

- თავის მხრივ, „ჰოფენჰაიმელებსაც" აქვთ საწუწუნო. „დორტმუნდს" 2:0-ს უგებდნენ და რომ ვერ მოიგეს, მეკარე **იენს გრალის** ბრალიცაა, რომელმაც **ობამეიანგის** გოლის მომენტში შეცდომა დაუშვა. არადა, მწვრთნელმა **გისდოლმა** უილბლო მეკარე **კასტეელსი** გრალით ახლახან ჩაანაცვლა. როგორც ჩანს, „ჰოფეს" კარი მართლაც დაწყევლილია, თუმცა „სოფლელები" შერისხული **ტიმ ვიზეს** ძირითადში დაბრუნებაზე მაინც არ ფიქრობენ.

- სადღეისოდ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი ბრემენის „ვერდერს" აქვს მიღებული. ბრემენელებმა „ჰერტას" სამი გოლი გაატანინეს და გაშვებული ბურთების გრაფაში უკვე 37 უწერიათ. ფაქტია, რომ „ვერდერი" მეკარე **რაფაელ ვოლფითა** და მცველ **ლუკიმიათი** შორს ვერ გაფრინდება.

- „ნიურნბერგის" ახალმა მწვრთნელმა **გერტიან ვერბეეკმა** კლუბის ისტორიაში ნეგატიური რეკორდი გაიმეორა. მის ხელში „ფრანკებმა" უკვე შვიდი მატჩის ჩატარება მოასწრეს და ჯერაც მოუგებლები არიან. „ნიურნბერგს" თამაში ამ სეზონში საერთოდ არ მოუგია. რაც შეეხება ვერბეეკის ანტირეკორდს - ასეთი საშინელი შედეგი აქამდე მხოლოდ **თომას ფონ ჰეესენს** ჰქონდა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ნიურნბერგი" ამ უქმეებზე ჰანოვერში 3:0-ს იგებდა და რომ ვერ მოიგო (3:3), ეს მსაჯ **ტორსტენ კინჰიოფერის** ბრალია, რომელმაც ჰანოვერელთა მეორე გოლის დროს **მამე დიუფზე** თითქმის ორმეტრიანი თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსირა.

- როგორც მოსალოდნელი იყო, ცუდად აქვს საქმე „ბრაუნშვაიგსაც", რომელსაც მართალია, ორი მოგება აქვს, მაგრამ უკვე მე-12 შეხვედრა წააგო. ბრაუნშვაიგელთა გზა აშკარად მეორე ბუნდესლიგისკენ მიდის.

- „ჰამბურგის" ჰოლანდიელი მარგალიტი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ „ბაიერნთან" მანაც ვერაფერი გააწყო (1:3) და თანაც, ისევ დაშავდა...

- ცუდად აქვს საქმე მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჰოლანდიელსაც. ერთ დროს დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდი **ლუუკ დე იონგი** „მაინცთან" მხოლოდ სამი წუთილა ათამაშეს და ნელ-ნელა დასტურდება, რომ ამ ფეხბურთელის ყიდვა „გლადბახის" ბოსების დიდი შეცდომა იყო.

- „ვოლფსბურგისა" და „შტუტგარტის" მატჩის ანტიგმირი შვაბთა კაპიტანი **კრისტიან გენტნერი** იყო, რომელმაც ჯერ ორი რეალურზე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, მერე კი ავტოგოლიც გაიტანა. შტუტგარტელები 1:3 დამარცხდნენ.

- საქმე საქმეზე რომ მიდგება, „ლევერკუზენი" მაგრად ჩაფლავდება ხოლმე და „ვიცეკუზენის" ზედმეტსახელს ამართლებს. ამჯერად „ბაიერნის" ნომერ პირველ მდევრად ქცეულმა „ბაიერმა" საკუთარ კედლებში კრიზისში მყოფ „აინტრახტთან" წააგო (0:1), რითაც „დორტმუნდთან" და „გლადბახთან" უპირატესობის გაზრდის შანსი ხელიდან გაუშვა და უკვე „ბაიერნსაც" შვიდი ქულით ჩამორჩება.

### პოზიტივები

- „ჰერტას" თავდამსხმელ **ადრიან რამოსის** ბედს ახლა ძაღლი არ დაჰყეფს. კოლუმბიელმა „ვერდერთან" 3:2-ზე მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და ამ სეზონში უკვე 10 გოლი აქვს გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ადგილზეა და **რობერტ ლევანდოვსკის** მიუახლოვდა.

- „მაინცის" მცველებმა „გლადბახის" შესანიშნავ შემტევებს გაუძლეს და სასურველი 0:0 დააფიქსირეს, რაც განსაკუთრებით 22 წლის **შტეფან ბელის** დამსახურებაა, რომელმაც მიონხენგლადბახელთა გოლეადორ **მაქს კრუზეს** არაფერი გააბედვინა.

- თუმცა ამ შეხვედრას მოგებულიც ჰყავდა: „გლადბახის" შვეიცარიელი თავკაცი **ლუსიენ ფავრი**, რომელსაც უკვე მთელი საფეხბურთო გერმანია აქებს. მიონხენგლადბახელთა მენეჯერმა **მაქს ებერლმა** თქვა, ძალიან გაგვიმართლა, ეს მწვრთნელი ხელში რომ ჩავიგდეთ და ლუსიენს სულ მალე ახალ კონტრაქტს შევთავაზებთო. პირველ რიგში სწორედ ფავრის დამსახურებაა ის, რომ „გლადბახი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის.

- „ვოლფსბურგმა" მიმდინარე სეზონში მე-9 თამაში მოიგო, 16 ტურის შემდეგ მე-5 ადგილზეა და მინიმუმ ევროპალიგის საგზურს უმიზნებს. „შტუტგარტთან" „მგლების" ერთ-ერთი მთავარი გმირი შვეიცარიელი მეკარე **დიეგო ბენალიო** გახლდათ.

- „ვოლფსბურგში" გამორჩეულად კარგ სეზონს ატარებს მარცხენა მცველი **რიკარდო როდრიგესიც**, რომელიც, როგორც ამბობენ, „ჩელსის" მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** მოხვდა თვალში. პორტუგალიელმა როდრიგესისადმი ინტერესი დაადასტურა.

- კიდევ ერთი შვეიცარიელი, რომელიც ასევე ქებას იმსახურებს, „ბაიერნის" ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირია**. ეს უკანასკნელი ახლახან გამოჯანმრთელდა და „ჰამბურგთან" მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გოლიც გაიტანა.

- ზოგადად, „ბაიერნმა" „ჰამბურგის" დამარცხებით შემოდგომის ჩემპიონობა ოფიციალურად გაიფორმა. მიუნხენელებს 16 ტურის შემდეგ 44 ქულა აქვთ და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მშვიდად, მშვენიერი განწყობით გაემგზავრნენ.

- „ჰანოვერმა" „ნიურნბერგთან" თამაშის შემოტრიალება (0:3-დან 3:3) მას მერე შეძლო, რაც „წითლების" თავკაცმა **მირკო სლომკამ** მოედანზე **ლეონარდო ბიტენკური** შეუშვა. ექსდორტმუნდელმა მარჯვენა ფლანგი აიკლო და ერთ გოლში ლომის წვლილი შეიტანა.

- „შალკეს" ბერძენი მცველი **კირიაკოს პაპადოპულოსი** მოედანს ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და პირველივე შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა. გელზენკირხენელებმა „ფრაიბურგი" 2:0 დაამარცხეს და საუკეთესო ექვსეულში გამაგრდნენ. „შალკეს" მწვრთნელ **იენს კელერისთვის** ესეც შეღავათია.

- ფრანკფურტის „აინტრახტმა" „ლევერკუზენში" 1:0 გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ მოგება ჯერ კიდევ შეუძლია. შეგახსენებთ, რომ **არმინ ფეეს** გუნდს 10-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა.

**გოტფრიდ ლენცი**

### XVI ტურის გმირი
### დიეგო ბენალიო
### (ვოლფსბურგი)



„ვოლფსბურგის" მეკარე დიეგო ბენალიოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. არც მაშინ, როცა განსაკუთრებით კარგად თამაშობს ხოლმე. მასზე ამჯერადაც სხვებმა ილაპარაკეს - მაგალითად, მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა კრისტიან გენტნერმა, რომელიც ბენალიოს ყოფილი თანაგუნდელია (2009-ში „ვოლფსბურგში" ერთად გახდნენ ჩემპიონები): „დიეგომ გოლი მომპარა!" - თქვა გენტნერმა. არა მარტო მას, „ვოლფსბურგისა" და „შტუტგარტის" შეხვედრაში, რომელიც „მგლებმა" 3:1 მოიგეს, ბენალიომ არაერთი გოლი მოიპარა.

### სეზონის სიმბოლური ნაკრები




### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშ. შეფ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 13 | 2.09 |
| 2. არიენ რობენი | ბაიერნი | 12 | 2.19 |
| 3. მარკო როისი | დორტმუნდი | 16 | 2.43 |
| 4. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 16 | 2.50 |
| 5. სიდნი სემი | ბაიერნი | 16 | 2.50 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 16 | 2.54 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 14 | 2.58 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 14 | 2.68 |
| 9. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 16 | 2.69 |
| 10. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 15 | 2.70 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 16 | 11 | 6 | 17 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 13 | 6 | 9 | 15 |
| 3. მაქს კრუზე | გლადბახი | 16 | 8 | 6 | 14 |
| 4. ადრიან რამოსი | ჰერტა | 16 | 10 | 4 | 14 |
| 5. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 16 | 9 | 4 | 13 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 16 | 7 | 6 | 13 |
| 7. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 15 | 8 | 5 | 13 |
| 8. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 14 | 6 | 6 | 12 |
| 9. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 13 | 4 | 8 | 12 |
| 10. რაფაელი | გლადბახი | 16 | 8 | 4 | 12 |

## ამბები


დონ-ვონ ჯი

### კორეელი ჯი დორტმუნდში?

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იანვარში დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელები წინა ხაზის გაძლიერებას გეგმავენ და თვალი „სანდერლენდის" 22 წლის შემტევ **დონ-ვონ ჯის** დაადგეს. ეს ინფორმაცია გაზეთმა „ბილდმა" გაავრცელა, თავად დორტმუნდელები კი კონკრეტული კომენტარის გაკეთებას ერიდებიან. შეგახსენებთ, რომ კორეელი ფეხბურთელი წინა სეზონში ბუნდესლიგაში თამაშობდა - „სანდერლენდიდან" „აუგსბურგში" იყო განათხოვრებული და ბუნდესლიგის 17 შეხვედრაში 5 გოლის გატანა მოახერხა.

### შაალფი შალკეში გადაწყდა?

გერმანულ პრესაში გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „შალკეს" **თომას შაალფს** ჩააბარებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა კვირას „ფრაიბურგი" 2:0 დაამარცხა, კლუბის ხელმძღვანელები **იენს კელერის** დატოვებას მაინც არ აპირებენ და შაალფის დანიშვნაზე შეთანხმდნენ.

### ლამი: გამაგებინეთ ბოლოს და ბოლოს

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** ჟურნალ „შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაზე გვიან მაისში სურს იმის გაგება, სად ათამაშებს ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მსოფლიოს ჩემპიონატზე - მარჯვენა მცველად, თუ საყრდენ ნახევარმცველად.

*„ჩემთვის ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას ის, რომ თუ საჭირო იქნება, გერმანიის ნაკრებშიც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ვითამაშო. იმედი მაქვს, რომ გერმანიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ანუ დაახლოებით მაისის დასაწყისში, უკვე მეცოდინება, რომელ პოზიციაზე გეგმავს ლიოვი ჩემს გამოყენებას,"* - უთხრა ლამმა „შპიგელს".

**გოტფრიდ ლენცი**

### გვიდოლინი: მზად ვარ წავიდე

„უდინეზემ" „ნაპოლისთან" გასვლით შეხვედრაში საპატიო ფრეს მიაღწია, მაგრამ საკუთარ კედლებში „ტორინოსთან" დამარცხდა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდი კრიზისშია. ველარც **ანტონიო დი ნატალე** იტანს ძველებური სიხშირით გოლებს და თითქოს, გამოსავალიც არსად ჩანს. ამ თემაზე ჟურნალისტებს გუნდის მთავარი მწვრთნელი ესაუბრა და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზადაა პოსტი დატოვოს და არავითარი კომპენსაცია არ მოითხოვოს:

*„მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ და კიდევ უფრო გავირთულეთ სატურნირო მდგომარეობა. „უდინეზე" ჩემთვის მეორე ოჯახია და როდესაც გუნდს ასეთ მდგომარეობაში ვხედავ, ძალიან განვიცდი. მთავარია კრიზისი დავძლიოთ და თუ ამისთვის ჩემი წასვლა იქნება საჭირო, განცხადებას დღესვე დავწერ. მართალია, კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ კომპენსაციის მოთხოვნას ნამდვილად არ ვაპირებ. უახლოეს დღეებში, კლუბის მესვეურებს დაველაპარაკები და თუ დავრწმუნდი, რომ პრობლემა ჩემშია, პოსტს მაშინვე დავტოვებ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტურის შეჯამება

# კარგი განწყობის მიზეზთა დასტა

შაბათს „ეტიჰადზე" დატრიალებული ამბებით შეუძლებელი იყო, „სიტის" ბანაკში კმაყოფილები არ დარჩენილიყვნენ. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: უპირველესად ის, რომ „არსენალი" ცხრილის ლიდერი იყო და განადგურების მიუხედავად ასეთად დარჩა; „მეთოფეებს" იქამდე სტუმრად ჩატარებულ 7 შეხვედრაში 16 ქულა ჰქონდათ, რაც საუკეთესო შედეგი იყო პრემიერლიგაში და ასეთად რჩება მარცხის მერეც; დაბოლოს, ჩრდილოლონდონელებს სტუმრად გამართულ თამაშებში იმაზე ნაკლები (5) ჰქონდათ გაშვებული, ვიდრე ერთ შეხვედრაში მიიღეს. უქმეების შემდეგ ამ მაჩვენებლით საუკეთესო უკვე „ევერტონი" (8) შეიქნა. აი, რა თქვეს გუნდების დამრიგებლებმა მატჩის შემდგომ:

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): *„კარგია ლამაზი და შედეგიანი ფეხბურთის ყურება, თუმცა მერჩივნა, 6:0 მოგვეგო, ვიდრე 6:3. სულაც არ არის წარმოუდგენელი, რომ ითამაშო მოგე-*


მანუელ პელეგრინიმ „არსენალის" ამბიციებს საფუძველი შეურყია

*ბაზე, შემტევ სტილში და საკუთარი კარიც მშრალად შეინახო. თავის დაცვა მთელმა გუნდმა თანაბრად უნდა იცოდეს. „არსენალმა" სამჯერ გაგვიტანა და ამას გარდა მომენტები კიდევ ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ ამ მხრივ ბევრი სამუშაო გვაქვს. თავდასხმის გარჯით კმაყოფილი ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერლიგის საუკეთესო უკანა ხაზს ამდენ გოლს ვერავინ გაუტანს".*

**არსენ ვენგერი** (არსენალი): *„ჩემპიონატში ყველაზე ძლიერი უკანა ხაზი გვყავს, თუმცა დღეს უპატიებლად ბევრი გოლი გავუშვით. სიმართლე ითქვას, იმდენად ღია თამაში წავიდა, რომ 6 გოლის გატანა ჩვენც შეგვეძლო. ღია თამაშში კი ბევრჯერ შევცდით. სამწუხაროა, რომ სხვაობა „სიტისთან" შეიძლებოდა, 9 ქულა გაგვეხადა, ფაქტობრივად კი მეტოქე 3 ქულამდე მოგვიახლოვდა".*

### ტურის ფაქტები

„მანჩესტერ სიტისა" და „არსენალის" წინა 6 შეხვედრაში 6 წითელი ბარათი იყო გამოყენებული. ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

6:3-ის შემდეგ „მანჩესტერ სიტის" საშინაო შეხვედრებში დაცვაში საუკეთესო შედეგი აღარ აქვს. მასზე ნაკლები გოლი აქვს „ჰალს" (3) და მასავით 5 გოლი - „სტოკს".

„მანჩესტერ სიტიმ" 5 ბურთით გააუმჯობესა 1962/1963-ის სეზონში „ტოტენჰემის" მიერ დამყარებული რეკორდი, რომელსაც ჩემპიონატის პირველ 8 საშინაო შეხვედრაში 30 გოლი ჰქონდა გატანილი.

„არსენალთან" შეხვედრა „სიტისთვის" ზედიზედ 58-ე იყო „ეტიჰადზე", რომელშიც მას მინიმუმ 1 გოლი გააქვს.

„არსენალს" „სიტისთან" უკანასკნელი 7 შეხვედრიდან მხოლოდ 1 აქვს მოგებული.

წაგების მიუხედავად „არსენალს", „ტოტენჰემთან" ერთად, სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ყველაზე მეტი (16) ქულა აქვს.

„არსენალს" ვენგერის ხელმძღვანელობით პრემიერლიგაში 1 299 ქულა აქვს.

■ ■ ■

„კარდიფმა" „ვესტ ბრომვიჩი" უკანასკნელი 8 საშინაო შეხვედრიდან პირველად დაამარცხა.

„კარდიფმა" შეწყვიტა 5-თამაშიანი მოუგებელი სერია.

კარდიფელ ტერნერს, კოლკერსა და უიტინგემს 16-ვე ტური თავიდან ბოლომდე აქვთ ნათამაშები.

■ ■ ■

„ჩელსიმ" ბოლო 11 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოახერხა კარის მშრალად შენახვა. **მოურინიოს** გუნდს ამ ეტაპზე უკვე მეტი აქვს გაშვებული (18), ვიდრე პორტუგალიელის სადებიუტო 2004/05-ის სეზონში სრულად (15).

მოურინიოს პრემიერლიგაში „სტემფორდ ბრიჯზე" ჩატარებული 68 შეხვედრიდან ჯერ ერთიც არ წაუგია (53 მოგება, 15 ფრე).

პალასელმა **შამახმა** კარიერაში პირველად მოახერხა ზედიზედ სამ შეხვედრაში გატანა.

■ ■ ■

„ევერტონმა" „გუდისონ პარკზე" „ფულჰემი" მეცამეტედ დაამარცხა, რაც მისთვის საუკეთესო შედეგია პრემიერლიგელ მეტოქეებთან დაპირისპირებებში.

„ევერტონის" წაუგებელმა სერიამ დედაქალაქელებთან 8 მატჩს უწია.

„გუდისონ პარკზე" მასპინძელთა წაუგებელი სერია 17-მდე გაიზარდა (12 მოგება, 5 ფრე).

„ფულჰემმა" 7-დან მე-6 გასვლითი შეხვედრა დათმო.

■ ■ ■

„ნიუკასლმა" „საუთჰემპტონთან" ბოლო 11 საშინაო შეხვედრიდან მხოლოდ მეორედ ვერ მოიგო.

24 თებერვლის შემდეგ „კაჭკაჭებს" პრემიერლიგის 27 შეხვედრაში 2 გოლზე მეტი არ გაუტანიათ.

■ ■ ■

„ვესტ ჰემს" „სანდერლენდთან" 5 თამაშია, არ მოუგია.

„ჩაქუჩებს" უკანასკნელ 15 შეხვედრაში მხოლოდ 2 მოგება აქვთ.

„ვესტ ჰემმა" სეზონში მეხუთედ ითამაშა 0:0, „სანდერლენდმა" კი მხოლოდ მესამედ მოახერხა თამაშის მშრალად ჩამთავრება.

„სანდერლენდს" 16 ტურში კარში მხოლოდ 43 ზუსტი დარტყმა აქვს.

„შავ კატებს" უფრო ნაკლები გოლი აქვთ გატანილი (12), ვიდრე **ლუის სუარესსა** (17) და **სერხიო აგუეროს** (13).

■ ■ ■

„სტოკს" „ჰალთან" შეხვედრის შემდეგ 215 წესის დარღვევა დაუგროვდა სეზონის განმავლობაში, რაც ყველაზე ცუდი შედეგია ჩემპიონატში.

საშინაო შეხვედრებში „ჰალზე" (7) ნაკლები გოლი მიმდინარე სეზონში მხოლოდ „ასტონ ვილას" (6) აქვს გატანილი.

**სტივ ბრუსს მარკ ჰიუზთან** სამწვრთნელო ასპარეზზე 14 შეხვედრაში 4 მოგება, 4 ფრე და 6 წაგება აქვს.

■ ■ ■

„ასტონ ვილას" „მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო 36 შეხვედრაში მხოლოდ 1 მოგება აქვს (9 ფრე, 26 წაგება).

„ვილა პარკზე" „იუნაიტედთან" მასპინძელმა ზედიზედ მე-18 შეხვედრა ვერ მოიგო (12 წაგება, 6 ფრე).

„იუნაიტედმა" ბოლო 12 თამაშში მხოლოდ მეორედ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

■ ■ ■

„ნორვიჩისა" და „სუონსის" ბოლო 4 თამაშში 20 გოლი იყო გატანილი.

„ნორვიჩის" კარში 16 ტურში 93-ჯერ დაარტყეს ზუსტად, რაც ჩემპიონატში ყველაზე ცუდი შედეგია.

**გარი ჰუპერმა** „კეროუ როუდზე" ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა.

■ ■ ■

„ტოტენჰემს" „ლივერპულთან" ბოლო 6 საშინაო შეხვედრა ჰქონდა მოგებული ყველა ტურნირის გათვალისწინებით.

„ლივერპულს" 16 ტურში 107 ზუსტი დარტყმა დაუგროვდა მეტოქეთა კარებში.

„ლივერპულმა" პრემიერლიგის ბოლო 13 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

ლუის სუარესს 11 შეხვედრაში უფრო მეტი გოლი აქვს (17) ანგარიშზე ვიდრე პრემიერლიგის გუნდების ნახევარს: „ასტონ ვილას" (16), „ტოტენჰემს" (15), „სტოკს" (15), „ნორვიჩს" (15), „ფულჰემს" (15), „ჰალს" (13), „ვესტ ჰემს" (13), „კარდიფს" (12), და „სანდერლენდსა" (12) და „პალასს" (11).

### სტატისტიკა XVI ტურის შემდეგ

**საუკეთესო ბომბარდირები**

17 - ლუის სუარესი (ლივერპული)
13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**საუკეთესო შემსრულებლები**

7 - მესუთ იოზილი (არსენალი)
6 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ რემსი (არსენალი)
5 - პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**გოლი+პასი**

21 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 17+4
17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 13+4,
14 - აარონ რემსი (არსენალი) - 8+6
13 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 8+5

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები**

7 - პაულინიო (ტოტენჰემი)
6 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი), მარკ ნოუბლი (ვესტ ჰემი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

**სიმბოლური ნაკრები**




გვერდი მოამზადა ლევან ბიბილაშვილმა

## ამბები


ანდრე ვილაშ ბოაშს კარისკენ მიუთითეს

### ვილაშ ბოაში ტოტენჰემიდან გააგდეს

პრემიერლიგაში მე-3 სამარცხვინო მარცხის შემდეგ (ვესტ ჰემი 0:3, „სიტი" 0:6, ლივერპული 0:5) „ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ **ანდრე ვილაშ ბოაში** გუშინ თავისთან დაიბარა და როგორც მოსალოდნელი იყო, *„მხარეებმა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს"*. ყოველ შემთხვევაში ასე ვკითხულობთ „დეზების" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

### ცენტრალურ მატჩს შეწირულნი

„არსენალთან" მატჩის მეორე ტაიმის სტარტზე „მანჩესტერ სიტის" 25 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა **სერხიო აგუერომ** რიგით სათამაშო ეპიზოდში, ისე, რომ არავინ შეხებია, წვივის კუნთის სერიოზული ტრავმა მიიღო და წინასწარი მონაცემებით გუნდს 6 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო შემთხვევაში მას 9 თამაში გაუცდება.

იმავე შეხვედრაში ოღონდ რამდენიმე წუთით ადრე დაიმტვრა „არსენალის" დაცვის ბურჯი **ლორან კოშელნიც**. „ტელეგრაფის" ცნობით, 28 წლის ფრანგი კალენდარული წლის ბოლომდე ნამდვილად ვერ ითამაშებს, თუმცა საბოლოო დიაგნოზზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

### ევერტონი დეულოფეუს გარეშე დარჩა

„ევერტონს" უახლოესი თამაშების ჩატარება 19 წლის **ჟერარდ დეულოფეუს** გარეშე მოუწევს. ესპანელი შუახაზელი „ფულჰემთან" 64-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, თუმცა თამაშის ჩამთავრება ვერ შეძლო. ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. *„არ ვიცი რამდენად სერიოზულია კუნთის ტრავმა, თუმცა ერთი შეხედვით არც მსუბუქ დაზიანებას ჰგავს, არც ძალიან რთულს. სამწუხაროა, რადგან მას უკვე ამ ეტაპზე შეეძლო ჩვენთვის დიდი სარგებლის მოტანა,"* - განაცხადა **რობერტო მარტინესმა**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ჟერარდ დეულოფეუ

## იტალია

### სერია A. XVI ტური

**მილანი-რომა 2:2**

**გოლები:** 0:1 დესტრო (13), 1:1 საპატა (29), 1:2 სტროტმანი (51-პენ.), 2:2 მუნტარი (77).

**მილანი (4-3-2-1):** აბიატი (46. გაბრიელი) - დე შილიო, საპატა, ბონერა, ემანუელსონი (89. ძაკარდო) - პოლი (66. მატრი), მუნტარი, დე იონგი - მონტოლივო, კაკა - ბალოტელი.

**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი (44. ბურდისო), ბენატია, დოდო - ბრედლი, დე როსი, სტროტმანი - ლიაიჩი (81. ფლორენცი), ჟერვინიო, დესტრო (63. ტოტი).

**გაფრთხილება:** მონტოლივო, კაკა, ბალოტელი, გაბრიელი - დე როსი, სტროტმანი.

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 10-9(4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

მაყურებელი: 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 16 | 14 | 1 | 1 | 35-10 | 43 |
| 2. რომა | 16 | 11 | 5 | 0 | 31-7 | 38 |
| 3. ნაპოლი | 16 | 11 | 2 | 3 | 35-19 | 35 |
| 4. ფიორენტინა | 16 | 9 | 3 | 4 | 32-19 | 30 |
| 5. ინტერი | 16 | 7 | 7 | 2 | 36-21 | 28 |
| 6. ვერონა | 16 | 8 | 2 | 6 | 27-25 | 26 |
| 7. ტორინო | 16 | 5 | 7 | 4 | 26-23 | 22 |
| 8. ლაციო | 16 | 5 | 5 | 6 | 21-22 | 20 |
| 9. ჯენოა | 16 | 5 | 5 | 6 | 17-19 | 20 |
| 10. მილანი | 16 | 4 | 7 | 5 | 25-25 | 19 |
| 11. პარმა | 16 | 4 | 7 | 5 | 22-24 | 19 |
| 12. კალიარი | 16 | 4 | 7 | 5 | 17-23 | 19 |
| 13. ატალანტა | 16 | 5 | 3 | 8 | 17-21 | 18 |
| 14. სამპდორია | 16 | 4 | 5 | 7 | 18-24 | 17 |
| 15. უდინეზე | 16 | 5 | 2 | 9 | 15-21 | 17 |
| 16. კიევო | 16 | 4 | 3 | 9 | 12-19 | 15 |
| 17. სასუოლო | 16 | 3 | 5 | 8 | 17-35 | 14 |
| 18. ლივორნო | 16 | 3 | 4 | 9 | 15-27 | 13 |
| 19. ბოლონია | 16 | 2 | 6 | 8 | 16-31 | 12 |
| 20. კატანია | 16 | 2 | 4 | 10 | 10-28 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - როსი (ფიორენტინა); 10 - ტევესი (იუვენტუსი); 9 - პალასიო (ინტერი)

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XVI ტური

**ვალიადოლიდი-სელტა 3:0**

**გოლები:** 1:0 ხავი გერა (60), 2:0 ხავი გერა (67), 3:0 ხავი გერა (86)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, ხესუს რუედა, მარკ ვალიენტე, პენია - ა. რუბიო, ფ. როსი - ებერტი, დ. ლარსონი (78. ბერგდიხი), ო. რამოსი (59. ოსკარი) - ხავი გერა (90. მანუჩო)

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი (86. დავიდ კოსტასი), აურტენეჩე - რაფაელ ალკანტარა, ბორხა ოუბინია, ალექს ლოპესი (61. სანტი მინა) - ა. ფერნანდესი, ნოლიტო (60. ორელიანა) - შარლესი

**გაფრთხილება:** ო. რამოსი, ხავი გერა, მანუჩო - შარლესი, ალექს ლოპესი, ფონტასი, უგო მალიო

**გაძევება:** შარლესი (56. სელტა)

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-14 (6-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

მაყურებელი: 12 564

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 14 | 1 | 1 | 44-10 | 43 |
| 2. ატლეტიკო | 16 | 14 | 1 | 1 | 43-9 | 43 |
| 3. რეალი | 16 | 12 | 2 | 2 | 46-19 | 38 |
| 4. ბილბაო | 16 | 9 | 3 | 4 | 24-20 | 30 |
| 5. ვილიარეალი | 16 | 8 | 4 | 4 | 26-16 | 28 |
| 6. სოსიედადი | 16 | 7 | 5 | 4 | 30-22 | 26 |
| 7. სევილია | 16 | 6 | 5 | 5 | 30-28 | 23 |
| 8. ხეტაფე | 16 | 7 | 2 | 7 | 18-22 | 23 |
| 9. ვალენსია | 16 | 6 | 2 | 8 | 21-26 | 20 |
| 10. გრანადა | 16 | 6 | 2 | 8 | 14-19 | 20 |
| 11. ლევანტე | 16 | 5 | 5 | 6 | 15-22 | 20 |
| 12. ესპანიოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-21 | 19 |
| 13. მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 18-22 | 17 |
| 14. ელჩე | 16 | 4 | 5 | 7 | 16-22 | 17 |
| 15. სელტა | 16 | 4 | 3 | 9 | 20-26 | 15 |
| 16. ვალიადოლიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 19-25 | 15 |
| 17. ოსასუნა | 16 | 4 | 2 | 10 | 13-27 | 14 |
| 18. ალმერია | 16 | 3 | 4 | 9 | 16-32 | 13 |
| 19. ვალეკანო | 16 | 4 | 1 | 11 | 15-38 | 13 |
| 20. ბეტისი | 16 | 2 | 4 | 10 | 15-35 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), დიეგო კოსტა (ატლეტ.); 10 - ანტუან გრიზმანი (სოსიედ.), ხავი გერა (ვალიად.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XIX ტური


„სან ლორენსო“ ზეიმობს

# ტიტული, რომელმაც პაპი გააბედნიერა

## ფრანსისკ პირველის საყვარელი გუნდი ჩემპიონია

**ნიუელსი-ლანუსი 2:2**

გოლები: 1:0 პ. პერესი (53), 1:1 გოლტცი (55), 2:1 ისკიერდოსი (67-საჯ. კარში), 2:2 ხ. პერეირა დიასი (74)

**ველესი-სან ლორენსო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ლორენსო | 19 | 9 | 6 | 4 | 29-17 | 33 |
| 2. ლანუსი | 19 | 8 | 7 | 4 | 32-18 | 31 |
| 3. ველესი | 19 | 8 | 7 | 4 | 24-16 | 31 |
| 4. ნიუელსი | 19 | 8 | 7 | 4 | 27-21 | 31 |
| 5. არსენალი | 19 | 7 | 9 | 3 | 22-19 | 30 |
| 6. ბელგრანო | 19 | 8 | 5 | 6 | 28-20 | 29 |
| 7. ბოკა | 19 | 8 | 5 | 6 | 25-24 | 29 |
| 8. ატლ. რაფაელა | 19 | 8 | 5 | 6 | 25-25 | 29 |
| 9. ესტუდიანტესი | 19 | 6 | 9 | 4 | 16-14 | 27 |
| 10. როსარიო | 19 | 7 | 5 | 7 | 22-24 | 26 |
| 11. ხიმნასია LP | 19 | 6 | 8 | 5 | 21-24 | 26 |
| 12. ტიგრე | 19 | 7 | 4 | 8 | 20-21 | 25 |
| 13. არ. ხუნიორსი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-19 | 25 |
| 14. გოდოი კრუსი | 19 | 6 | 6 | 7 | 17-17 | 24 |
| 15. ოლიმპო | 19 | 6 | 5 | 8 | 19-25 | 23 |
| 16. ოლ ბოისი | 19 | 5 | 7 | 7 | 19-19 | 22 |
| 17. რივერი | 19 | 5 | 6 | 8 | 12-14 | 21 |
| 18. კილმესი | 19 | 5 | 6 | 8 | 14-23 | 21 |
| 19. რასინგი | 19 | 4 | 4 | 11 | 12-24 | 16 |
| 20. კოლონი | 19 | 3 | 3 | 13 | 8-25 | 6* |


რომის პაპი „სან ლორენსოს“ მაისურით

**შენიშვნა:** „კოლონს“ - 6 ქულა

**ბომბარდირები:** 9 - მაურო მატოსი (ოლ ბოისი), სესარ პერეირა (ბელგრანო); 8 - ემანუელ ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი), იგნასიო პიატი (სან ლორენსო), დიეგო ვერა (ატლეტიკო რაფაელა); 7 - ლუკას პრატო (ველეს სარსფილდი), სანტიაგო სილვა (ლანუსი)

**ასისტენტები:** 6 - როდრიგო დეპეტრისი (ატლეტიკო რაფაელა), ხუან სანჩეს მინიო (ბოკა ხუნიორსი); 5 - ხავიერ კამპორა (ოლ ბოისი), ხუან მანუელ მარტინესი (ბოკა ხუნიორსი), მატიას პერეს გარსია (ტიგრე)

„სან ლორენსო“ არგენტინის ჩემპიონია! **ხუან ანტონიო პიცის** გუნდი 2007 წლის შემდეგ პირველად გაჩემპიონდა, თავად ყოფილმა ფეხბურთელმა კი სამწვრთნელო კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ბოლო ტურის წინ მართლაც უნიკალური სიტუაცია იყო: პირველობის შანსი ოთხ გუნდს ჰქონდა და ოთხეული სწორედ ერთმანეთს ხვდებოდა. „ნიუელს ოლდ ბოისის“ და „ლანუსის“ შეხვედრის გამარჯვებულს ოქროს მატჩში მონაწილეობის უფლების მიღება შეეძლო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ პარალელურ მატჩში ან „ველეს სარსფილდი“ მოიგებდა, ან შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა. პირდაპირ ტიტულის მოგების შანსი კი „ველესს“ და „სან ლორენსოს“ ჰქონდათ.

ორივე შეხვედრა ერთდროულად დაიწყო და არც არის გასაკვირი, რომ პირველ ტაიმში გუნდები არ რისკავდნენ. შედეგად, საკმაოდ მოსაწყენი 45 წუთი და ორი 0:0 მივიღეთ. აი, შეხვედრების მეორე ნახევარში კი სულ სხვა სურათი იყო. მარსელო ბიელსას სახელობის სტადიონზე მოთამაშე გუნდებს ფრე არაფერში აწყობდათ და ამიტომაც იყო, რომ გუნდებმა შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და მაყურებელმა ოთხი გოლის გარდა კიდევ არაერთი საგოლე მომენტი იხილა. საბოლოოდ, ეს შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩემპიონი „ხოსე ამალფიტანიზე“ უნდა გარკვეულიყო.

„სან ლორენსო“ ფრთხილობდა. პირველ ტაიმში პიცის გუნდმა რამდენიმე მომენტი კი შექმნა, მაგრამ მეორე ნახევარში „წმინდანები“ დაცვაში ჩასხდნენ, რის გამოც კინაღამ დაისაჯნენ... მატჩის გადამწყვეტი მომენტი 89-ე წუთზე დადგა, როდესაც სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად, ბურთი **აგუსტინ ალიონეს** 11-მეტრიანის ნიშნულთან მიუვიდა, 19 წლის ფეხბურთელმა ძლიერად დაარტყა კიდეც - გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ **სებასტიან ტორიკომ** საოცარი რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი კატასტროფისგან იხსნა. ამ ეპიზოდის სიტყვებით ზუსტად გადმოცემა საკმაოდ რთულია, რადგან ტორიკომ მართლაც არანორმალურად რთული ბურთი მოიგერია. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტამდე რამდენიმე წუთით ადრე ალიონემ ძელსაც გაარტყა, ასე რომ, „სან ლორენსო“ გადარჩა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

საფინალო სასტვენის შემდეგ ცრემლებს ვერ იკავებდა გუნდის ლეგენდა **ლეანდრო რომანიოლი:** *„მას შემდეგ რაც აქ დავბრუნდი, ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ, მაგრამ სწორედ ამ უარყოფითი ფაქტების ხარჯზე მივაღწიეთ ამ წარმატებას. თასის ფინალში განცდილი მარცხი ძალიან მწარე იყო, თუმცა ახლა ამაზე აღარ ვფიქრობთ, რადგან უფრო მნიშვნელოვანი ტიტული მოვიპოვეთ,“* - განაცხადა 2001 წლის 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულმა.

32 წლის რომანიოლი „სან ლორენსოში“ 1998-2004 წლებში თამაშობდა, მეორედ კი გუნდში 2009 წელს ჩაირიცხა. „ენგანჩე“ გუნდთან ერთად მეორედ გაჩემპიონდა, პირველი ტიტული კი 2001 წელს (კლაუსურა) მოიგო.

ბედნიერი იყო „სან ლორენსოს“ ყველაზე ცნობილი გულშემატკივარი **ფრანსისკ პირველი**, რომელსაც დღეს დაბადების დღე აქვს - რომის პაპი 77 წლის გახდა და მან აღნიშნა, რომ დაბადების დღეზე ამაზე უკეთეს საჩუქარზე ვერც კი იოცნებებდა. მისი საყვარელი გუნდის წევრები მასთან შესახვედრად არგენტინიდან გუშინ გაემგზავრნენ და დღეს, იუბილესთან ერთად, კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს საკუთარ ჩემპიონობასაც მიულოცავენ.

სამოყვარულო ჩემპიონატების ჩათვლით, „სან ლორენსომ“ ისტორიაში მე-15 ტიტული მოიპოვა და ის მხოლოდ ერთით ჩამორჩება „რასინგსა“ და „ინდეპენდიენტეს“ (16-16), მეორე ადგილზე „ბოკა ხუნიორსია“ (30), პირველზე კი „რივერ პლეიტი“ (35).

აქვე აღვნიშნოთ, რომ ტორნეო ინისიალში გამარჯვებით „სან ლორენსომ“ მომავალი წლის ლიბერტადორესის თასის ჯგუფური ეტაპის საგზური მიიღო. მის გარდა, არგენტინას ამ ტურნირზე წარადგენენ: „ველეს სარსფილდი“ (2012/13 სეზონის ჩემპიონი), „ნიუელს ოლდ ბოისი“ (2013 წლის ტორნეო ფინალის გამარჯვებული), „არსენალი“ (2012/13 სეზონის არგენტინის თასის მფლობელი) და „ლანუსი“ (2013 წლის კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული). ეს უკანასკნელი საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენესუელური „კარაკასის“ ბარიერის გადალახვას ეცდება, დანარჩენი ოთხი გუნდი კი ასპარეზობას პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს.

● მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. 1/2 ფინალის წინ

# ლიპი VS გვარდიოლა

## 100-დან ერთი შანსი

| წინასწარი ეტაპი | |
|---|---|
| **რაჯა კასაბლანკა-მონტერეი** | **2:1 დ.დ.** |
| გოლები: 1:0 ჩტიბი (25), 1:1 ბასანტა (53), 2:1 გუეპი (95) | |
| **გუანჯოუ-ალ აჰლი** | **2:0** |
| გოლები: 1:0 ელკესონი (49), 2:0 კონკა (67) | |
| **1/2 ფინალი** | |
| **17 დეკემბერი** | |
| გუანჯოუ-ბაიერნი | 23:30 |
| **18 დეკემბერი** | |
| რაჯა კასაბლანკა-ატლეტიკო მინ. | 23:30 |

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს აზიის და ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან - **მარჩელო ლიპის** „გუანჯოუ ევერგრანდი“, **ხოსეპ გვარდიოლას** „ბაიერნის“ წინააღმდეგ. ორივე გუნდი საკლუბო მუნდიალზე პირველად მონაწილეობს და თუ „ბაიერნისთვის“ ეს სადებიუტო მატჩი იქნება, ჩინელებმა პირველი შეხვედრა უკვე გამართეს და შესარჩევ ეტაპზე ეგვიპტურ „ალ აჰლის“ (აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული) 2:0 სძლიეს. აზიელთა მხრიდან გოლები გუნდის ლიდერებმა, ბრაზილიელმა **ელკესონმა** და არგენტინელმა **დარიო კონკამ** გაიტანეს. ამ ორი ფეხბურთელის გარდა, ჩინური გუნდის რიგებში ბრაზილიელი **მურიკი** და ჩინელი **გაო ლინი** გამოირჩევიან. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს: ჩინეთის ჩემპიონატში „გუანჯოუმ“ 78 გოლი გაიტანა და აქედან 65 ბურთი სწორედ ამ კვარტეტის ანგარიშზეა: ელკესონი - 24 გოლი, კონკა - 14, მურიკი - 9, გაო ლინი - 8. ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გატანილი 22 გოლიდან კი ოთხეულმა საკუთარ ანგარიშზე 21 ჩაიწერა - მათ გარდა თავი მხოლოდ **ლუკას ბარიოსმა** გამოიჩინა, რომელიც შემდეგ მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა.

ლიპის ოთხივე ლიდერი მწყობრში ჰყავს, მაგრამ წყვილის აშკარა ფავორიტი, რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნია“, რომელიც მდიდარი კოლექციის გამდიდრებას კიდევ ერთი ტიტულით ეცდება. „რეკორდმაისტერმა“ ბუნდესლიგაში წაუგებელი სერია 41 მატჩამდე გაზარდა და მაროკოში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. გვარდიოლას მხოლოდ ტრავმირებული ტრიო: **რობენი, შვაინშტაიგერი** და **ბადშტუბერი** აკლია.

*„ჩვენ ვიცით, რომ „ბაიერნი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ალბათ, მათთან 100-დან 99 შეხვედრას წავაგებთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ 1/2-ფინალური მატჩი სწორედ ის ერთი თამაში იქნება, რომელშიც გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩეს. ჩვენი სეზონი 5 იანვარს დაიწყო და იქიდან მოყოლებული ფეხბურთელებმა 65 მატჩი ჩაატარეს. გასათვალისწინებელია მგზავრობით გამოწვეული დატვირთვაც. მოთამაშეები, როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად გადაღლილები არიან, მაგრამ „ბაიერნთან“ შეხვედრა იმდენად დიდი მოვლენაა, რომ ყველა პრობლემა უკანა პლანზე გადადის,“* - განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მარჩელო ლიპიმ.

*„მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება წლის ბოლო მიზანია. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ბევრი ტიტული მოვიპოვეთ და გვინდა, რომ 2013 წელი დადებითი შედეგით დავასრულოთ. მატჩები კონტინენტების საუკეთესო გუნდებს შორის არის ყველაზე კარგი საშუალება, რომ დავამტკიცოთ: ჩვენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო გუნდი ვართ,“* - ეს უკვე „ბაიერნის“ კარის დარაჯის, **მანუელ ნოიერის** სიტყვებია.

მეორე ნახევარფინალში, რომელიც ხვალ გაიმართება, ერთმანეთს ტურნირის მასპინძელი „რაჯა კასაბლანკა“ და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი, „ატლეტიკო მინეირო“ შეხვდებიან. ბრაზილიელებს **რონალდინიო** დაუბრუნდათ, რომელმაც ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში ორი გოლი გაიტანა. მწყობრში არიან **ჟო, ჟილბერტო სილვა,** მეკარე **ვიქტორი, ფერნანდინიო, დიეგო ტარდელი, რევერი, ჟოსუე, ალეკსანრო, რიჩარლისონი...** ასეთი შემადგენლობის პირობებში, რა თქმა უნდა, წყვილის ფავორიტი სწორედ **კუკას** გუნდია, ვინც ეცდება, რომ გახდეს მეოთხე ბრაზილიური კლუბი, რომელიც საკლუბო მუნდიალს მოიგებს.


„ბაიერნი“ მუნდიალის მოსაგებად ემზადება

| წინა ფინალები: | |
|---|---|
| 2000 - კორინთიანსი-ვასკო და გამა | 0:0 პენ. 4:3 |
| 2005 - სან პაულო-ლივერპული | 1:0 |
| 2006 - ინტერნასიონალი-ბარსელონა | 1:0 |
| 2007 - მილანი-ბოკა ხუნიორსი | 4:2 |
| 2008 - მანჩესტერ იუნ.-ლდუ კიტო | 1:0 |
| 2009 - ბარსელონა-ესტუდიანტესი | 2:1 დ.დ |
| 2010 - ინტერი-მაზემბე | 3:0 |
| 2011 - ბარსელონა-სანტოსი | 4:0 |
| 2012 - კორინთიანსი-ჩელსი | 1:0 |

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის წილისყრა

# ჩიკი, ტიკი-ტაკა, სიძე, ნათლია და დეჟა-ვუ

## პირველი სუპერწყვილი: სიტი-ბარსელონა

შვეიცარიის ქალაქმა ნიონმა ჩემპიონთა ლიგის წილისყრას უმასპინძლა. ცერემონია ტრადიციულად უეფას გენერალურმა დირექტორმა **ჯანი ინფანტინომ** გახსნა და ჩვეულად არც ისე სასაცილო ხუმრობით დაიწყო, მაგრამ ინფანტინოს ერთი კარგი თვისება აქვს - რაც არ უნდა თქვას, მაინც გეღიმება და მისი დაყენებულ-ღიმილიანი, ანდაც ირონიულად გაბადრული სახე რაღაც საინტერესოსთან ასოცირდება და ადრენალინიც იმატებს. ცოტა ხანში, ინფანტინომ **ლუიშ ფიგუ** მოიხმო დასახმარებლად. მოგეხსენებათ ფინალი 24 მაისს ლისაბონში „ბენფიკას" „და ლუჟზეა" და ფიგუ ფინალის ელჩი გახლავთ. რასაკვირველია, წილისყრა ამ საქმეში ინფანტინოს მარჯვენა ხელისა და ტურნირის დირექტორის **ჯორჯო მარკეტის** გარეშეც ვერ ჩაივლიდა და სცენაზე ისიც გამოჩნდა.

პირველი გუნდი, რომლის სახელიც ბურთულიდან ამოღებულ ფურცელზე ეწერა, „მანჩესტერ სიტი" იყო. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მეორეადგილოსანი, რომელთან დაჯახებაც არავის უნდოდა. ჰოდა, ლუიშ ფიგუმაც გადაწყვიტა „ბარსელონას" ფანებისთვის თავი კიდევ უფრო შეეძულებინა და ბურთულიდან კატალონიური გრანდის სახელი ამოიღო და ირიბადაც გაიღიმა. ამრიგად, თავიდანვე სუპერწყვილი მივიღეთ - „სიტი"-"ბარსელონა".

**ჩიკი ბეგირისტაინი** ცდილობდა არ შეემჩნია, მაგრამ სიხარულისგან გადარეული რომ არ იყო, ცხადია. „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი, გუნდის დირექტორად 7 წელი მუშაობდა და კატალონიურ ტიკი-ტაკას ხუთი თითივით იცნობს, 2012 წლის ოქტომბრიდან კი იგი „სიტის" დირექტორია. ინტრიგების მეტი რა არის... „რეალის" ყოფილი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** ახლა „ქალაქელების" თავკაცის პოსტიდან ლამობს „ბარსას" ძლევას. **იაია ტურეც** თავისი ექსგუნდის დამწუხრებას შეეცდება და **სერხიო აგუეროსა** და **ლიონელ მესის** დუელსაც ვიხილავთ. იცით, რომ **დიეგო მარადონას** ყოფილმა სიძემ ბავშვი მესის მოანათლინა და მათ ესეც დამატებითად აკავშირებთ. ამჟამად ორივე ტრავმირებულია, მაგრამ იმ დროისთვის ორივეს მინდორზე ველით და იმედია, ასეც იქნება. მოკლედ, კიდევ ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება და საუბარი ამ წყვილის გარშემო არ შეწყდება, მაგრამ თებერვლამდე ნერწყვების ყლაპვით დაცდა მოგვიწევს.

ჩიკი ბეგირისტაინი (სიტი): *„სასიამოვნო და სანახაობრივი მატჩები უნდა გამოვიდეს. ცხადია, ჩვენთვის რთული იქნება, რადგან გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე, ძალიან კარგ გუნდს ვხვდებით. თუმცა ცუდად არც ჩვენ გამოვიყურებით და ბევრი გოლი გაგვაქვს, რაც თავდაჯერებას გვმატებს. გავიტანეთ პლზენში, მოსკოვში, მიუნხენში... ჩვენი მწვრთნელი ესპანეთში წლების მანძილზე მუშაობდა და მეტოქეს კარგად იცნობს. ვფიქრობ, ახლა მესიჯები ჰაერშია სერხიო აგუეროსა და ლიონელ მესის შორის. თუ ჩემპიონთა ლიგის მოგება გინდა, უდიდეს გუნდებს უნდა სძლიო, ხოლო „ბარსა" უდიდეს გუნდებს შორისაა".*

*„ჩემი აზრით, ულამაზესი დაპირისპირება იქნება. 16 საუკეთესო გუნდი დარჩა და თებერვალს დაველოდოთ. „ბარსელონა", რეალი" და „ატლეტიკო" ჩემთვის ერთნაირად ძლიერები არიან. ისევე როგორც „დორტმუნდი" და პსჟ. ეს მხოლოდ მესისა და აგუეროს დუელი არ იქნება, უკეთესი გუნდი მოიგებს"* - თქვა პელეგრინიმ.

**ხერარდო „ტატა" მარტინო** (ბარსელონა): *„ძლიერი მეტოქე შეგვხვდა და მგონი, არც „სიტის" ბანაკშია დიდი სიხარული კენჭისყრის შემდეგ. ჩვენი მთავარი მიზანი იქნება, თებერვლისთვის კარგ ფორმაში ვიყოთ. მე ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი პელეგრინის კარიერას, როგორც ევროპაში, ისევე სამხრეთ ამერიკაში. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და მიხარია, რომ მასთან პაექრობა მომიწევს".*

## მეორე სუპერწყვილი: არსენალი-ბაიერნი

არანაკლებ შთამბეჭდავია „არსენალი"-"ბაიერნის" „დეჟავუ წყვილი". ბევრის აზრით, „ბაიერნი" ტურნირის მთავარი ფავორიტია და კარგი შანსი აქვს, პირველი გუნდი გახდეს, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ ორჯერ მოიგებს. თუმცა ამისთვის მიუნხენელებმა ჯერ ლონდონელები უნდა ჩამოიცილონ გზიდან, რისი გამოცდილებაც აგერ ახლო წარსულში აქვთ. ეს გუნდები წინა გათამაშების მერვედფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და ლონდონში რეკორდმაისტერმა 3:1 მოიგო, აი შინ 0:2 წააგო,



დიდიე დროგბას კომენტარი კენჭისყრის შემდეგ: „ძალიან გამიმართლა, ორივე მატჩს სახლში ვთამაშობ

მაგრამ ძალიან ბევრი მომენტი ჰქონდა და შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავიდა. თუმცა ეს „ის არსენალი" აღარ არის, „მეთოფეები" ამ სეზონში ბევრად უკეთ ბურთაობენ.

*„ყველაზე რთული მეტოქე გვერგო იმათგან, რომლებიც შეიძლებოდა შეგვხვედროდა. „დორტმუნდს" უფრო გაუმართლა. თუმცა ველარაფერს შევცვლით. გაფრთხილება არ გვჭირდება, ვიცით, როგორ მეტოქესთან გვაქვს საქმე. „არსენალი" პრემიერლიგის ლიდერია და არც ისე დიდი ხნის წინ მიუნხენში 2:0 მოგვიგო. მცირე უპირატესობა გვაქვს, პირველ მატჩს ლონდონში ვატარებთ"* - განაცხადა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

## საინტერესო მოგონებები

ძალიან საინტერესო იქნება „მილანი"-"ატლეტიკოს" დაპირისპირებაც. გასაჭირში მყოფი „როსონერი" თავისი გამოცდილებითა და საჩემპიონთალიგო დიდებით, უალრესად ჟინიან-ჯინიანი **დიეგო სიმეონეს** შესაშურ ფორმაში მყოფ „ატლეტიკოს" შეებმება.

ფიგუმ თავის მეორე ყოფილ გუნდს ანუ „რეალს" შედარებით იოლი მეტოქე არგუნა „შალკეს" სახით. გელზენკირხენელების ერთი ხელის მოსმით ჩამოწერა შეცდომა იქნება, მაგრამ მადრიდელები რომ აშკარა ფავორიტები არიან, განა, სადავოა? „რეალი" ფინალურ სტადიაზე მიჯრით მეჩვიდმეტედაა, რაც რეკორდია, ისევე როგორც **კრიშტიანო რონალდოს** მიერ ჯგუფურ ეტაპზე გატანილი 9 გოლი. „სამეფო გუნდმა" ჯგუფურ მატჩებში სულ 20 ბურთი შეაგდო, რითაც „მანჩესტერისა" და „ბარსელონას" რეკორდი გაიმეორა, არადა, ბოლო ტურში უამრავი მომენტიდან კიდევ ერთი რომ გამოეყენებინა და რონალდოს პენალტი ნორმალურად დაერტყა, გუნდი ახალ რეკორდსაც დაამყარებდა. „შალკე" კი გემახსოვრებათ, ბოლო ტურში „ბაზელთან" მოგების წყალობით გაძვრა შემდეგ ეტაპზე.

გაუჭირდება „ლევერკუზენსაც", რომელსაც ფორტუნამ მეტოქედ „პარი სენ-ჟერმენი" არგუნა. **სამი ჰიიპიასა** და მისი სიმპათიური გუნდისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პარიზელები წყვილში უდავო ფავორიტები არიან. საერთოდ, დედაქალაქელები ამ სეზონში მინიმუმ ნახევარფინალში გასვლას გეგმავენ. რატომაც არა?

ერთადერთი გერმანული გუნდი, რომელზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაუმართლა, წინა გათამაშების ფინალისტი და მერვედფინალში ნერვიულად გასული „დორტმუნდია". **ლუჩანო სპალეტის** „ზენიტს", რომელიც ჯგუფიდან ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ცოტა - 6 ქულით გავიდა, რალაც განსაკუთრებულის გაკეთება მოუწევს, გერმანელთა ბარიერის დასაძლევად.

დამაინტრიგებელია **დიდიე დროგბას** დაპირისპირება თავის ექსკლუბ ლონდონის „ჩელსისთან". თავის მხრივ, **უესლი სნეიდერი**, რომელმაც „იუვენტუსთან" გამარჯვების გოლი გაიტანა და გუნდი აქამდე მოიყვანა, „ინტერში" ყოფნისას იმ ტრიუმფალურ სეზონში მთავარი იარაღი იყო **ჟოზე მოურინიოს** ხელში. „სიტის" ყოფილი მწვრთნელი **რობერტო მანჩინიც** გაიხსენებს „ლურჯებთან" ჭიდილის გემოს. მისი „გალათასარაი" არც ისე იოლი ჩამოსაშორებელი იქნება.

დაბოლოს, შედარებით გაუმართლა „მანჩესტერ იუნაიტედსაც". თუმცა „ოლიმპიაკოსი" საჩუქარი ნამდვილად არავისთვისაა და **დევიდ მოიესის** ბიჭებს საბერძნეთში საკმაოდ მძიმე მატჩი ელით. ამბობენ, **კოსტას მიტროლლუ** „ლივერპულს" უნდარ და აბა მერსისაიდელებს „მანჩესტერის" დამწუხრებაზე უფრო კარგით, რითი მოაწონებს იგი თავს?

ამ ეტაპზე ლიგას 4 ინგლისური, 4 გერმანული, 3 ესპანური, 1 იტალიური, 1 ფრანგული, 1 ბერძნული, 1 რუსული და ერთიც თურქული გუნდი შემორჩა. მათ შორის ტურნირის 7 ყოფილი გამარჯვებულია. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მეოთხედფინალების წილისყრა 21 მარტს, ხოლო ნახევარფინალების 11 აპრილს გაიმართება. ორივე ცერემონია ჩვენი დროით 15:00 საათზე დაიწყება.

**18 თებერვალი/12 მარტი**

მანჩესტერ სიტი-ბარსელონა
ლევერკუზენი-პსჟ

**19 თებერვალი/11 მარტი**

მილანი-ატლეტიკო
არსენალი-ბაიერნი

**25 თებერვალი/19 მარტი**

ზენიტი-დორტმუნდი
ოლიმპიაკოსი-მანჩესტერი

**26 თებერვალი/18 მარტი**

გალათასარაი-ჩელსი
შალკე-რეალი

## ევროპალიგაც დაწყვილდა

იტალიური და უკრაინული გუნდებით დახუნძლული ევროპალიგის კენჭისყრამ რამდენიმე ძალიან საინტერესო წყვილი და რამდენიმე სუპერწყვილის პერსპექტივა მოგვიტანა. მეთექვსმეტედფინალიდან „პორტუ"-"აინტრახტი" და „სუონსი"-"ნაპოლი" უნდა გამოვარჩიოთ, თანაც ამ წყვილებში გამარჯვებულები შემდეგ ეტაპზე ერთმანეთს ხვდებიან. მერვედფინალში ასევე შეიძლება „ბეტისი"-"სევილიას" დერბი და „იუვენტუსი"-"ფიორენტინას" პრინციპული დაპირისპირება მივიღოთ. ფინალი, მოგეხსენებათ, ტურინში „იუვეს" ახალ სტადიონზეა და ჩემპიონთა ლიგიდან სენსაციურად გამოვარდნილი „ბებერი ქალბატონი" თუნდაც ამის ხათრით მოინდომებს, მაგრამ ჯერ თუ „გალათასარაის" ვერაფერი დააკლო, მეორე თურქულ გუნდს „ტრაბზონს" უნდა აჯობოს. არის სხვა საინტერესო წყვილებიც - „დნიპრო"-"ტოტენჰემი", კიევის „დინამო"-"ვალენსია", „აიაქსი"-"ზალცბურგი".

**20 თებერვალი/27 თებერვალი**

1. ანჟი-გენკი
2. დნიპრო-ტოტენჰემი
3. ბეტისი-რუბინი
4. სუონსი-ნაპოლი
5. იუვენტუსი-ტრაბზონი
6. მარიბორი-სევილია
7. პლზენი-შახტარი
8. ჩორნომორეცი-ლიონი
9. ლაციო-ლუდოგორეცი
10. ესბიერგი-ფიორენტინა
11. აიაქსი-ზალცბურგი
12. მაკაბი (თელ-ავივი)-ბაზელი
13. პორტუ-აინტრახტი
14. დინამო (კიევი)-ვალენსია
15. პაოკ-ბენფიკა
16. ლიბერეცი-ალკმაარი

**მერვედფინალები**

13 მარტი/20 მარტი

| | |
|---|---|
| 16-1 | 6-3 |
| 9-14 | 2-15 |
| 13-4 | 12-11 |
| 8-7 | 5-10 |

გიორგი კაკაბაძე



ევროპალიგის კენჭისყრისას



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალერი ლიპარტელიანი

# ლიპარტელიანი: ტატამიდან ყავარჯნებზე

**არცთუ** სახარბიელო ამბით დაბრუნდა იაპონიაში ჩატარებული ერთობლივი შეკრებიდან ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) - მარცხენა ფეხის ნეკა თითი მოიტეხა. პირველადი დახმარება მას იაპონიაშივე გაუწიეს, თბილისში ჩამოსულს კი შპს „ტრავმატოლოგში" ოპერაცია გაუკეთეს - თითში რკინა ჩაუდგეს, ოთხი ნაკერიც დაადეს და ჯერჯერობით ყავარჯნებით დადის.

ბედის ირონიით, ლიპარტელიანმა ტრავმა შეკრების ბოლო დღეს, ზედ სამშობლოში გამომგზავრების წინ მიიღო. როგორც თავად გვითხრა, ეს ჩვეულებრივ სავარჯიშო ეპიზოდში მოხდა, რაშიც მეტოქეს ოდნავი ბრალიც არ მიუძღვის - ილეთის შესრულებისას თვითონ გამოჰკრა მოწინააღმდეგეს ფეხი უხერხულად და თითის ღია მოტეხილობაც მიიღო. მოგვიანებით რენტგენმა აჩვენა, რომ ძვლები იყო აცდენილი ერთმანეთს. ლიპარტელიანიც და ექიმებიც იმედოვნებენ, რომ თითიდან რკინას ორ კვირაში ამოუღებენ და მერე ფიზიკურ დატვირთვებს მიიღებს, თორემ ლეიბზე ასე უცებ ვერ შევა. თუმცა მოსამზადებელი გეგმიდან გამომდინარე, ჯერ ამის საჭიროება არც იქნება - სავარაუდოდ, 8 იანვრისთვის (ოღონდ ეს თარიღი ჯერ სავარაუდოა და იქნებ შეიცვალოს კიდეც) ნაკრები ბაკურიანში გაემგზავრება საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე, სადაც რბენასა და ფიზიკურ დატვირთვებს შეძლებს. ლეიბზე მზადება ამ შეკრების დასრულების შემდეგ გახდება აქტუალური ანუ თებერვლის დასაწყისისთვის. ექიმები იმედოვნებენ, რომ იმ პერიოდისთვის ლიპარტელიანი სრულფასოვან ვარჯიშს შეძლებს და 8-9 თებერვალს პარიზში გასამართ „დიდ მუზარადზეც" დაუბრკოლებლად იჭიდავებს. მანამდე მას მხოლოდ ორი ეტაპი გაუცდება - 21 დეკემბერს ვერ იჭიდავებს პარიზში, ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, სადაც თურქული „გალათასარაის" შემადგენლობაში უნდა გამოსულიყო და დააკლდება ნაკრების წინასაახალწლო მზადებას, რომელსაც გუნდი ბაკურიანში წასვლამდე თბილისში ატარებს ლეიბზე.

სამწუხაროდ, ლიპარტელიანი ჩვენი გუნდის ერთადერთი პრობლემა არაა - იაპონიაში გამგზავრებამდე ასევე ვარჯიშზე ხელი იტკინა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ადამ ოქრუაშვილმა** (+100). ამის მიუხედავად, ის მაინც წაიყვანეს იაპონიაში ერთობლივი ვარჯიშების გამო. ექიმები ასევე ვარაუდობენ, რომ პარიზის ტურნირისთვის მისი ჯანმრთელობაც დამაკმაყოფილებელი იქნება, თუმცა 21 დეკემბერს ვერც ის იჭიდავებს პარიზში.

ტრავმებთან დაკავშირებით ნაკრებში სასიხარულო ამბებიცაა - იაპონიაში სრულად ივარჯიშეს ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა შავდათუაშვილმა**, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ნუგზარ ტატალაშვილმა** და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა **ზებედა რეხვიაშვილმა** (სამივე - 73). ოლიმპიურ ჩემპიონს საზარდული აწუხებდა, ტატალაშვილს - აგვისტოში, მსოფლიოს პირველობაზე ლეიბზე დარტყმისას მიღებული კისრის ტრავმა, რეხვიაშვილმა კი ცხვირის ავბედითი ხრტილების ოპერაცია გაიკეთა და ამიტომ არიდებდნენ ჭიდაობას. საბედნიეროდ, პრობლემები უკან დარჩა და 21 დეკემბერს პარიზში ტატალაშვილი „გალათასარაის", რეხვიაშვილი კი გერმანული „აბენსბერგის" შემადგენლობაში იქნება. ის უკვე გაემგზავრა გერმანიაში, აი, აჭიდავებენ თუ არა იქ ჩვენებურებს, ეს კლუბების მწვრთნელთა გადასაწყვეტია, თუმცა მთავარია, რომ სადღეისოდ ნაკრების საექიმო შტაბი შეჯიბრებაში მათ გამოსვლას დასაშვებად მიიჩნევს. რაც შეეხება შავდათუაშვილს, ისიც „გალათასარაის" ფალავანია, მაგრამ აღნიშნულ შეჯიბრებაში უცხოელებზე დაწესებული ლიმიტის გამო თურქებს ამჯერად არ მიუწვევიათ.

# ჭრიკიშვილი სეზონის ლიდერია

**ძიუდოისტებმა** წლევანდელი სეზონი დაამთავრეს და უკვე შეიძლება ლაპარაკი მსოფლიოს რეიტინგის საბოლოო ვარიანტზე. მით უფრო, რომ თებერვლამდე, როცა ჯერ სოფიაში ევროპის ღია თასი, მერე კი პარიზში „დიდი მუზარადის" ტურნირი ჩატარდება, მასში სერიოზული ცვლილებები ველარ შევა. მართალია, სოფიამდე მაროკოულ კასაბლანკაში აფრიკის ღია თასიც ტარდება ასევე ქალებსა და ვაჟებში, მაგრამ იქ ევროპა-აზიიდან ან პან-ამერიკიდან ძლიერთაგან ვინმე ჩავიდეს, ფრიად საეჭვოა, და არც სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენი ძიუდოისტები უმეტეს წონებში მოწინავე პოზიციებზე იყვნენ. ძირითადში ახლაც ასეა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების ნაკლებობამ და იმის შემდეგ რიგ შეჯიბრებებში გამოუსვლელობამ მდგომარეობა ოდნავ გააუარესა, ოღონდ ცოტათი და არა იმდენად, ვითარება საგანგაშოდ მივიჩნიოთ. დღეისათვის 7-დან 1 წონაში ვლიდერობთ, 2-ში მეორეზე ვართ, 1-ში – მესამეზე, თუმცა მაჩანჩალებად არც დანარჩენ წონებში ვრჩებით. რეიტინგის ლიდერი **ავთანდილ ჭრიკიშვილია** (81), **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90) მეორეზე რჩებიან, **ადამ ოქრუაშვილი** (+100) – მესამეზე... ერთადერთი წონა, სადაც ისევ ჩავარდნა გვაქვს, 100 კილოგრამია - აქ დღემდე არ გამოგვიჩნდა რეალური ფალავანი...



ავთანდილ ჭრიკიშვილი

### 60 კგ.

ევროპის ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი მსოფლიოს პირველობაზე უმედლობამ (მეხუთე ადგილი) მეორე საფეხურზე დატოვა 1896 ქულით. მას სწორედ იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ნაოჰისა ტაკატო** უსწრებს (3030), კვალში კი მსოფლიოს მონღოლი ფინალისტი **ამარტუვშინ დაშდავაა** უდგას 1882 ქულით. ხუთეულში შედიან კიდევ ერთი მონღოლი **ბოლდბაატარ განბატი** (1460) და მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ვონ-ჯინ კიმი** (1450), ვინც დამამშვიდებლის ფინალში სწორედ განბატს მოუგო. სამწუხაროდ, პაპინაშვილის გარდა, ამ წონაში მოწინავეთა შორის სხვა არავინ გვყავს – ჩვენგან მეორე **ბეთქილ შუკვანია**, ვინც ჯერჯერობით არ ვარჯიშობს და ისიც 30-ეა 422 ქულით.

### 66 კგ.

ტრავმებმა მნიშვნელოვნად აზარალეს ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** - ამ მიზეზით მან წლეულს სულ რამდენიმე ტურნირში იასპარეზა და მსოფლიოც ჩააგდო. სადღეისოდ ის 1042 ქულით მეექვსე ადგილზეა, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ 73-ში გადადის და რეიტინგზე თავიდან მოუწევს ზრუნვა.

ამდენად, გაისად ბოლო ათწლეულში კოზირად ქცეულ ამ წონაშიც ფრიად გაგვიჭირდება. აქ ჩვენგან მეორე შედეგი **შალვა ქარდავას** აქვს, რომელიც 402 ქულით 33-ეა. ვნახოთ, იქნებ მას კონკურენცია **ტრისტან ფეიქრიშვილმა**, **გელა კელიხაშვილმა** ან რომელიმე სხვა ახალგაზრდამ გაუწიოს.

### 73 კგ.

აქამდე ყველაზე მძაფრი კონკურენცია თუ 81-ში გვქონდა, ახლა ყველაზე დაძაბული მეტოქეობა ამ წონაში გაჩაღდება, რადგან აქ სამი ძლიერი ფალავანი იყრის თავს – შავდათუაშვილი, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** და კონტინენტის ასევე მოქმედი ბრინჯაოს პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი**. თუმცა ნუ გაგვიკვირდება, ამ დავაში ახალგაზრდებიდანაც რომ ჩაერიოს ვინმე. ჯერჯერობით უტოპია ჩანს, **ლევან გუგავამ** ან **ფრიდონ გიგანმა** ამ ტრიოდან ვინმე ამოაგდოს, მაგრამ რეიტინგის სერიოზულად გაუმჯობესება და სამომავლოდ კარგი პლაცდარმის შექმნა კი სავსებით რეალურია. თუმცა გუგავა ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრად რჩება და, სავარაუდოდ, უფროსებში ნაკლებად დატვირთავენ.

რეიტინგში რეხვიაშვილი მე-12 ადგილზეა 854 ქულით, ტატალაშვილი – 22-ე (622). ლიდერობს მონღოლი ოლიმპიური პრიზიორი **ნიამ-ოშირ საინჯარგალი** - 2030, მეორეა ბელგიელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **დირკ ვან ტიხელტი** – 1698, მესამე – მშობლიური უნივერსიტეტის კლუბში „დედოვშინისთვის" ჯერ კიდევ დისკვალიფიცირებული იაპონელი მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი **შოჰეი ონო** - 1384. ხუთეულში შედიან მონღოლთა კიდევ ერთი ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი **ცაგანბაატარ ხაშბაატარი** - 1374 და ჰოლანდიელი მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტი** - 1344.

### 81 კგ.

ჯერჯერობით ეს წონა კვლავაც რჩება ჩვენთვის ყველაზე მძაფრ კატეგორიად, სადაც განთესვის ზონაში ორი კაცი გვყავს. როგორც გითხარით, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი ჭრიკიშვილი პირველ ადგილზეა და მის ანგარიშზე 2192 ქულაა, ევროპის მესამე პრიზიორი **ლევან ნიკლაური** კი 1022-ით მერვეა. თუმცა ნიკლაურის საგაისო ბედი გაურკვეველია – შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს, რაც მის კარიერას უარყოფითად დაეტყობა. არ გამოვრიცხავთ, ამ კონკურენციაში **უშანგი მარგიანიც** ჩაერიოს, რომელიც ამჟამად 60 ქულით 125-ეა, თუმცა წლეულს მისთვის პრიორიტეტი მაინც ახალგაზრდული ნაკრები იქნება.

სამაგიეროდ, ახალი სეზონი ახალ სარბიელს უქადის ჭრიკიშვილს, რომელსაც რეიტინგში კვალში უდგას 1792-ქულიანი ფრანგი **ლოის პიეტრი**, ვისთანაც ჩვენებურმა მსოფლიოს ფინალი წააგო, თუმცა მერე გუნდურში ღირსეული რევანში აუღო. მესამე ბრაზილიელი პან-ამერიკის გამარჯვებული **ვიქტორ პენალბერია** - 1498, მეოთხე – მოლდოვიდან არაბულ საამიროებში გაქცეული ევროპისა და მსოფლიოს მედალოსანი **სერგეი ტომა** - 1386, მეხუთე - რუსთა ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონი **ივან ნიფონტოვი** – 1160.

### 90 კგ.

ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ფინალისტმა ვალერი ლიპარტელიანმა ამ სეზონში რუს **კირილ დენისოვს** კი ახსნა ჯადო და მსოფლიოზე ორჯერ მოუგო – პირადსა და გუნდურში, თუმცა რეიტინგში კუბელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ეშლი გონსალესმა** გადაუსწრო - „თავისუფლების კუნძულის" გამარჯვებულ შვილს 2554 ქულა აქვს, ჩვენებურს – 2486. მსოფლიოს ფინალში ლიპარტელიანს რომ ემარჯვა კუბელთან, მაშინ პირველობასაც შეინარჩუნებდა. რეიტინგში მესამე დენისოვია - 1796, მეოთხეზე ბერძენთა ყველაფრის ჩემპიონი ქართველი **ილიას ილიადისი** - 1682, მეხუთე კი რუსი **გრიგორი სულემინია** - 1126. სავარაუდოდ, აქ წლეულს **ბექა ღვინიაშვილიც** მნიშვნელოვან ქულებს დააგროვებს და რეიტინგს გაიუმჯობესებს. სადღეისოდ ის 34 ქულით 156-ეა, ჩვენებურთაგან კი მას XX მყოფი 512-ქულიანი **ზვიად გოგოჭური** და 40-ქულიანი **ლაშა ტაველურიც** უსწრებენ (148-ე ადგილი).

### 100 კგ.

სამწუხაროდ, ამ წონაში ძალიან ცუდი ვითარება გვაქვს. აბა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ, როცა აქ ჩვენგან საუკეთესონი სპორტიდან წასულები – **ლომერ ყორყოლიანი** და **ირაკლი ცირეკიძე** არიან, მოქმედთაგან საუკეთესო კი 61-ე ადგილზე მყოფი 158-ქულიანი **დავით ლორიაშვილია**.

### +100 კგ.

ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ადამ ოქრუაშვილს** მსოფლიოზე ბრინჯაო რომც მოეპოვებინა, მესამე ადგილზე მაღლა მაინც ვერ ავიდოდა. მის ანგარიშზე 1742 ქულაა, პირველ-მეორე ადგილებს კი მსოფლიოს პირველობის ფინალისტები ინაწილებენ – ლიდერობს დამარცხებული ბრაზილიელი მასპინძელი, ოლიმპიური პრიზიორი **რაფაელ სილვა** - 2430, ფრანგთა ოლიმპიური, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი **ტედი რინერი** კი მეორეა - 2300. ბრაზილიელმა ჯერ კიდევ მსოფლიომდე ჩამოართვა ფრანგ ლიდერობა, რადგან რინერი იშვიათად გამოდიოდა ტურნირებში. რეიტინგში მეოთხე კორეელი **სუნ-მინ კიმია** 1566 ქულით, ხუთეულს კი ის ტუნისელი **ფაიცელ ჯაბალანი** ხურავს - 1350, ვისთანაც ოქრუაშვილმა მსოფლიოზე ბრინჯაოსთვის პაექრობა წააგო.



ირაკლი უზნაძე

# უზნაძე გეგმებს ამხელს

## მწრთნელი იაპონიიდან კმაყოფილი დაბრუნდა

**საქართველოს** ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა დაასრულა შეკრება იაპონიაში და სამშობლოში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა ტოკიოში ჯერ ძიგორო კანოს მემორიალში იჭიდავეს, სადაც **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, მერე კი იქვე ერთობლივი შეკრებებიც გაიარეს. ამით ნაკრებმა წლევანდელი სეზონი დაასრულა, თუმცა შესვენების გარეშე უკვე შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას - გუშინ უკვე განაახლა ვარჯიში დილომში, ძიუდოს აკადემიაში.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** კმაყოფილია ტოკიოში შეკრებითა თუ ტურნირით. *„შეჯიბრებაზე ჩვენი ნაკრების გამოკვეთილ ლიდერებს - ჭრიკიშვილსა და ლიპარტელიანს შეეძლოთ ოქროს მედლის მოპოვება, მაგრამ ჯერ არ არიან ოპტიმალურ ფორმაში. აქედან გამომდინარე, მათი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხებათ დებიუტანტებსა და დანარჩენებს, ყველამ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში იჭიდავა, რაც შეეძლოთ, იბრძოლეს, მაგრამ ტურნირის სიძლიერიდან გამომდინარე, უმედლოდ დარჩნენ. თუმცა იქ წასვლისას ჩვენი მთავარი მიზანი არა მედლები, არამედ შეკრების გავლა იყო, რათა მომზადებულები შეხვდნენ მომავალ სეზონს. ყველამ კარგად ივარჯიშა და, იმედია, ეს მომზადება გაისად წაადგებათ. ტურნირის შემდეგ 3 დღე იქვე დავრჩით ერთობლივ შეკრებაზე, მომდევნო 8 დღე კი ტოკიოშივე, კოკუშიკანის ძიუდოს კლუბში ვივარჯიშეთ, სადაც ძალიან კარგ პირობებში ვემზადებოდით. იშვიათად, მჩატე წონებიდან დაწყებული, მძიმეებით დამთავრებული, ყველგან თანაბრად ძლიერი სპარინგები იყოს, ამჯერად კი ამის პრობლემა არ გვქონია, ყველა წონა მაქსიმალურად იტვირთებოდა"* - გვითხრა უზნაძემ.

წლეულს ჩვენს ნაკრებს რამდენადმე განსხვავებულად მოუწევს საგაისო სეზონისთვის მზადება, რადგან ჩვენმა ტურნირმა იანვრიდან მარტში გადაინაცვლა. ადრე ისინი სეზონს სწორედ შინაური შეჯიბრებით იწყებდნენ და დეკემბერ-იანვარში აქცენტს იმისთვის მზადებაზე აკეთებდნენ, ახლა კი ცაიტნოტში აღარ არიან და უფრო მშვიდად მოემზადებიან. ისინი სეზონს 8-9 თებერვალს პარიზის „დიდი მუზარადით" გახსნიან, მანამ კი შეკრებებსაც გაივლიან. უზნაძეს მოსამზადებელ გეგმაზეც დავეკითხეთ. *„ამჯერად უცხოეთში აღარ მოვემზადებით და მთლიანად საქართველოში გავივლით შეკრებებს. პირველ მათგანს, სავარაუდოდ, 8 იანვარს დავიწყებთ ბაკურიანში, რომელიც მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. მერე თბილისში დავბრუნდებით და პარიზის ტურნირისთვის აქ გავივლით, თუმცა ამ შეკრების გამართვის ადგილი ჯერ გადაწყვეტილი არაა, რადგან ძიუდოს აკადემიაში რემონტი იგეგმება. პარიზის ტურნირი გაისად ჩვენი პირველი შეჯიბრებაა, იმის შემდეგ კი ჯერ ავსტრიულ ობერვარტში გამართულ ევროპის ღია თასზე, ხოლო მერე დიუსელდორფში ვიჭიდავებთ „დიდ პრიზზე". ამით საშეჯიბრო ნაწილსაც დავამთავრებთ და 24-27 აპრილს ფრანგულ მონპელიეში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მიზანმიმართულ მზადებაზე გადავალთ. ამ გეგმაში შედის 21-23 მარტს თბილისში გასამართი „დიდი პრიზიც", რომელიც საევროპო მზადების გზაზე ბოლო შეჯიბრება იქნება"* - გვითხრა მწვრთნელმა.

**გვერდი მოამზადა ირაკლი თავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

# ეროვნული ჩემპიონატი განახლდა

სასპორტო კომპლექს „არენაში" გუშინ განახლდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს. პოზიციები განიმტკიცა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა სტუ-მ, რომელმაც მესამე ადგილზე მყოფი სამტრედია დაამარცხა. გამარჯვებულთაგან 13 გოლი თემურ ორჯონიკიძემ გაიტანა. გაუწყებთ ამ და გუშინ გამართული პირველი ტურის სხვა შეხვედრების შედეგებს:

**სამტრედია-სტუ 31:42**

**სამტრედია:** ხონელიძე, კიკნაძე, ნითელიშვილი (9), ჯ. ნიკურაძე (5), ხაჟომია (4), თევზაძე (4), ხვიჩია (2), ცხვარაძე (2), ზურაბიანი (2), ელგანდაშვილი (1), ჟვანია (1), გაგლოშვილი (1), ავალიანი, ლალანიძე, ბოცვაძე.

**სტუ:** ცერცვაძე, ანდრიაძე, ხიდეშელი, ორჯონიკიძე (13), გვაზავა (7), გოგოლაძე (6), სიმონია (5), აბრამიშვილი (4), სურმავა (3), ბერძენიშვილი (2), გოგალაძე (1), ლ. არსენაშვილი (1), ამირანაშვილი, გრიშიკაშვილი, სტურუა.

**ჭაბუკთა ნაკრები-იმედი 33:42**

**ჭაბუკები:** ს. ხანდოლიშვილი, ვათიაშვილი, კბილაშვილი (9), დანელიშვილი (7), ჰუსეინოვი (5), რუსტამოვი (4), ე. არსენაშვილი (3), ფერაძე (2), ნ. მაისურაძე (2), ბაინაზაშვილი (1), მამულაშვილი, ბიბილეიშვილი, გოგავა, იობაშვილი, განერელია, დოლმაზაშვილი.

**იმედი:** მლებრიშვილი, ლორია, იობაშვილი (10), ბეჟანიშვილი (6), ალანია (6), აბაშიძე (5), გიორგაძე (4), მძელური (4), თაბაგარი (2), ი. კალანდაძე (2), ჩიკვილაძე (1), მაჭარაშვილი (1), ჯმუხაძე (1), გოთოშია, გ. ჩაკვეტაძე, ხანდოლიშვილი.

**ბათუმი-თელავი 39:30**

**ბათუმი:** სამყურაშვილი, გამზარდია (10), ყაველაშვილი (8), ნივნივაძე (5), უ. მაისურაძე (5), ჯორბენაძე (3), ქელიძე (3), ქარდავა (2), ხუნჯუა (2), ვინოგრადსკი (1), ი. ნარსია, გოგიჩაიშვილი, ქავთარაძე, ნიტაიშვილი, ჭანტურია.

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, ლილუაშვილი, გიორგელაშვილი (8), გ. სვიმონიშვილი (7), ანდრიაშვილი (7), ცისკარიშვილი (4), გიგაური (2), ნ. სვიმონიშვილი (1), ი. სამიტაშვილი (1), კობახიძე, დიდებაშვილი, იაგორაშვილი, მლებრიშვილი.

**ქუთაისი-პეგასი 23:33**

**ქუთაისი:** გულეიშვილი, შეყრილაძე, გ. კვერნაძე (8), ახალაძე (5), ტარუაშვილი (4), ჯულელი (3), ახალბედაშვილი (2), ძნელაძე (1), ჩიხლაძე, ლომიძე, მათნაძე, მამასახლისი, ბახტურიძე, მერკვილაძე, ბოყოჩაძე.

**პეგასი:** ცინცაძე, დიხამინჯია (8), ა. ცხვარაშვილი (5), ბაძალუა (4), ოსიყმაშვილი (4), დ. ნარსია (3), დემეტრაშვილი (2), ლობჟანიძე (2), ტ. კალანდაძე (2), კოხრეიძე (1), ცუხიშვილი (1), ი. ცხვარაშვილი (1), აბჟანდაძე, ნატროშვილი, გელაშვილი, ქუთათელაძე.

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე, ვახტანგ ბერიაშვილი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 8 | 8 | 0 | 0 | 278-191 | 16 |
| ბათუმი | 8 | 7 | 0 | 1 | 331-243 | 14 |
| სამტრედია | 8 | 5 | 0 | 3 | 288-268 | 10 |
| პეგასი | 8 | 3 | 2 | 3 | 245-257 | 8 |
| იმედი | 8 | 4 | 0 | 4 | 234-252 | 8 |
| ქუთაისი | 8 | 2 | 1 | 5 | 245-296 | 5 |
| ჭაბუკები | 8 | 0 | 2 | 6 | 236-288 | 2 |
| თელავი | 8 | 0 | 1 | 7 | 188-250 | 1 |

**ბომბარდირები:** გიორგი კვერნაძე (ქუთაისი) - 69, ლექსო ნითელიშვილი (სამტრედია) - 66, უჩა გამზარდია (ბათუმი) - 65.

დღეს ითამაშებენ: **თელავი - ქუთაისი, იმედი - სამტრედია, პეგასი - ბათუმი, სტუ - ჭაბუკთა ნაკრები.**

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი



# სტუმრადაც დამარცხდა

**მგუ-სტუ 103:87**

(35:12, 26:20, 19:25, 23:36)

**მგუ:** რომან სტრეკინი (11), დენის ვოლკონსკი (15), ალექსეი დოროდნოვი (20), ივან მასლენიკოვი (8), ალექსეი დემენტიევი (3), ედუარდ მელიქიანი (4), პაველ ნოვიკოვი (4), იგორ იარემენკო, პაველ კურიშკინი (6), დმიტრი დობრინინი (2), ფიოდორ მარკინი (19), არტიომ ვასილენკო (6).

**სტუ:** ბექა ლუდუშაური, დავით გურაბანიძე, ავთანდილ ლომინაშვილი (27), ლევან გრძელიძე, ბექა ჯიქია (8), გიორგი ცირეკიძე, რიჩარდ მათიაშვილი (8), რევაზ დიდია , ლევან იოსებაშვილი, ბაქარ გაბისიანი (2), ირაკლი ახვლედიანი (27)7 საბა ლობჟანიძე (15).

წლეულს, 15 ოქტომბერს, თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის მეორე სეზონი. **B ჯგუფში** 6 გუნდი იბრძვის მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. ესენი არიან თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ტრადიციულად — მგუ), ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ხპი), კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (კპი), როსტოვის სამხრეთი-ფედერაციის უნივერსიტეტი (რსფუ) და როსტოვის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი (რსეუ). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები სასტარტო მატჩში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შეხვდნენ და დაძაბული პაექრობა 75:83 დათმეს. განმეორებით შეხვედრაში **ნიკოლოზ დერიუგინის** შეგირდები სარევანშოდ იყვნენ განწყობილი, მაგრამ...

ორთაბრძოლას ამჯერად რუსეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. მეტოქეები მოედანზე ასეთი ხუთეულებით გავიდნენ: მგუ - სტრეკი, ვოლკონსკი, ნოვიკოვი, კურიშკინი, მარკინი; სტუ - **ლომინაშვილი, ჯიქია, ცირეკიძე, მათიაშვილი, ლობჟანიძე.** მოსკოველთა პირველი იერიში სტრეკინმა დააგვირგვინა, მალევე მარკინმა ოთხამდე გაზარდა ანგარიში, მერე კურიშკინის ტყორცნა ალმოჩნდა ზუსტი - 6:0. მართალია, ამის შემდეგ ქართველი კალათბურთელებიც გამოცოცხლდნენ, მაგრამ პირველ ათწუთიან მონაკვეთში სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ლომონოსოველებს, რომლებსაც 35 ქულის მოგროვების საშუალება მისცეს, თავად კი მხოლოდ 12 ქულას მოუყარეს • თავი. მეორე მეოთხედიც მასპინძლებისა იყო. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ორივე მეოთხედი მოიგეს, თუმცა პირველი ტაიმის დანაკლისი ვერ აინაზღაურეს და 87:103 დამარცხდნენ. თბილისელთაგან 27-27 ქულით საუკეთესოები იყვნენ ლომინაშვილი და ახვლედიანი, ხოლო მოსკოველთაგან დოროდნოვი (20) და მარკინი (19) გამოირჩნენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი დღეს როსტოვში სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს დაუპირისპირდება. თბილისში მათი პირველი წრის მატჩი სტუ-მ 99:81 მოიგო. ხვალ კი დერიუგინის შეგირდები როსტოვშივე სამხრეთი ფედერაციის უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდებიან. მასპინძლები რევანშის ალებას შეეცდებიან, რადგან საქართველოს დედაქალაქში პირველი წრის ორთაბრძოლა 71:90 დათმეს.

სატურნირო მდგომარეობა 17 დეკემბრისთვის:

| | თ | მ | წ | ბ | % | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგუ | 10 | 8 | 2 | 821-749 | 80 | 18 |
| ხპი | 7 | 6 | 1 | 538-425 | 86 | 13 |
| სტუ | 7 | 4 | 3 | 559-540 | 57 | 11 |
| კპი | 8 | 3 | 5 | 530-531 | 38 | 11 |
| რსფუ | 7 | 2 | 5 | 541-606 | 29 | 9 |
| რსეუ | 7 | 0 | 7 | 484-622 | 0 | 7 |

**ვაჟა დანელია**

ციგაობა

# მოციგავეები მსოფლიო თასზე

ნორვეგიაში ლილეჰამერის ოლიმპიურ სტადიონზე ციგებში მსოფლიო თასის გათამაშების მესამე ეტაპზე 18-წლამდელ ვაჟთა შორის წარმატებას მიაღწია ბაკურიანის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ, 16 წლის **გიორგი სოლოიანმა,** რომელმაც მეექვსე ადგილი დაისაკუთრა. მისი თანაგუნდელი და თანაკლასელი **ვიტალი ფერაძე** კი XII ადგილს დასჯერდა.

ნორვეგიიდან ინფორმაცია ტელეფონით მოგვაწოდა საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ფელიქს ქუმარიტაშვილმა** და მწვრთნელმა, ნოდარ ქუმარიტაშვილის მამამ **დავით ქუმარიტაშვილმა.** 2014 წლის 8-10 იანვარს ჩვენი მოციგავეები ევროპის ჩემპიონატში ლატვიაში იასპარეზებენ.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
ბაკურიანიდან



გიორგი სოლოიანი

ჭადრაკი

# დაფაზე დაუხედავადაც ითამაშებენ

ჩინეთში მსოფლიო ინტელექტუალურ თამაშებზე დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა ასპარეზობა. ბრძენთა თამაშის მოყვარულებმა (16-16 ქალ-ვაჟი) რაპიდის (სწრაფი ჭადრაკი) შემდეგ ბლიცშიც მოილიეს პაექრობები. ქალებში 30 შესაძლებლიდან 21,5 ქულით ოქროს მედალი მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოუ იფანმა (ჩინეთი) მოიპოვა (რაპიდში იგი მეორე იყო). აზიელს ორი ქულით ჩამორჩა ევროპის ჩემპიონი, სწრაფ ჭადრაკში გამარჯვებული ვალენტინა გუნინა (რუსეთი). 18,5 ქულით ბრინჯაო ანა მუზიჩუკს (სლოვენია) ერგო. რაპიდში მეხუთეადგილოსანი ქართველი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე** აქ 14,5 ქულით მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა.

ვაჟებში 19,5-19,5 ქულას მოუყარეს თავი სერგეი კარიაკინმა (რუსეთი) და ლევონ არონიანმა (სომხეთი). ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგით პირველობა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ხვდა. 18-18 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა (საფრანგეთი) და შაჰრიარ მამედიაროვმა (აზერბაიჯანი) გაინაწილეს.

დღეიდან ინტელექტუალური თამაშების მონაწილეები დაფაზე დაუხედავად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# თურქეთსა და ყატარში

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ფედერაციამ (WTA) ერთი კვირის წინანდელი შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ქართველთა მონაგარი ასეთია: 126 (126). **ანა ტატიშვილი** (499 ქულა), 215 (215). **სოფო შაფათავა** (288), 308 (318). **ოქსანა კალაშნიკოვა** (154), 423 (423). **ეკატერინე გორგოძე** (93), 450 (469). **მაკა ჩახნაშვილი** (81), 713 (704). **სოფო ქვაცაბაია** (32), 1208 (1204). **მარიამ ბოლქვაძე** (4), 1230 (1224). **თამარ ჭალაგანიძე** (3). ATP-ს რეიტინგით: 402 (366). **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (99), 1091 (1092). **ალექსანდრე მეტრეველი** (8), 1639 (1648) **გიორგი ცივაძე** (2), 2102 (2114). **მიხეილ ხმიადაშვილი** (1), 2135 (2114). **გიორგი ჯავახიშვილი** (1).

ამ კვირას ქართველთაგან უცხოეთის კორტებზე სამი ჩოგბურთელი ცდის ძალებს. თურქეთის დედაქალაქ ანკარაში იმყოფება ეკატერინე გორგოძე, რომელიც 50-ათასიან საერთაშორისო ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. პირველ წრეში მან თურქი იაგმურ აკდემირი ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:2, შემდეგ სლოვაკ რებეკა შრამკოვას აჯობა - 3:6, 7:6 (7:3), 6:4 , მთავარ ბადეში გასასვლელად კი მე-4 ნომრად განთესილი გერმანელი ნინა ზანდერი დაჯაბნა 6:4, 6:1. ძირითადი ბადის სტარტზე ქართველი ჩოგბურთელი ფრანგ ამანდინ ჰესესთან გაარკვევს ურთიერთობას. წყვილებში გორგოძე და თურქი ინჩი ოგუტი ტურნირის რეიტინგფავორიტებს - ბერძენ ელენი დანილიდუს და სერბ ალექსანდრა კრუნიჩს შეხვდნენ, პირველი ხელი კი მოიგეს 6:4, მაგრამ მომდევნო ორი დათმეს, შესაბამისად, 0:6, 5:10 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

ანტალიაში ქალთა 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამარ ჭალაგანიძე იტალიელ ალესია პირანისთან დამარცხდა - 1:6, 5:7. ჩვენებურმა ვერც წყვილებში იყოჩაღა - ბელარუს ალინა ზუბკოვასთან ერთად მე-3 განთესვის მქონე ოლგა იანჩუკისა (უკრაინა) და ანასტასია რუდაკოვას (რუსეთი) დუეტთან წააგო - 0:6, 3:6.d

თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ყატარის დედაქალაქ დოჰაში ჩოგბურთელ ვაჟთა 10-ათასიან ტურნირში მე-3 ნომრადაა განთესილი. სტარტზე მან ჩინელი ჩუჰან ვანი დაჯაბნა - 6:4, 6:4 და მე-2 წრეში ყატარელ ალ მოჰამუდსა და ბრიტანელ ტობი მარტინს შორის გამარჯვებულს შეხვდება. წყვილებში ბასილაშვილი და ბელარუსი იაჰორ იაცუკი იოლად გაუსწორდნენ ყატარელებს - აბდულა ალ-ჯუფაირისა და აბდულა შანან ალჰარაშის - 6:3, 6:3. მათი მომდევნო მეტოქე სქოთ კლაიტონისა და ტობი მარტინის (დიდი ბრიტანეთი) ტანდემი იქნება.

**ვაჟა დანელია**

## ექსკლუზიური ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

# საქართველოს ნაკრების უკვე ყველას ეშინია

**გასული** კვირის ბოლოს იგორ კოკოშკოვის მოსაზრებები გაგაცანით ორ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. პირველი: სლოვენიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისი კანდიდატურის განხილვა და მეორე - კოკოშკოვის მოსაზრება საქართველოს ნაკრებში დარჩენასთან დაკავშირებით. მწვრთნელმა თქვა, რომ სერბეთისა და სლოვენიის ნაკრებებთან მიმართებაში მისი გვარის ხსენება მხოლოდ სპეკულაციაა. ხოლო ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე მხოლოდ ის თქვა, რომ ჯერ არავინ დალაპარაკებია და ნაკრების მთავარი მწვრთნელის შერჩევა კალათბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის პრეროგატივაა.

არსებობს კიდევ არაერთი საინტერესო საკითხი, რომლებზეც იგორ კოკოშკოვმა ჩვენთან გულახდილად ილაპარაკა. 2013 წლის სექტემბერში გამართული ევრობასკეტის მსვლელობისას მთავარი მწვრთნელის მოსაზრებებს ჩვენი გაზეთის მკითხველი რეგულარულად ეცნობოდა, თუმცა საინტერესოა, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის გამოსვლის ცივი გონებით შეფასება და პასუხი კითხვაზე: ნაკრებმა სლოვენიაში მაქსიმუმი გააკეთა?




- ჩემი აზრით, გუნდმა შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა, მაგრამ სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვი შედეგზე - გაცილებით უკეთესი მაჩვენებლით შეგვეძლო ევროპის ჩემპიონატის დასრულება. როცა თამაშის ხარისხზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში პოლონეთთან შეხვედრა უნდა გავიხსენოთ, რომელიც დამაჯერებლად მოვიგეთ. ეს შემთხვევითი არ იყო: ამ გუნდს აგვისტოში ამხანაგურად ვეთამაშეთ და დავინახეთ, რაოდენ ძლიერი მეტოქე იყო. ამიტომ, ვაცნობიერებდით პირველივე შეხვედრის მნიშვნელობას და პოლონეთთან სათამაშოდ 100 პროცენტით მომზადებულები გავედით.

**- როცა ამბობთ, შედეგი უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო, ხორვატიასთან და სლოვენიასთან თამაშებში ბოლო წამებზე დამარცხებებს ხომ არ გულისხმობთ?**

- მინდა დაბეჯითებით ვთქვა, რომ ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია რომ გვყოლოდა, კიდევ ორ თამაშს მოვიგებდით და როგორც მინიმუმ, ევრობასკეტის მეორე ეტაპზე ვითამაშებდით. ორი ქართველი NBA-ელის არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყო. ხორვატიის დამარცხებასთან მაინც ძალიან ახლოს ვიყავით და ამ მატჩის მოგებით ევრობასკეტის სცენარი შესაძლოა მთლიანად გადასხვაფერებულიყო. მოგეხსენებათ, ხორვატებმა საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს. ჩეხეთთან თამაში ცუდ დროს დაემთხვა: წინა ღამით სლოვენიასთან მეტად დაძაბული თამაში დაახლოებით 23 საათზე დასრულდა, კალათბურთელებმა მასპინძლებთან ბრძოლას დიდი ენერგია შეალიეს და დასვენებისთვის გამოძინება სჭირდებოდათ. ძალების სათანადოდ აღდგენა ვერ მოესწრო, ჩვენ კი იმის ფუფუნება არ გვქონდა, ჩეხეთისთვის მეორე ხუთეული დაგვეპირისპირებინა, რომელსაც წინა დღის მატჩის შემდეგ ძალა ჰქონდა შემორჩენილი. ჩეხეთთან დამარცხებით კი მომდევნო ეტაპის საგზური დავკარგეთ.

**- რა სხვაობას ხედავთ 2008 წლისა და 2013 წლის საქართველოს ნაკრებებს შორის?**

- საქართველოში პირველად სწორედ 2008-ში ჩამოვედი. მოსამზადებელი ეტაპისთვის თბილისიდან რომ გავემგზავრეთ, საქართველოში მანამ აღარ დავბრუნებულვართ, ვიდრე ოთხი ოფიციალური მატჩი არ ჩავატარეთ. არადა, ორი თბილისში უნდა გვეთამაშა, მაგრამ რუსეთთან ომის გამო სტუმრად მოგვიწია მათმა ჩატარებამ. პირველად სწორედ მაშინ ვიგრძენი, რაოდენ კარგ, ნიჭიერ და ერთიან გუნდთან მქონდა საქმე. თუმცა იმ პერიოდში ნაკრების წამყვანი კალათბურთელები ევროპის კლუბებში გამოცდილებას აგროვებდნენ. 2013 წელს კი საკმაოდ გამოცდილი გუნდი გვყავდა. თავად განსაჯეთ: მარკოიშვილი თურქეთის ჩემპიონი გახდა, ცინცაძე - უკრაინის, სანიკიძე - იტალიის, შერმადინმა ევროლიგა მოიგო... ასეთი კალათბურთელებით შეკრული გუნდი კი ევროპაში სერიოზულ ძალად ითვლება, ნებისმიერმა მეტოქემ იცის, რომ მებრძოლი, გამოცდილი, მაღალი კლასის გუნდია და დიდი პატივისცემით ეპყრობიან. პოლონეთთან თამაშმა კი კიდევ ერთი დადებითი თვისება გამოავლინა - საქართველოს ნაკრები მენტალურადაც ძალიან ძლიერია. დარწმუნებული ვარ, გუნდი კიდევ უფრო მოუმატებს. წლეულს არაერთი ახალგაზრდა დავიმატეთ და საშუალება მივეცით გუნდთან ინტეგრაციისა. უახლოეს მომავალში ხომ მათ უნდა იკისრონ ლიდერობა.

**- ამ ზაფხულს იყო ლაპარაკი, თითქოს ზაზა ფაჩულია „კლივლენდ კავალიერსსაც“ სურდა, რომელშიც ასისტენტად მუშაობთ. NBA-ს სპეციალისტები როგორ აფასებენ ზაზას?**

- ყველამ კარგად იცის, ვინ არის ფაჩულია და რა შეუძლია. ამიტომაცაა, NBA-ში თამაშის 10-წლიანი სტაჟი რომ აქვს. ნიჭიერი, გამოცდილი და ღირებული კალათბურთელია, რომლის საკუთარ გუნდში ხილვას ბევრი ისურვებდა. სეზონის დასაწყისში მის „მილუოკის“ დავუპირისპირდით და „კლივლენდის“ დამარცხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფაჩულიას კარგი თამაში იყო. სასიამოვნოა, რომ სერიოზული ტრავმის შემდეგ ასე კარგად დაიწყო, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ გასულ კვირას ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდით დასვენება მოუწევს. იმედი მაქვს, მალე დაუბრუნდება „მილუოკის“ და გუნდი თამაშსაც გამოასწორებს.

**- თორნიკე შენგელიასა და მის „ბრუკლინ ნეთზე“ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- თორნიკეს „ბრუკლინში“ მოხვედრა ერთი მხრივ კარგია, ერთი მხრივ - არა. კარგი იმიტომაა, რომ უმაღლესი კლასის ოსტატებთანაა, მათთან ვარჯიშითა და თამაშით დიდ გამოცდილებას მიიღებს. ცუდი კი ის არის, რომ „ბრუკლინს“ ბევრს სთხოვენ, მაღალ შედეგებს ითხოვენ. ახალგაზრდა მწვრთნელი კი ძირითადად გამოცდილ კალათბურთელებს ეყრდნობა. თორნიკეს საკმარისი სათამაშო დრო ამიტომაც არა აქვს.

**- ბოლოს თქვენს „კლივლენდზე“ გკითხავთ, რომელიც „მილუოკიზე“ უკეთეს სიტუაციაშია, საპლეიოფო ზონასთან ახლოს არის. რა მიზნებს ისახავთ ამ სეზონში?**

- გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და თუნდაც კონფერენციის ფავორიტობას ვერ დავიჩემებთ. ბევრს ვმუშაობთ და თამაშიდან თამაშამდე ვუმჯობესდებით. ვიმედოვნებ, რეგულარული ეტაპის ბოლოსკენ ერთი ორად უკეთესი გუნდი გვეყოლება და პლეი ოფსაც მივაღწევთ. ვიდრე დაგემშვიდობებოდეთ, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა კალათბურთის ფედერაციას, ბესიკ ლიპარტელიანს, ლაშა ძიძავას, რომლებმაც ნაკრებში მიმიწვიეს და ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. საქართველოს ნაკრებს ბოლო წლებში შედეგები იმიტომაც ჰქონდა, რომ გუნდს მხოლოდ კალათბურთზე უწევდა ფიქრი. მადლობა ქართველ გულშემატკივარს, რომლისთვისაც საქართველოს ნაკრები ცხოვრების ნაწილად იქცა. ქომაგის მხარდაჭერას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი. მადლობა კალათბურთელებს, რომლებთან ურთიერთობა და მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო.

## პრესკონფერენცია



# მიხეილ გაბრიჩიძემ ვიცე-პრეზიდენტები წარადგინა

**კალათბურთის ფედერაციის საარჩევნო ყრილობაზე ახალარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გამგეობის წევრებიც წარადგინა და გაგვაცნო ახალი გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი. ვიცე-პრეზიდენტების საკითხზე ახლო მომავალში მოგახსენებთო. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტები წარადგინა...**

- დიდი მადლობა ყველა იმ დელეგატს, რომელიც არჩევნებზე მოვიდა და განსაკუთრებით მათ, ვინც მხარი მე დამიჭირა. მინდა დავუდასტურო უდიდესი პატივისცემა ჩემს მეგობრებს, კახა შენგელიას და ვლადიმერ ბოისას, რომლებმაც არჩევნებიდან მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა ჩემს სასარგებლოდ. ამან კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ ეს ადამიანები საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის იბრძვიან და სურთ, არანაირი დაპირისპირება არ არსებობდეს. პირიქით, ჩვენ ერთიანი ძალებით ვაპირებთ მუშაობას. გვსურს, გავაგრძელოთ განვითარება და გადავიყვანოთ კალათბურთი ახალ ეტაპზე. როგორც შეგპირდით, პარასკევს ჩავატარეთ გამგეობის სხდომა, სადაც ოფიციალურად დამტკიცდა ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი. პატივი მაქვს, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე წარმოგიდგინოთ კახა შენგელია და ვლადიმერ ბოისა. თავიდანავე აღვნიშნავ, რომ ისინი იქნებიან ვიცე-პრეზიდენტები თანაბარი უფლებამოსილებით, გენერალური მდივანი კი გიორგი ქართველიშვილი იქნება.

ჩვენს გუნდს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები შეადგენენ, სხვადასხვა მიმართულებით გაგვაჩნია გამოცდილება და ერთიანი ძალებით შევძლებთ ქართული კალათბურთი განვითარების ახალ მიმართულებაზე გადავიყვანოთ. პირველ რიგში, აუცილებელი იქნება აქტიური მუშაობა ფიბა-სთან და ფიბა-ევროპასთან წესდების ახალი ვარიანტის შესამუშავებლად. სამუშაო პროცესში ჩართულები იქნებიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. გვაქვს სურვილი, სამუშაო ჯგუფში მოვიწვიოთ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იურისპრუდენციისა და სპორტული განვითარების დარგში მუშაობენ. გვსურს, გავიზიაროთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წესდებების შემქმნელი ჯგუფების აზრები.

## ლეგიონერი

# ცინცაძის ეფექტურობა საკმარისი არ აღმოჩნდა

ვითიბი ლიგაზე **გიორგი ცინცაძემ** ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მან „უნიქსთან“ სტუმრად გამართულ მატჩში 30 წუთი ითამაშა, 11 ქულა, 7 პასი, 3 მოხსნა და ამდენივე ჩაჭრა მოაგროვა. მას არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 5/4 ორქულიანი, 2/1 სამიანი.

„დონეცკი“ ყაზანში პირველივე პერიოდის შემდეგ ჩამორჩა და საბოლოოდ 69:85 დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


ბურთით მამუკა გორგოძე

# სამი ლიდერობს, ორი შანსს ინარჩუნებს

ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ეტაპის მეორე წრე დაიწყო. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა რვა გუნდიდან სამი ლიდერია და ორი ჯერაც ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის რეალურ შანსს. „ემლინ ჩელენჯ კაპზე" კი ორივე „ქართული გუნდი" ლიდერობს და მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლას განაგრძობს.

A ჯგუფში საფრანგეთის ჩემპიონი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" სტუმრად ეთამაშა აუტსაიდერ უელსურ „ოსფრიზს" და 12:21 წააგო. კასტრელებმა ამ მარცხით საგრძნობლად გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ პლეი ოფში გასვლის თეორიულ შანსს მაინც ინარჩუნებენ. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

B ჯგუფში **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი" ლიდერობს. ჩვენებურთა გუნდმა შინ მიიღო ინგლისური „ექსეტერი" და 32:20 მოუგო. ტულონელებს ახლა 15 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ უელსურ „კარდიფს" ორი ქულით უსწრებენ. ამ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა, სავარაუდოდ, მომდევნო ტურში გაირკვევა, როცა „ტულონი" მეტოქეს საკუთარ მოედანზე დაუპირისპირდება.

მიქაუტაძე თადარიგში იყო და მოედანზე 71-ე წუთიდან გამოჩნდა, ჩილაჩავა განაცხადში არ იყო.

C ჯგუფს სათავეში **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" უდგას, თუმცა მის კონკურენტს, ინგლისურ „სარასენზს" მასსავით 15 ქულა დაუგროვდა. ტულუზელებმა წინა ტურში შინ განცდილი მარცხის გამო, ამჯერად, სტუმრად სრული რევანში აიღეს ირლანდიურ „ქონოთთან" დაპირისპირებაში - 37:9. მომდევნო ტურში „ტულუზი" „სარასენზს" უმასპინძლებს და სწორედ იმ შეხვედრაში გადაწყდება პირველადგილოსანის ვინაობა. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" D ჯგუფს გათამაშების დასაწყისიდანვე ლიდერობს. მე-4 ტურში „ვულკანებმა" სტუმრად მოუგეს უელსურ „პლანეჰლის" 31:13 და ახლა მეორე ადგილზე მყოფ ინგლისურ „ჰარლიქვინზს" ოთხი ქულით უსწრებენ, რომელმაც შინ დაამარცხა ჯგუფის აუტსაიდერ **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი" - 17:3.

ხინჩაგიშვილი, რომელიც 52-ე წუთზე შეცვალეს, მატჩის არბიტრმა მე-15 წუთზე გაასინბინა, ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

E ჯგუფში დრამატულად წარიმართა **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" დაპირისპირება შინ ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზთან". ჩვენებურთა გუნდი, რომელსაც მამუკა გორგოძე კაპიტნობდა, მეტოქეს თითქმის სათადარიგო გუნდით დაუპირისპირდა. მიუხედავად ამისა, მონპელიელები ბოლო წუთებამდე იგებდნენ 14:8, მაგრამ ლესტერელთა ბოლო იერიში ვერ მოიგერიეს და დამარცხდნენ - 14:15. შედეგად, „მონპელიე" მეტოქეებს იმდენად ჩამორჩა, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი განაცხადში არ იყო.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს F ჯგუფში მოასპარეზე **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი", რომელმაც მოულოდნელად სტუმრად სძლია ინგლისურ „გლოსტერს" - 16:10. შოტლანდიურ გუნდს ერთი ქულით ჩამორჩება და ასევე აქვს თეორიული შანსი **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანს". ჩვენებურის ამ გუნდმა შინ წააგო ჯგუფის ლიდერთან, ირლანდიურ „მანსტერთან" - 17:18. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი**

ოსფრიზი-კასტრი 21:12, ლენსტერი-ნორსჰემპთონი 9:18

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლენსტერი - 13 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 9, 3. კასტრი - 8, 4. ოსფრიზი - 5.

**V ტური**

კასტრი-ლენსტერი, ოსფრიზი-ნორსჰემპთონი

**B ჯგუფი**

გლაზგო-კარდიფი 7:9, ტულონი-ექსეტერი 32:20

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 15 ქულა, 2. კარდიფი - 13, 3. ექსეტერი - 7, 4. გლაზგო - 6.

**V ტური**

ტულონი-კარდიფი, ექსეტერი-გლაზგო

**C ჯგუფი**

სარასენზი-ზებრე 64:3, ქონოთი-ტულუზი 9:37

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 15 ქულა, 2. სარასენზი - 15, 3. ქონოთი - 9, 4. ზებრე - 0.

**V ტური**

ტულუზი-სარასენზი, ქონოთი-ზებრე

**D ჯგუფი**

პლანეჰლი-კლერმონი 13:31, ჰარლიქვინზი-მეტრო რასინგი 17:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 15 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 11, 3. პლანეჰლი - 6, 4. მეტრო რასინგი - 6.

**V ტური**

ჰარლიქვინზი-კლერმონი, მეტრო რასინგი-პლანეჰლი.

**E ჯგუფი**

ბენეტონი-ალსტერი 3:35, მონპელიე-ლესტერ ტაიგერზი 14:15

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 18 ქულა, 2. ლესტერი ტაიგერზი - 15, 3. მონპელიე - 6, 4. ბენეტონი - 0.

**V ტური**

ალსტერი-მონპელიე, ბენეტონი-ლესტერ ტაიგერზი

**F ჯგუფი**

პერპინიანი-მანსტერი 17:18, გლოსტერი-ედინბურგი 10:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მანსტერი - 14 ქულა, 2. გლოსტერი - 9, 3. ედინბურგი - 8, 4. პერპინიანი - 7.

**V ტური**

ედინბურგი-პერპინიანი, გლოსტერი-მანსტერი.

„ემლინ ჩელენჯ კაპზე" ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი, „სტად ფრანსე" და „ბრივი" წარმატებით ასპარეზობს. **კარლენ ასეიშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივმა", რომელიც C ჯგუფში ლიდერობს, შინ დაამარცხა რუმინული „ბუქარესტი" - 20:9. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

E ჯგუფში **ზურაბ ჟვანიასა და დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსემ" შინ დაამარცხა ლიდერი, ინგლისური „ლონდონ აირიში" 32:14 და დაეწია. ჩვენებურებს არც ამ შეხვედრაში უასპარეზიათ.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**A ჯგუფი**

ბიარიცი-ვორსტერი 33:25, სეილ შარქსი-ოიონაქსი 53:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სეილ შარქსი - 15 ქულა, 2. ბიარიცი - 14, 3. ოიონაქსი - 6, 4. ვორსტერი - 3.

**V ტური**

ოიონაქსი-ბიარიცი, სეილ შარქსი-ვორსტერი

**B ჯგუფი**

ბორდო-ნიუპორტი 32:13, ბასი-მოლიანო 63:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 18 ქულა, 2. ნიუპორტი - 10, 3. ბორდო - 9, 4. მოლიანო - 0.

**V ტური**

ნიუპორტი-ბასი, ბორდო-მოლიანო

**C ჯგუფი**

ბრივი-ბუქარესტი 20:9, კალვიზანო-ნიუკასლი 10:25

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნიუკასლი - 14 ქულა, 2. ბრივი - 14, 3. ბუქარესტი - 6, 4. კალვიზანო - 2.

**V ტური**

ნიუკასლი-ბრივი, კალვიზანო-ბუქარესტი

**D ჯგუფი**

ვიადანა-ბაიონი 19:80, ვოსფსი-გრენობლი 32:12

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 18 ქულა, 2. ბაიონი - 15, 3. გრენობლი - 5, 4. ვიადანა - 0.

**V ტური**

ბაიონი-ვოსფსი, ვიადანა-გრენობლი

**E ჯგუფი**

ლუზიტანოსი-პრატო 19:30, სტად ფრანსე-ლონდონ აირიში 32:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლონდონ აირიში - 14 ქულა, 2. სტად ფრანსე - 14, 3. პრატო - 11, 4. ლუზიტანოსი - 0.

**V ტური**

სტად ფრანსე-პრატო, ლონდონ აირიში-ლუზიტანოსი

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# საუკეთესო შვიდეული

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის XI ტურის დასრულების შემდეგ სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა, რაც გულშემატკივარს მომავალში მეტ სანახაობას ჰპირდება. ტური კვლავ ნაკლული გამოდგა. დასავლეთ საქართველოში ზამთარი ბატონობს, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო (თოვლი და მოყინული მოედანი) ქუთაისში გასამართავი „აიას" და „ბათუმის" დაპირისპირება გადაიდო. დარჩენილ ოთხ შეხვედრაში კი სტადიონებზე მისულმა გულშემატკივარმა უშელავათო ბრძოლა და 15 ლელო იხილა.

## რკინიგზული რევანში

გათამაშების პირველ წრეში ნანვნევი მარცხისთვის „ლოკომოტივს" გასულ უქმეებზე რევანშის აღება მართებდა თანაქალაქელ „არმაზთან". **თემურ ბენდიაშვილის** გაწვრთნილმა რკინიგზელებმა დაკისრებულ მოვალეობას თავი მშვენივრად გაართვეს და პირველივე ტაიმში გატეხეს მეტოქე, რომელსაც **საბა ნიკოლავას** გატანილ საჯარიმოს ერთბაშად 24 ქულით უპასუხეს.

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთხელ გაამართლა „ლოკომოტივის" სატრანსფერო პოლიტიკამ. ზაფხულში „ლელოდან" გადმოყვანილი ახალგაზრდა **გოდერძი ჭინჭარაული** ძალიან მოკლე დროში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და მშვენივრად აკონტროლებს გუნდის სათამაშო ტემპს მგეზავის პოზიციიდან.

„არმაზთან" გამართულ პრინციპულ დაპირისპირებაში ჭინჭარაულმა თავისი არასტანდარტული აზროვნებით და გადამწყვეტ მომენტში მიღებული ჭკვიანური გადაწყვეტილებებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მასში დიდი სარაგბო პოტენციალი იმალება.

## დაბრუნება საპლეიოფო ზონაში

„ბოლნისი ყოჩებმა" ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე შესანიშნავად დაიწყეს. მათ ჯერ მოქმედი ჩემპიონი „ლელო" დაამარცხეს, ხოლო უკანასკნელ ტურში სატურნირო თვალსაზრისით უშუალო კონკურენტ „ჯიქებს" სძლიეს 10:3, რამაც საშუალება მისცა ბოლნისელებს 30 ქულით მეხუთე საფეხურამდე ალზევებულიყვნენ და კიდევ უფრო განემტკიცებინათ საკუთარი პოზიციები საპლეიოფო ზონაში.

## პირველად მშრალად

გასული ტური იმ მხრივაც გახლდათ საინტერესო, რომ მიმდინარე ჩემპიონატში პირველად დაფიქსირდა მშრალი ანგარიშით გამარჯვება. მოქმედმა ჩემპიონმა „ლელომ" თბილისურ დერბიში 32:0 სძლია „აკადემიას", ერთი პრემიალური ქულა მიითვალა და სატურნირო ცხრილს კვლავ სათავეში ჩაუდგა.

„ლელომ" პირველივე წუთებიდანვე აქტიურად შეუტია და მატჩის დაწყებიდან 1 საათის შემდეგ უკვე 32-ქულიანი სხვაობით ლიდერობდა. უკანასკნელი 20 წუთი კი მხოლოდ ფორმალობად იქცა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საზარდულის ტრავმის შემდეგ საბოლოოდ გამოჯანმრთელდა „ბორჯღალოსნებისა" და „ლელოს" ძირითადი მგეზავი **ლაშა ხმალაძე.**

## არმია წინ მიდის

„არმია" წინსვლას განაგრძობს. **ნიკო ჭავჭავაძის** გაწვრთნილმა გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა და სატურნირო ცხრილის ლიდერ „ლელოს" მხოლოდ 3 ქულითღა ჩამორჩება.

არმიელებმა გასულ ტურში დამაჯერებლად დაამარცხეს რუსთავის „ხარები" 29:9. გამარჯვებულთა რიგებში გამორჩეულნი კვლავ უკანა ხაზის მოთამაშეები იყვნენ: შუამარბმა **ვანო გაბროშვილმა** მცირე ბენეფისი მოიწყო, ორჯერ თავად შეაღწია რუსთაველთა ჩათვლის მოედანში, ხოლო ერთხელ ასისტენტის როლში მოგვევლინა. ტრადიციულად, თავისი ლელო გაიტანა გარემარბმა **ალექსანდრე ტუჩაშვილმა**, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია და უკანასკნელ 2 ტურში მის ანგარიშზე 20 ქულაა (4 ლელო).

## ნიკლაურის 21 ქულა

XI ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ „არმაზისა" და „ლოკომოტივის" დაპირისპირება გახლდათ, რომელშიც საბოლოოდ გამარჯვებულნი რკინიგზელები გამოვიდნენ - 31:17.

მიმდინარე სეზონში „ლოკომოტივის" წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი ახალგაზრდა მოთამაშე **ბექა ნიკლაურია,** რომელიც ინდივიდუალიზმითაც გამოირჩევა და გუნდურ თამაშშიც არაფერი დაეწუნება.

„არმაზთან" მატჩში ბექა შეუდარებლად კარგი იყო. მან ერთი ლელოს გარდა, საკუთარი ფეხბურთელობის წყალობით მეტოქეს 3 საჯარიმო, 1 არეკნი და 2 გარდასახვა გაუტანა, ჯამში მისმა მონაგარმა 21 ქულა შეადგინა და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეც დამსახურებულად გახდა.

## სტატისტიკური კალეიდოსკოპი

ვაგრძელებთ მიმდინარე სარაგბო ჩემპიონატის სტატისტიკურ მიმოხილვას. სარაგბო მატჩში ქულების დაგროვების რამდენიმე ხერხი არსებობს. ლელო - 5 ქულა, გარდასახვა - 2 ქულა, საჯარიმო - 3 ქულა, არეკნი - 3 ქულა. საინტერესოა უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდებიდან თუ ვინ ლიდერობს გატანილი არეკნების რაოდენობით.

განვლილი თერთმეტი ტურის განმავლობაში გუნდებმა ჯამში 16 არეკნი გაიტანეს, აქედან თითქმის მესამედი „ბოლნისი ყოჩების" მოთამაშეებზე მოდის - 5. სამჯერ **თემურ სოხაძემ** გამოიჩინა თავი, ხოლო ორჯერ მისმა თანაგუნდელმა **შავლეგ მახარაშვილმა.** ინდივიდუალური მონაგრის მიხედვით ლიდერობს ქუთაისის „აიას" მგეზავი **გაგა სინაურიძე,** რომელმაც 4 არეკნის გატანა მოახერხა. ამ სარაგბო ასპექტში ორ-ორჯერ გამოიჩინეს თავი „ლოკომოტივის" ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** და „არმიას" მგეზავმა **ლაშა ბაირამაშვილმა,** ხოლო თითო არეკნი აქვთ გატანილი **ლაშა ხმალაძეს, ირაკლი ყიასაშვილს** (ორივე „ლელო") და ბათუმელ **თორნიკე აშვეთიას.**

## უხვქულიანი

მიუხედავად ჩავარდნილი სტარტისა, „არმია" მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე შემტევ გუნდად რჩება. გათამაშების მეორე წრის მეორე ტურის შედეგების ჩათვლით არმიელებმა მეტოქეებს ჯამში 285 ქულა გაუტანეს, საკუთარ ჩათვლის მოედანში კი 183 მიიღეს. გატანილ ქულათა რაოდენობით მეორე ადგილზეა მოქმედი ჩემპიონი „ლელო" - 279. მიმდინარე ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერ ქუთაისის „აიას" შეტევაში მხოლოდ 207 ქულა აქვს მოპოვებული, სამაგიეროდ ქუთაისელებს საუკეთესო დაცვა ჰყავთ - 10 ტურში მხოლოდ 121 ქულა მიიღეს.

სტატისტიკურად ყველაზე ცუდი შეტევაც და დაცვაც თბილისის „აკადემიას" გააჩნია, ისინი საშუალოდ მატჩში 26,2 ქულას უშვებენ, ხოლო თავად 10,1 ქულა გააქვთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, აკადემიელები მაინც ახერხებენ მერვე-მეცხრე ადგილები გაიყონ რუსთავის „ხარებთან" და რეალურ შანსს იტოვებენ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის.

**გიორგი ბარბაქაძე**


ბურთით თემურ სოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული 2013

## BBC-ის რჩეულები: მარეი და ფეტელი


ენდი მარეი BBC-ს პრიზით

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **ენდი მარეი** ბრიტანეთის წლის სპორტსმენი გახდა ტელეკომპანია BBC-ის ვერსიით.

ამ გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა უელსელმა მორაგბემ **ლი ჰაფპენიმ**, მესამეზე კი გავიდა ინგლისელი ჟოკეი **ტონი მაკოი.** აღვნიშნავთ, რომ მარეი პირველი ჩოგბურთელი გახდა 1997 წლის შემდეგ, ვინ ამ გამოკითხვაში გაიმარჯვა. მაშინ, წლის სპორტსმენად **გრეგ რუსედსკი** დასახელდა.

26 წლის ენდიმ ვერ შეძლო ქალაქ ლიდსში საზეიმო ცერემონიაზე დასწრება, ამიტომაც პრიზი მას მაიამიში ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **მარტინა ნავრატილოვამ** გადასცა. მარეი ფლორიდაში ახალი სეზონისთვის ემზადება.

■ ■ ■

BBC-მ გუშინ წლის საუკეთესო უცხოელი სპორტსმენიც დაასახელა. ეს ტიტული მოიპოვა "რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა**, რომელიც 2013 წელს, ზედიზედ მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, აგრეთვე გაიმეორა **ალბერტო ასკარის** რეკორდი ზედიზედ მოგებული ეტაპების რაოდენობით (9) და **მიხაელ შუმახერის** რეკორდი სეზონში მოპოვებული გამარჯვებების რიცხვით (13).

ფეტელმა ეს პრიზი კარიერაში პირველად მოიპოვა.

## აქ ფეტელი მეორე იყო



სებასტიან ფეტელი

ამასობაში, ქალაქ ბადენ-ბადენში გაიმართა გერმანიის "წლის სპორტსმენის" დაჯილდოვების საზეიმო ცერემონია. გამარჯვებულები ადგილობრივი ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად დასახელდნენ. აქ **სებასტიან ფეტელმა** მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა, რადგან მას გაუსწრო ბადროს მტყორცნელმა **რობერტ ჰარტინგმა**. მესამეზე გავიდა ჭოკით მხტომელი **რაფაელ ჰოლცდეპე**.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჰარტინგმა 2920 ქულა დააგროვა, ფეტელმა - 2788. სებასტიანმა შარშანაც მეორე ადგილი დაიკავა და მაშინაც ჰარტინგთან დამარცხდა. ამ უკანასკნელმა წელს, მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ფეტელი ერთხელ, 2010 წელს იყო გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენი.

ბადენ-ბადენში გამართულ ცერემონიაზე წლის გუნდად აღიარეს მიუნხენის "ბაიერნი", ქალებს შორის საუკეთესო სპორტსმენი კი შუბის ტყორცნაში მსოფლიოს ჩემპიონი **კრისტინა ობერგფიოლი** გახდა. მან მცირედით აჯობა უიმბლდონის ფინალისტს **საბინე ლისიცკის**.

## როჯერი აღარ ფასობს

სახელგანთქმული მოთხილამურე **დარიო კოლონია** შვეიცარიის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ ქვეყანაში საუკეთესო ათლეტის პრიზი თხილამურებით მორბენალს შეხვდა.

წინა წლებში, ბრძოლის გლობუსის მრავალგზის მფლობელი მუდმივად ფინალისტთა შორის იყო, მაგრამ აგებდა ჩოგბურთელ **როჯერ ფედერერთან** ან სამთო მოთხილამურე **დიდიე კუშთან.**

ამჯერად, ფედერერმა გამოკითხვაში მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. მას კოლეგა **სტანისლას ვავრინკამაც** კი გაუსწრო, რომელიც მიღებული ხმების რაოდენობით მეორე ადგილზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტში კოლონია ნოემბერში გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენით კურსს გადის და ტოვებს მსოფლიოს თასის ეტაპებს.


ვავრინკა კოლონია (მარჯვნივ)

ოლიმპიზმი

## იტალიური პრემია: 140 ათასი ჩემპიონს

იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ **ჯოვანი მალაგომ** იტალიელი ოლიმპიელებისთვის პრემიების ოდენობა გაამხილა.

როგორც ირკვევა, სოჭის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მფლობელს გადაუხდიან 140 ათას ევროს, ვერცხლის მფლობელს – 75 ათასს, ბრინჯაოს – 50 ათასს.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# საჯარიმოები ცალი ფეხით

გუშინდელი სათამაშო დღის გმირის წოდება თამამად შეიძლება მიენიჭოს "პორტლენდის" გამთამაშებელ **დამიენ ლილარდს.** "დეტროიტთან" გასვლით შეხვედრაში მისი სტატისტიკა არ ყოფილა გამორჩეული (თამაშიდან 21 სროლა და მხოლოდ ექვსი ზუსტი), მაგრამ სწორედ მისმა ტყორცნამ მოუტანა მორიგი გამარჯვება "ბლეიზერსს". ეს მოხდა ოვერტაიმის დასრულებამდე 0.1 წამით ადრე. თანაც, ამ დროს ლილარდს კარგად უშლიდა ხელს "დეტროიტის" მცველი **როდნი სტაკი.** პორტლენდელმა მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ სტაკი თავს შესანიშნავად იცავდა და მას უბრალოდ გაუმართლა. ასეა თუ ისე, "პორტლენდმა" აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდებთან 10-დან მეათე შეხვედრა მოიგო.

■ ■ ■

ზედიზედ მე-12 გამარჯვება ჩაიწერა შინ "ოკლაჰომამ". "ორლანდოსთან" შეხვედრაში "თანდერმა" იმდენი მოახერხა, რომ ბოლო ექვს წუთში გაანიავა 16-ქულიანი უპირატესობა და მეტოქეს თამაშის გადარჩენის შანსი მისცა. ბოლოსკენ, ბრწყინვალე სნაიპერს **კევინ დურანტსაც** კი აუკანკალდა ხელი და ორიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო მოათავსა კალათში. საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე, "ოკლაჰომა" სამი ქულით იყო წინ. როგორც ჩანს, "ორლანდო" არ ელოდა დურანტისგან ასეთ საჩუქარს და ვერ შეძლო ნორმალური კომბინაციის გათამაშება, რომლითაც თავის რომელიმე სნაიპერს შორეულ ტყორცნის შესასრულებლად გაიყვანდა და მატჩის ოვერტაიმში გადაყვანისთვის იზრუნებდა. ნაჩქარევად ორგანიზებულ შეტევაში მოუმზადებელი სროლა მოუწია **გლენ დევისს**, რომელიც არაზუსტი იყო. შეტევაში მოხსნა **ნიკოლა ვუჩევიჩმა** მიითვალა და ორქულიანის ჩაგდება სცადა, მაგრამ **სერჟ იბაკასგან** დაფარება მიიღო.

■ ■ ■

ადრე თუ გვიან, ყველა სერია სრულდება, რაშიც გუშინ "მემფისის" გულშემატკივრები დარწმუნდნენ. ზედიზედ ოთხი წელი, "გრიზლისი" მუდმივად ამარცხებდა "მინესოტას" და ამ გუნდთან 11-მატჩიანი მოგებათა სერია დაუგროვდა.

მაგრამ ეს სერია შეწყდა, რაშიც დამნაშავეა **კევინ ლავის** ფანტასტიკური ფორმა. გასაკვირია, მაგრამ "ტიმბერვულვზის" ფორვარდს, ამჯერად, ორმაგი დუბლიც არ შეუსრულებია და მხოლოდ 9 მოხსნით შემოიფარგლა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ "მემფისმა" ვერაფერი გააწყო მეტოქის ლიდერის წინააღმდეგ, რომელმაც ამ მატჩში 21-დან 11 ტყორცნა მოათავსა კალათში (მათ შორის, რვიდან ოთხი სამქულიანი), ამას დაუმატა 9 მოხსნა, 4 შედეგიანი პასი და 3 დაფარება.

■ ■ ■

*"ეს ძალიან ამარტივებს ჩვენს თამაშს. კარგია, როცა გუნდში არის კიდევ ერთი კალათბურთელი, რომელსაც ქულების დაგროვება შეუძლია. ახლა, ყველაფერი მხოლოდ ჩემზე და აიზია ტომასზე არ არის დამოკიდებული",* - კმაყოფილი ამბობდა "ჰიუსტონთან" მატჩის შემდეგ "საკრამენტოს" ცენტრი **დემარკუს კაზინსი**. ის ამ სიტყვებით თავის ახალ თანაგუნდელს **რუდი გეის** აქებდა.

ყოფილმა ტორონტოელმა უკვე ორი მატჩის ჩატარება მოასწრო ახალი კლუბის შემადგენლობაში და ჯამში 50 ქულა დააგროვა, თან თამაშიდან 56 პროცენტის სიზუსტით ისროდა. "როკეტსთან" მატჩი სადებიუტო იყო მისთვის ახალი გულშემატკივრების თვალწინ და განსაკუთრებით მოინდომა. უკვე სასტარტო მეოთხედში მის ანგარიშზე 14 ქულა იყო და შემდეგაც, ის გახლდათ ქულების მთავარი წყარო "კინგზისთვის". "როკეტსის" მარცხი შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი პრობლემით დამძიმებულიყო: მესამე მეოთხედის დასაწყისში **ჯეიმს ჰარდენმა** ფეხი გადაიბრუნა და ყვირილით დაეცა მოედანზე. "ჰიუსტონის" ლიდერისთვის საბედნიეროდ, ის სერიოზულ ტრავმას გადაურჩა. მან შეძლო წამოდგომა და ცალ ფეხზე მდგომმა შეასრულა ორი საჯარიმო. მოგვიანებით კი სირბილიც დაიწყო. თუმცა ამან მის გუნდს ვერ უშველა.



რუდი გეი (მარჯვნით) „საკრამენტოში" კმაყოფილია

**დეტროიტი-პორტლენდი 109:111 ოთ**

22:29, 29:21, 33:23, 15:26, 10:12

**დ:** სმიტი (31), მონრო (17), სტაკი (17), ჯენინგსი (15+10 პასი), დრამონდი (13+14 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (27+12 მოხსნა), ლილარდი (23+7 პასი), ბატუმი (18), მეტიუზი (14), ლოპესი (12+13 მოხსნა).

**მემფისი-მინესოტა 93:101**

17:28, 29:28, 27:21, 20:24

**მემ:** კონლი (28), რენდოლფი (20+12 მოხსნა), ლეუერი (15+9 მოხსნა), ბეილესი (14).

**მინ:** ლავი (30+9 მოხსნა), პეკოვიჩი (19), ბარეა (15), რუბიო (12), ბრიუერი (9+12 მოხსნა).

**საკრამენტო-ჰიუსტონი 106:91**

28:28, 29:21, 24:22, 25:20

**ს:** გეი (26+4 ჩაჭრა), კაზინსი (21+10 მოხსნა), ტომასი (19+8 პასი), უილიამსი (11).

**ჰ:** ჰარდენი (25), პარსონსი (19), ჰოვარდი (13+10 მოხსნა), ბრუქსი (13).

**ოკლაჰომა-ორლანდო 101:98**

28:22, 28:27, 27:22, 18:27

**ოკლ:** დურანტი (28+9 მოხსნა), უესტბრუკი (20+12 მოხსნა+6 პასი), ლემბი (16), ჯექსონი (10).

**ორლ:** აფლალო (25), ოლადიპო (15), ვუჩევიჩი (13+16 მოხსნა), ნელსონი (13+8 პასი), დევისი (11+9 მოხსნა).

**დენვერი-ნ. ორლეანი 102:93**

24:27, 28:25, 23:16, 27:25

**დ:** ჩენდლერი (19), ჰიქსონი (19+11 მოხსნა), რობინსონი (14), ლოუსონი (12+8 პასი), ფარიდი (12+9 მოხსნა).

**ნ-ო:** ანდერსონი (26), რივერსი (17), ჰოლიდეი (12+7 პასი), გორდონი (10+6 პასი).

**ფინიქსი-გ. სტეიტი 106:102**

33:27, 26:26, 22:27, 25:22

**ფ:** ბლედსოუ (24+8 პასი), დრაგიჩი (21+4 ჩაჭრა), ფრაი (20), მორისი (11), გრინი (10).

**გ-ს:** კარი (30+7 პასი), ტომპსონი (19), ლი (18+13 მოხსნა), ბოგუტი (9+14 მოხსნა).

კრივი

## ხუთი თვე დოპინგისთვის

ჩინეთის პროფესიული კრივის ასოციაციამ ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა ამერიკელ მოკრივეს **ბრენდონ რიოსს**, რომელმაც დოპინგ-ტესტი ჩააგდო ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** ბრძოლის შემდეგ. დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა დაიწყება აღნიშნული ბრძოლის ჩატარების დღიდან, ანუ 24 ნოემბრიდან. ასე რომ, რიოსი ვერ შეძლებს 2014 წლის 24 აპრილამდე რინგზე გასვლას.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, რიოსის ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი მეთილგექსანამინი.

რიოსისა და პაკიაოს ბრძოლა მოხვდა ჩინეთის ორგანიზაციის იურისდიქციაში, რადგან შეხვედრას ქალაქმა მაკაომ უმასპინძლა. ფილიპინელმა ამ ბრძოლაში ქულებით გაიმარჯვა.

## ჯონსს ჩამორთმეული დაუბრუნეს

მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციამ (WBA) ჩემპიონის ტიტული მიანიჭა პანამელ **გილერმო ჯონსს** 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

17 მაისს, ჯონსმა WBA-ის ტიტული ჩამოართვა რუს **დენის ლებედევს**, როცა მე-11 რაუნდში გაგზავნა მეტოქე ნოკაუტში. მაგრამ, ბრძოლის შემდეგ, ჯონსის ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი ფუროსემიდი. ჯონსს ტიტული ჩამოართვეს და ლებედევს დაუბრუნეს, თან მოკრივეები დაავალდებულეს მატჩ-რევანშის ჩატარებაზე.

ჯონსისთვის ტიტულის გადაცემის პარალელურად, ორივე მოკრივის გუნდებს შეახსენეს, რომ განმეორებითი ბრძოლის კონტრაქტი არაუგვიანეს 18 დეკემბრისა უნდა გაფორმდეს.

## მარტინესი ივნისში კოტოს შეხვდება

72.6-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი **სერხიო მარტინესი**, სავარაუდოდ, მომავალი წლის ივნისში დაბრუნდება რინგზე, - წერს Fightnews.com. დღეისთვის, არგენტინელი აღდგენით პროცესს გადის ხელისა და მუხლის ტრავმის შემდეგ და ვარჯიშების განახლებას თებერვალში აპირებს.

ვარაუდობენ, რომ მარტინესის მეტოქე გახდება მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, პუერტორიკოელი **მიგელ კოტო.** აღვნიშნავთ, რომ არგენტინელთან ბრძოლის უფლება გააჩნია **მარკო ანტონიო რუბიოს**, რომელიც WBC-ის ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# სოჭის ნაწილობრივი ბოიკოტი


ფრანსუა ოლანდი

საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი** არ დაესწრება სოჭში ზამთრის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას.

ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლორან ფაბიუსმა** წარმატებები უსურვა მომავალი ოლიმპიადის მონაწილეებს და განაცხადა, რომ არც ის და არც ქვეყნის პრეზიდენტი არ აპირებენ რუსეთში გამგზავრებას.

ევროპული პრესის აზრით, ოლანდის ასეთი გადაწყვეტილება უკავშირდება რუსეთში გეი-პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებულ სიტუაციას. ცნობილია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი სექსუალური უმცირესობების ინტერესთა დაცვის აქტიური მებრძოლია.

■ ■ ■

ამასობაში, გერმანულმა პრესამ დაწერა იმის შესახებ, რომ გერმანიის პრეზიდენტი **იოახიმ გაუკი** არ აპირებს სოჭის ოლიმპიადაზე დასწრებას. ასევე, ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა რუსეთში ჩასვლას ქვეყნის კანცლერი **ანგელა მერკელი**.

სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ იტალიის ოფიციალურ დელეგაციას სათავეში ჩაუდგება ქვეყნის პრემიერმინისტრი **ენრიკო ლეტა**.

# ნორტუგი ოლიმპიადას კარგავს


პეტერ ნორტუგი

სათხილამურო რბოლაში ნორვეგიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ გუნდის მრავალწლიანი ლიდერი **პეტერ ნორტუგი** სოჭის ოლიმპიადაზე იასპარეზებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ტრონ ნისტადმა** განუცხადა.

*"იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც მან ამ სეზონში აჩვენა, შეიძლება ითქვას, რომ პეტერმა ვერ შეასრულა ოლიმპიადისთვის შერჩევის კრიტერიუმები,* - ამბობს ნისტადი. - *ის ყველასთან თანაბარ პირობებში იმყოფება. ჩვენ ვიცით, რომ, როცა ნორტუგი ფორმაშია, ნებისმიერის დამარცხება შეუძლია, მაგრამ დღეს ის შორს არის ოპტიმალური კონდიციებისგან. ზაფხულში გადატანილი ავადმყოფობის გამო, ნორტუგს ორი თვე არ უვარჯიშია და ახლა, ბევრი უკლია ძველ შედეგებამდე. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ მის აქტივშია ორი ოლიმპიური ოქრო და ცხრა გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებზე.*

# 93 ტელეკომპანია, 123 ქვეყანა, მილიარდობით აუდიტორია

„სოჭი 2014"-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა **დმიტრი ჩერნიშენკომ** განაცხადა, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებს Super Hi-Vision-ის ფორმატში გააშუქებენ. ამ სისტემის გამოსახულება 16-ჯერ უფრო მკაფიოა, ვიდრე HD-ფორმატის. თანაც, უახლესი კამერებით გადაღებები იწარმოებს არა მხოლოდ ხმელეთზე, არამედ დირიჟაბლებიდან და ვერტმფრენებიდან. ასევე მან დაამატა, რომ პრესის წარმომადგენლებისთვის შეიქმნება ყველა პირობა ოლიმპიადის სრულფასოვნად გასაშუქებლად.

*„თამაშების ტრანსლაციის უფლება აქვს 93 ტელეკომპანიას და მათი სიგნალი მსოფლიოს 123 ქვეყანაში გავრცელდება. ამის წყალობით, ტელეაუდიტორიის საერთო რიცხვი რამდენიმე მილიარდი ადამიანი იქნება,* - მოჰყავს „ინტერფაქსს" ჩერნიშენკოს სიტყვები. - *თამაშების გასაშუქებლად გამოიყენებენ უახლოეს კამერებს. მათი მოძრაობა შესაძლებელი იქნება ბაგირით, რელსებით... საქმეში ჩართული იქნება ვერტმფრენები და დირიჟაბლები. ახლა, მედიაცენტრებში მიმდინარეობს ტრანსლიაციის უფლების მქონე ტელეკომპანიების სამუშაო ზონების და სტუდიების მონტაჟი. აკრედიტებული პრესისთვის wi-fi უფასო იქნება. პირველად თამაშების ისტორიაში, ჟურნალისტებს შესთავაზებენ სამი ათასზე მეტ პლანშეტურ კომპიუტერს".*




ფორმულა 1

# ლოტუსი უპატრონოდ რჩება?


ერიკ ბულიე

"ლოტუსის" შეფმა **ერიკ ბულიემ**, შესაძლოა, დატოვოს გუნდი, - ამტკიცებს გერმანული გაზეთი "ბილდი" "რენოში" სანდო წყაროზე დაყრდნობით.

იტყობინებიან, რომ ასეთი გადაწყვეტილებაზე, შესაძლოა, გავლენა იქონია ბრიტანულ საჯინიბოში არსებულმა ფინანსურმა გაურკვევლობამ. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, გუნდს საკუთარი თანამშრომლებისა და ტექნიკის მომწოდებლების ვალი აქვს, რომლის ოდენობა 150 მილიონ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ჯერაც არ არის დასრულებული გარიგება ახალი ინვესტორების მხრიდან "ლოტუსის" აქციათა ნაწილის შესყიდვის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში "ლოტუსის" ლიდერმა, ფინელმა **კიმი რაიკონენმა** "ფერარიში" გადასვლა არჩია და განაცხადა, რომ 2013 წლის ჩემპიონატის მსვლელობისას „ლოტუსისგან" ერთი ევროც არ მიუღია.

ბულიე შეიძლება გადავიდეს სამუშაოდ "რენოს" სპორტულ განყოფილებაში, რომელიც დაკავებულია ახალი V6 ტურბოძრავის შექმნით.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი–ფილადელფია 5:4 (ბ)**

1:1, 0:1, 3:2, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-27 (ბექსტრიომი-27, ჯ. კარლსონი-8), 1:1 ჟირუ-7 (რაფლი-4, ქობურნი-2), 1:2 შტრაიტი-2 (რაფლი-5), 1:3 კუტურიე-6 (რიდი-6, დაუნი-15), 1:4 ვორაჩეკი-6 (რაფლი-6, ჟირუ-18), 2:4 მაიკ გრინი-2 (ბექსტრიომი-28, მ. იოჰანსონი-19), 3:4 ორლოვი-1 (ფერი-8, ჯ. უორდი-9), 4:4 ოვეჩკინი-28 (ჯ. უორდი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ფერი (ვაშინგტონი), ჟირუ (ფილადელფია), ბექსტრიომი (ვაშინგტონი).

**დეტროიტი–ტამპა ბეი 0:3**

0:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 0:1 ტ. ჯონსონი-8 (სან ლუი-18, პალატი-7), 0:2 ბრაუნი-2 (ტომპსონი-4), 0:3 კილორნი-7 (ფილპულა-11, ბრიუერი-6).

**მონრეალი–ფლორიდა 1:2**

0:0, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ვინჩესტერი-5 (კოპეცკი-5, გოკი-5), 0:2 ბიუგსტადი-6 (ფლიშმანი-13, აპშოლი-12), 1:2 გალჩენიუკი-10 (ბ. ჯონტა-12, საბენი-21).

**რეინჯერსი–კალგარი 4:3 (ბ)**

1:2, 1:0, 1:1, 0:0, 4:3

**გოლები:** 0:1 ბეკლუნდი-4 (რასელი-12, ჯორდანო-10), 0:2 გლენკროსი-6 (ჰუდლერი-20), 1:2 სტეპანი-6 (რიკ ნეში-6, ჟირარდი-6), 2:2 ჰაგელინი-6 (პულიო-4, მური-2), 2:3 მონეჰანი-10 (გლენკროსი-5, ჰუდლერი-21), 3:3 კრაიდერი-8 (სტეპანი-16, ბ. ბოილი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ცუკარელო (რეინჯერსი), კოლბორნი (კალგარი), ბ. რიჩარდსი (რეინჯერსი), სტემპნიაკი (კალგარი), მური (რეინჯერსი), ბირონი (კალგარი), პულიო (რეინჯერსი).

**ჩიკაგო–ლოს ანჯელესი 3:1**

3:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მარიან ჰოსა-14 (ტეივზი-18, ჰიალმარსონი-12), 2:0 ვერსტიგი-6 (პ. კეინი-26, სიბრუკი-20), 3:0 შარპი-16 (ტეივზი-19, კიტი-28), 3:1 მარტინესი-2 (მეტ გრინი-2, ნოლანი-3).

**ანაჰაიმი–ედმონტონი 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-8 (ტ. ჰოლი-16, ებერლე-18), 1:1 ბონინო-9 (მარუნი-4, პალმიერი-5), 2:1 სელიანე-4 (მ. პერო-11, ბელესი-3), 2:2 სემ განიე-4 (იაკუპოვი-7, ფერენსი-3), 3:2 პენერი-10 (გეტცლაფი-23, ლინდჰოლმი-9).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| მილანი-რომა | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| ვალიადოლიდი-სელტა | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-სტ. პაული | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-კლერმონი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტვენტე II-აიაქსი II | 0:1 |
| პსვ II-დორდრეხტი | 3:0 |
| **პორტუგალია** | |
| ნასიონალი-ფერეირა | 2:1 |
| ეშტორილი-ჟილ ვისენტე | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| მარიტიმუ B-ბენფიკა B | 1:0 |
| სპორტინგი B-ბრაგა B | 2:0 |
| პორტუ B-ატლეტიკო | 1:0 |
| ფარენსე-ბეირა მარი | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| ტრაბზონი-ბურსა | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-სამსუნი | 1:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-ომონია | 2:0 |
| არისი-აპოლონი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა-პოგონი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-სეჯეატა | 1:2 |
| ბრაშოვი-პანდური | 3:5 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნო მორე-ბოტევი | 1:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ირონი (რ-ჰ) | 1:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:0 |
| **ს. აფრიკა** | |
| გოლდენ ეროუზი-ამაზულუ | 0:3 |
| მპუმალანგა-ფრი სტეიტი | 1:0 |
| პლატინიუმი-ორლანდო | 0:3 |
| მარიტცბურგი-უიტსი | 1:3 |
| სუპერსპორტი-მამელოდი | 1:1 |
| კაიზერ ჩიფსი-პრეტორია | 1:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| კოლოსოსი-პანათინაიკოსი | 58:73 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მილანი | 73:94 |
| **საფრანგეთი** | |
| პო ორტეზი-ნანტი | 89:72 |

**ხელბურთი**

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| დომინიკა-ავსტრალია | 27:26 |
| ალჟირი-პარაგვაი | 19:29 |
| უნგრეთი-ესპანეთი | 28:21 |
| კონგო-არგენტინა | 19:31 |
| ბრაზილია-ჰოლანდია | 29:23 |
| ჩინეთი-ტუნისი | 23:28 |
| ნორვეგია-ჩეხეთი | 31:21 |
| ს. კორეა-სერბეთი | 27:28 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 3:6 |

TV პროგრამა

**17 დეკემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მანჩესტერ იუნ-შახტარი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ეშტორილი-ჟილ ვისენტე.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კოპენჰაგენი-რეალი.
**21:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ლევერკუზენი-აინტრახტი.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ფეიენოორდი-გრონინგენი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-რაპიდი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბარსელონა-ფენერბახჩე.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**17:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ტონგა-იტალია.
**19:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ნიცა. საფრანგეთი.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**18:20** სპორტ-NEWS.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -1 | 2 | (მცირე თოვლი) |
| ქუთაისი | -1 | 8 | (მზე) |
| ბათუმი | 5 | 9 | (თოვლჭყაპი) |
| ფოთი | 4 | 10 | (მზე) |
| ზუგდიდი | -3 | 7 | (მზე) |
| გორი | -9 | 5 | (მზე) |
| თელავი | -5 | 2 | (მცირე თოვლი) |
| სიღნაღი | -4 | 1 | (მცირე თოვლი) |
| გუდაური | -15 | -5 | (მზე) |
| ბაკურიანი | -13 | -2 | (მზე) |
| ბორჯომი | -8 | 3 | (მზე) |
| მესტია | -15 | -1 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3536 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7085 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7852 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1984 |

ფორმულა 1

## განაჩენს იანვარში გავიგებთ


ბერნი ექლსტოუნი

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის, ბრიტანელი **ბერნი ექლსტოუნის** საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანა იანვრისთვის გადაიდო.

ორი დღის წინ, ლონდონში გაიმართა მორიგი სასამართლო სხდომა. შეგახსენებთ, რომ ექლსტოუნს ბრალად სდებენ გარიგების არაკანონიერად გაფორმებას, რის გამოც ერთ-ერთი კომპანია 100 მილიონი დოლარით დაზარალდა და ახლა, სასამართლოს ძალით ითხოვს კომპენსაციას.

## პოულის მოგება პრესტიჟული გახდება

მომავალი სეზონიდან, ფორმულა 1-ში კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდება. კერძოდ, ოფიციალურად გათამაშდება პრიზი სეზონის განმავლობაში მოგებული ყველაზე მეტი პოულისთვის.

ჯილდო გადაეცემა პილოტს, რომელიც ჩემპიონატში ყველაზე მეტ პირველ სასტარტო პოზიციას მოიპოვებს. შედეგების თანაფარდობის შემთხვევაში, გაითვალისწინებენ სასტარტო ბილიკზე მეორე, მესამე და მომდევნო ადგილების რაოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# აზარენკას ვარდები


აზარენკას ვარდები

ქალაქ ნეშვილში ამერიკულმა ფირმამ, რომელიც ყვავილების მოშენებაზე სპეციალიზდება, ვარდის ახალი ჯიში გამოიყვანა და მას სახელი WTA-ის რეიტინგის მეორე ნომრის, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** საპატივცემულოდ დაარქვა.

*„სალამი, ვიკა. მე ვმუშაობ ყვავილების მოშენების კომპანიაში. ჩვენ ვარდის ერთ-ერთ ჯიშს შენს საპატივცემულოდ დავარქვით VA-VA VICTORIA“*, - დაწერა თავის „ტვიტერზე“ ვინმე **ბრედ ჰანტერმა**.

*„ბრწყინვალეა!“* - მაშინვე გამოეხმაურა ამ ამბავს აზარენკა.


ფედერერი აფრიკელ ბავშვებში

# ფედერერის მიზანი მილიონია

შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** თავისი საქველმოქმედო ფონდის მუშაობის შესახებ ისაუბრა. ეს ფონდი აფრიკაში ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს ეხმარება.

*„ახალგაზრდობაში ხშირად ჩამოვდიოდი სამხრეთ აფრიკაში საკუთარი ოჯახის წევრების მოსანახულებლად*, - ამბობს ფედერერი. - *და ყოველ ჯერზე, სამყაროს სხვა თვალით ვუყურებდი. მესმოდა, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს გაჭირვებაში, ჩემი მშობლები კი ყოველთვის მიყვებოდნენ - სინამდვილეში როგორ იყო საქმე“.*

*„დღეს, ჩემი საქველმოქმედო ფონდი განათლების მიღებაში ეხმარება წელიწადში 80 ათას ბავშვს. ჩვენი მიზანია - 2018 წლისთვის ეს რიცხვი მილიონამდე გავზარდოთ. განათლება - ყველაზე მნიშვნელოვანია“*, - დაამატა 32 წლის ჩოგბურთელმა.

# მარეის სასტუმრო აპრილში დაიწყებს


მარეის სასტუმრო

ბრიტანელი ჩოგბურთელის **ენდი მარეის** სასტუმრო, რომელიც მისი მშობლიური დანბლეინიდან ხუთ კილომეტრში მდებარეობს, 2014 წლის აპრილიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

სასტუმრო Cromlix-ში, რომელიც მარეიმ წლის დასაწყისში შეიძინა, ათი საბაზო ნომერი იქნება, აგრეთვე რამდენიმე ოთახი, რომლებსაც გამოჩენილი შოტლანდიელების სახელები მიენიჭა: სერ **არტურ კონან დოილი, უილიამ უოლესი**, მეფერ **რობერტ I**, სერ **შონ კონერი** და სხვები.

ასევე, სასტუმროში იმუშავებს ვისკი-ბარი, სალოცავი, საჩოგბურთო კორტი. Cromlix-ის მომსახურე პერსონალი 40 კაცისგან იქნება შემდგარი.

კრივი

# ჩემპიონის სექსუალური კალენდარი

ქალთა კრივში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, მექსიკელმა **მარიანა ხუარესმა** გამოუშვა 2014 წლის კალენდარი საკუთარი ეროტიკული ფოტოებით. უახლოეს პერიოდში, ის სპეციალურ ტურს ჩაატარებს კალენდრის მხარდასაჭერად და რეკლამის გასაწევად.

*„2013 წელსაც ვაპირებდი კალენდრის გამოშვებას, მაგრამ გადავიფიქრე. ამის შემდეგ, გულშემატკივრებმა თხოვნით მომმართეს და მათთვის სექსუალური ფოტოები გადავიღე“*, - განაცხადა ხუარესმა.


მარიანა ხუარესი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

გამოიწერეთ გაზეთი "ლელო" და კიდევ ერთი ნებისმიერი პერიოდული გამოცემა 1 წლით და მიიღეთ საჩუქრად წლის ერთ-ერთი ბესტსელერი წიგნი

პალიტრა მედიის გამოცემები

| დასახელება | ერთეულის ფასი | რაოდენობა 1 წლით | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| გაზეთი "კვირის პალიტრა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "სიტყვა და საქმე" | 1,00 | 260 | 260,00 |
| გაზეთი "ყველა სიახლე" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "გზა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "რეიტინგი" | 2,00 | 52 | 104,00 |
| ჟურნალი "არსენალი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "კარიბჭე" | 1,00 | 26 | 26,00 |
| ჟურნალი "ოჯახის მკურნალი" | 1,50 | 26 | 39,00 |
| ჟურნალი "კარუსელი" | 0,80 | 52 | 41,60 |
| ჟურნალი "საბავშვო კარუსელი" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "ლელო" | 0,80 | 260 | 208,00 |
| ჟურნალი "ლელო" | 1,50 | 52 | 78,00 |
| ჟურნალი "ბომონდი" | 5,00 | 12 | 60,00 |
| ჟურნალი "ლიტერატურული პალიტრა" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ავტობილდი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "და ქალი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| ჟურნალი "გემრიელი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ისტორიანი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| გაზეთი "Georgian Journal" | 2,00 | 52 | 104,00 |



ბესტსელერები
ჩემი საშობაო საუნჯე
ვეფხისტყაოსანი
დესერტების ოქროს წიგნი
ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი

ELVA.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608